

ISSN 1512 - 4649

ქართული
ბიზნესი

ეკონომისტი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591 / 2
2009

№1, 2009 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენტა და მეცნიერთა პოზიციები)

ბაღასახალები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მუანაბრე)

საკანონმდებლო სიასლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები



ახალი ეკონომისტი



ყოველკვარტალური საერთაშორისო რეჟიმირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1(12), 2009

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:
ლოილ ქარჩავა

სარედაქციო კოლეგია:
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

91

ჯამლუტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი);
მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი)

რამაზ აბუსაძე (საქართველოს ეროვნული აკადემიის პ. გუგუშვილის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი);
იური ანანიავილი (ეკონომეტრიკის მიმართულება);
ბივი გამსახურდია; **თამარ გამსახურდია** (ფინანსების მიმართულება);
სიმონ ბელაშვილი (ეკონომიკური სტატისტიკის მიმართულება);
რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება);
მიხეილ გობატიშვილი (პოლიტიკური მეცნიერებებისა და პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულება);
ვასილ გორბაჩუკი (კიევი, უკრაინა);
ვლადიმერ ბრიგოლანია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია);
ვარუბ ბურსოი; **ვოლფანგ ვენბი** (ბერლინი, გერმანია);
ვოთა ვეშაპიძე (ევროპული უნივერსიტეტის რექტორი);
ნუბუარ თოდუა (მარკეტინგის მიმართულება);
ბოჩა თუთბერიძე; **რევაზ კაკულია**; **მერაბ კაკულია**; **ირაკლი კოვზანაძე** (საბანკო საქმის მიმართულება);
ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია);
იოსებ მასურაშვილი; **შალვა მახავარიანი** (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში);
მურთაზ მაღრაძე (ინფორმატიკის მიმართულება);
იაკობ მისხია; **ელგუჯა მემვაბიშვილი** (საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკური თეორიის მიმართულება);
ეიშერ სარჯველაძე; **აშთანდილ სილაბაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი);
მირიან ტუხაშვილი (შრომისა და სოციალური მიმართულება);
სლავა ფიჭულავა; **სიმონ ქაღაბიძე** (თბილისის

თავისუფალი უნივერსიტეტის, **ESM** ბიზნესის სკოლის რექტორი);
მზია ქეზურიანი (თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტი "გერისის" რექტორი);
რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარული და სოციალური ფაკულტეტის დეკანი);
ლარისა ყორღანაშვილი; **თეიმურაზ შენბელია** (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება);
ბიორბი შინაშვილი (თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დეკანი);
ლალი ჩაბელიშვილი (თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, მენეჯმენტის მიმართულება);
მიხეილ ჩიკვილაძე; **ლევო ჩიქავა** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი);
აშთანდილ ჩუთლაშვილი (თბილისის ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი);
ნოდარ ხაღურდი (მაკროეკონომიკის მიმართულება);
ელენე ხარაბაძე (აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულება);
ეიშერ ხარაიშვილი (მიკროეკონომიკის მიმართულება);
რევაზ ხარბაშა; **მერაბ ხმალაძე** (დემოგრაფიის მიმართულება);
დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი);
დიმიტრი ჯაფარიძე (ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი);
მიხეილ ჯიბუტი; **ჯინეშტ ჰომეხი** (მაასტრიხტი, ჰოლანდია)

თავისუფალი უნივერსიტეტი

ფასი 5 ლარი

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2009 წ.,
© გამომცემლობა „ლოილ“

akhali EKONOMISTI



QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №1(12), 2009

Editor-in-Chief and Head of Editorial board:
LOID KARCHAVA

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

JAMLET JANJGAVA


(Deputy of Editor-in-Chief, Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhishvili State University)

MURTAZ KVIKVAIA

(Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Faculty of G. Robakidze University)

RAMAZ ABESADZE (*Director of P. Gugushvili Econo-
mical Institut of Science Academy of Georgia*); **IURI
ANANIASHVILI** (*Econometrics*); **GIVI
GAMSAKHURDIA**; **TAMAR GAMSAKHURDIA**
(*Finantions*); **SIMON GELASHVILI** (*Statistics*);
REVAZ GVELESIANI (*Economical politics*);
MICHAEL GOGATISHVILI (*political sciens and
politikal filosof*); **VASYL GORBACHUK** (*Kiev,
Ukraine*); **VLADIMIR GRIGOLAIA** (*Moscow, Russian
federation*); **FARUK GURSOY**; **WOLFGANG WENG**
(*Berlin, Garmany*); **SHOTA VESHAPIDZE** (*Rector of
European University*); **NUGZAR TODUA**
(*Marketings*); **GOCHA TUTBERIDZE**; **REVAZ
KAKULIA**; **MERAB KAKULIA**; **IRAKLI
KOVZANADZE** (*banks*); **HARALD KUNZ**
(*Brandenburg, Germany*); **SHALVA
MACHAVARIANI** (*Vice-Prasidenrt of Caucasus Univer-
sity in sciens field*); **MURTAZ MAGRADZE**; **JAKOB
MESKHIA**; **ELGUJA MEQVABISHVILI** (*Dean of
Business fakulty of Economics and Law University of
Georgia*); **ETER SARJVELADZE**; **AVTANDIL
SILAGADZE** (*Corresponding-member of Academy of
Science of Georgia*); **MIRIAN TUKHASHVILI**;
SLAVA FETELAVA; **SIMON QADAGIDZE** (*Rektor of*

Tbilisi Free University, ESM Business school); **MZIA
QEBURIA** (*Rector of Tbilisi Indefendent Institute*);
RUSUDAN KUTATELADZE (*Dean of Humanitarian-
Social Faculty of Georgian Tecnical University*); **LARISA
KORGANASHVILI**; **TEMUR SHENGELIA** (*Business
Administation*); **GIORGI SHIKHASHVILI** (*Lecturer of
Tbilisi Academy and Seminary*); **LALI
CHAGELISHVILI** (*Dean of Business and Management
Faculty of Tbilisi Economical Relations and Law Univer-
sity*); **MICHAEL CHIKVILADZE**; **LEO CHIKAVA**
(*Rector of Paata Gugushvili University, Corresponding-
member of Academy of Science of Georgia*); **AVTANDIL
CHUTLASHVILI** (*Rector of Tbilisi Economical Rela-
tions State University*); **NODAR KHADURI** (*macroeco-
nomics*); **ELENE KHARABADZE** (*accounting and au-
dit*); **ETER KHARAISHVILI** (*microeconomics*);
REVAZ KHAREBAVA; **MERAB KHMALADZE**;
DAVID JALAGONIA (*Dean of Economics and Buziness
Faculty of Suxumi State University*); **DIMITRI
JAFARIDZE** (*Dean of Business and legal Faculty of Ilia
Chavchavadze State University*); **MICHAEL JIBUTI**;
JEANNETTE HOMMES (*Maastricht, Netherlands*).



რედაქტორისაბან

მთავარი გვერდი

ქართული
ეკონომიკის
ადადგილის
ცენტრი

საზოგადოებრივი მედიისათვის 6

მეცნიერება

თეიმურაზ შენგელია – ბიზნესის შედეგები სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში 14

სლავა ვეტილავა – კონკურენციის არსი და სახეები 17

უმანგი სამაღაშვილი – ექსპორტის მარკეტინგული უზრუნველყოფისათვის 21

მადონა ბელაშვილი – ფასიანი ქაღალდები, როგორც ინვესტირების ობიექტი 25

იოსებ მასურაშვილი – ინოვაციების, ლოგისტიკა და ბიზნესი 28

გიორგი თიკიშვილი – ბიზნეს-ინფორმაციის სისტემატიზირება და მათი მიღების წყაროები. . 34

დემურ სიჭინავა, გულადი ნაკაშიძე – სახელმწიფოს მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის სოფიერთი ასპექტი 40

ნათუნა ბარბაქაძე, ირინე მამალაძე – სავალუტო რისკი: შეფასებები და მართვის მეთოდები. 45

ვაჟა მათურელი, ნინო მათურელი – ოპტიმალური მართვის ერთი ეკონომიკური ამოცანის შესახებ 50

ნათუნა პერიშვილი – ლიზინგის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში . 52

ლავა ქავთარაძე – ეკონომიკური კონიუნქტურა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში 56

მათე ბარდავა – ეკონომიკური პოლიტიკა: ტოტალური განვითარების სისტემა 62

წერილები რედაქციას

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM-ის ბიზნესის სკოლა 65

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი 66

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 67

გვგასიის უნივერსიტეტი 68

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 69

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 70

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 71

ახალი ეკონომისტი



FROM THE EDITOR 5

MAIN PAGE

CHRISTMAS EPISTLE 6

SCIENCE

TEIMURAZ SHENGELIA – BUSINESS FACILITIES IN SPACIAL ECONOMIC ZONE 14

SLAVA FETELAVA – SORTES AND BEING OF COMPETITION 17

USHANGI SAMADASHVILI – MARKETING SUPPORT OF EXPORT 21

MADONA GELASHVILI – SECURITIES AS THE OBJECT OF INVESTMENTS 25

IOSEB MASURASHVILI – LOGISTIC OF INOVATION AND BUSINESS 28

MZIA TIKISHVILI – SYSTEMATIZATION OF THE BUSINESS INFORMATION AND SOURCES OF THEIR RECEPTION. 34

DEMUR SICHINAV, GULADI NAKASHIDZE – SEVERAL ASPECTS OF INFORMATIONAL SUPPLY IN GOVRNMRNT ADMINISTATI 40

KHATUNA BARBAKADZE, IRINE MAMALADZE – MONETARY RISKS: WAYS OF CONTROL AND EVALUATION 45

VAJA MATURELI, NINO MATURELI – ABOUT ONE ECONOMICAL TARK OF OPTIMAL M EN I G E M E N T 50

KHATUNA BERISHVILI – ROSPECT OF LEASING MARKET DEVELOPMENT IN GEORGI ... 52

LASHA KAVTARADZE – ECONOMIC CONJUNCTURE AND DEVELOPMENT PROCEPTS IN GEORGIA 56

MATE GARDAVA – ECONOMICAL POLITICS: TOTAL DEVOLOPMENT SISTEM 62

LETTERS TO EDITOR

TBILISI FREE UNIVERSITY, ESM BUSINESS SCHOOL 65

TBILISI UNIVERSITU OF ECONOMIC RELATIONS 66

ILIA CHAVCHAVADZE STATE UNIVERSITI 67

CAUCASUS UNIVERTSITY 68

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY 69

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY 70

SUKHUMI STATE UNIVERSITY 71

საქართველოს ეკონომიკური უწყვეტი განვითარების ჯიხაძის ინსტიტუტი



სიახლეები ჟურნალში

მოხარული ვართ, გაცნობოთ, რომ ჟურნალი განაგრძობს თავის განვითარებას და ახალ-ახალ ნაბიჯს დგამს სრულყოფისაკენ. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ მნიშვნელოვანი სიახლეები სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში, სადაც დაემატა ეკონომიკური მიმართულების საქართველოში წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და ფაკულტეტთა დეკანები, მიმართულებათა სრული პროფესორები. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, გამოგვექვეყნებინა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა და ფაკულტეტთა დეკანების წერილები ჟურნალის აღიარების შესახებ, რომელთა ნაწილი ამ ნომერში მოხვდა, ხოლო მეორე ნაწილი მომავალ ნომერში გამოქვეყნდება.

ასევე, ვფიქრობთ სარედაქციო კოლეგიაში წარმოდგენილი იყოს სხვა ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებიც, შესაბამისად ეს იქნება არა რომელიმე ერთი, თუნდაც მაღალი რეიტინგის მქონე

უნივერსიტეტის ჟურნალი, არამედ ყველას მიერ აღიარებული.

სტატია, რომელსაც პრეტენზია აქვს დაიბეჭდოს სამეცნიერო ნაწილში, მან უნდა გაიაროს რეცენზია და აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს.

ჟურნალის გვერდებზე თქვენ იხილავთ პრაქტიკულ ნაწილსაც, რომელიც საინტერესოა ჩვენი მკითხველისათვის. ჩვენ ასევე, შემოვიღებთ რუბრიკას 'საუნივერსიტეტო ცხოვრება', სადაც დაიბეჭდება ჩვენს რედკოლეგიაში წარმოდგენილი, უმაღლესი სასწავლებლებში მიმდინარე საინტერესო სიახლეები, სამეცნიერო კონფერენციები, შეხვედრები, კონტაქტები საზღვარგარეთის წამყვან უმაღლესი სასწავლებლებთან. მომავალი ნომრიდან დავიწყებთ ამავე უმაღლესი სასწავლებლების წარდგენას მკითხველისათვის, თუ რა მიღწევები აქვს თითოეულს და ა. შ.

ლოიდ ქარჩავა
14.04.2009.

საქალი ეკონომისტი

მისამართი: 0105, საქართველო, თბილისი
ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 32 990 576;
მობ.: +995 55 277 554;
ელ ფოსტა: info@economisti.ge;
info@loi.geveb-gverdi;
www.economisti.ge; www.loi.ge

ADDRESS: 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 32 990 576;
mob.: +995 55 277 554;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

საქართველოს
საერთაშორისო სამართალი



უწმიდესისა და უნეტარესისა, სწავლასა და
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II



ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ ხე იგი ცხოვრებისაი
შენს შორის აღმოცენდა დღეს“ (საშობაო საგალობელი)

ყოველადსამღვდელთა მღვდელთაგან, დირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო,
ყოველნო საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოსა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ
მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

აღამსა და ევას, სამოთხიდან განდევნის
შემდეგ, შემოქმედმა აღუთქვა, რომ კაცთა მოდგ-
მას მაცხოვარს მოუვლენდა და ეს აღთქმა მან
სხვა და სხვა დროსაც რამდენჯერმე გაიმეორა.
ებრაელთა ერთი მოთმინებით ელოდა ამ
წინასწარმეტყველების აღსრულებას და აი, ახლა
მამამთავარ იაკობის ნათქვამი: ‘არ წაერთმევა
კვერთხი იუდას, ვიდრე არ მოვა მისი მფლობე-
ლი და ის იქნება იმედი ხალხთა“ (დაბ. 49,10).

რომის იმპერიის ნაწილად ქცეულ იუდეაში,
იმპერატორ ავგუსტუსს ოქტავიანეს დროს,
მმართველად დაინიშნა წარმოშობით იდუმიელი
პეროდე, რომელსაც ხალხი ტირანად და დავი-
თის ტახტის უზურპატორად მიიჩნევდა. სწორედ
პეროდეს მეფობის პერიოდში დავითის ქალაქ
ბეთლემში მწირ, მიტოვებულ გამოქვაბულში, ბა-
გასა შინა იშვა მხსნელი სოფლისა, უფალი ჩვე-
ნი იესო ქრისტე.

აღსრულდა მიქიას წინასწარმეტყველებაც:
“შენ კი ეფრათის ბეთლემო, უმცირეს ხარ
იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამო-
ვა ხელწიფე ისრაელში და ძველთაგან იქნება
მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან“ (მიქ. 5,1).

როგორი უბრალოებითა და სიმდაბლითაც
მოვევლინა მაცხოვარი ამ ქვეყანას, მისი შობა
პირველთ ასეთივე მაღლის მქონე ადამიანებს
ეუწყათ. არა საზოგადოების რჩეულნი - მწი-
გნობარნი, ფარისეველნი ან უხუცესნი, არამედ
უბრალო მწყემსები გახდნენ დირსნი, მოესმინათ
ანგელოზთა საოცარი საგალობელი: ‘დიდება
მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვი-

დობა და კაცთა შორის სათნოება“ და პირველებს
ეხილათ ზეციური ყრმა.

სახარება გვამცნობს, რომ შემდეგ ახალშო-
ბილი იესოს თაყვანისაცემად აღმოსავლეთიდან
ვარსკვლავს წამოყოლილი მოგვებიც მოვიდნენ
და ძღვნად მორთვეს ოქრო (როგორც მეფეს),
გუნდრუკი (როგორც ღმერთს) და მური (როგორც
ადამიანს). მათი სახით უფალი წარმართთაც
“გამოუჩნდა“, რადგან ამ ხალხშიც დიდი იყო
მესიის მოლოდინი და, ამასთან, თავიდანვე განცხ-
ადდა, რომ იესო განკაცდა არა მარტო “რჩეული
ერისთვის“, არამედ სხვა ხალხებისთვისაც, ანუ
მთელი კაცობრიობისათვის.

დაკარგული ცხოვარის შესახებ სახარები-
სეული იგავი ნათლად წარმოაჩენს ადამიანთა
გადარჩენისათვის უფლის მიერ გაღებული მსხ-
ვერპლის არსს: მწყემსი კეთილი ტოვებს 99
ცხვარს (იგულისხმება ანგელოზთა დასი) და
მიდის მთებში დაკარგული ერთი ცხვრის (ცოდ-
ვებში დანთქმული კაცობრიობის) მოსაძიებლად
და როცა იპოვის დავრდომილსა და უღონოს,
მხრებზე შეისვამს და აბრუნებს უკან.

მწყემსის მხრებზე შესმული ცხვარი სიმ-
ბოლოა სულიერად დავრდომილი, ღონემიხდილი
ადამის მოდგმისა, რომელსაც უფლის დახმარებ-
ის გარეშე არ შეუძლია ცოდვითაგან განწმენდა
და ღვთის საუფლოში დაბრუნება.

ღიახ, იესო ქრისტემ “თავს იღო ჩვენი ცოდ-
ვები და იტვირთა ჩვენი სატანჯველნი“, - როგორც
ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი (53,4).

მაგრამ ღმერთი განკაცდა არა მარტო იმი-

ახალი ეპოქისთვის



ტომ, რომ გვასწავლოს გზა ჭეშმარიტი და კვიწვენოს მაგალითი ცხოვრებისა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ დაგვაკავშიროს თავისთან და თავისი ღვთაებრივი მადლით ჩვენი დაზიანებული, დაცემული შინაგანი სამყარო განაახლოს და აღადგინოს.

როგორ ხდება ეს?

- საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებით, რომელთა შორის უპირველესი არის ნათლობა.

ერთადერთი ვარიანტი, რომელიც ქრისტიანობამ აღიარებდა ჭეშმარიტ ღმერთს, იყვნენ ებრაელები. მათ უფალი წინასწარმეტყველთა საშუალებით არიგებდა და სწორად სვლის გეზს აძლევდა. ძველი აღთქმა იცნობს უდიდეს წინასწარმეტყველთ: მოსეს, დავითს, ესაიას, იერემიას, იესუქიელს, დანიელს, ილიას და სხვებს, რომლებიც, მართლაც, გამორჩეული და საოცარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ გარდაცვალების შემდეგ სამოთხის ღირსნი ვერ გახდებოდნენ, რადგან, სხვათა მსგავსად, აღამისა და ევასგან შემკვიდრებით მიღებული პირველქმნილი ცოდვით იყვნენ დამძიმებულნი. წმიდა წერილი ხომ ბრძანებს: 'ვინ შობს წმიდას უწმიდურისაგან? არავინ' (იოხი, 14,4) და ისინიც, როგორც სხვა მრავალნი მართალნი, მოელოდნენ მესიას, რომელსაც ღმერთსა და აღამიანს შორის განიხილი უფსკრული უნდა ამოეგსო და მიწიდან ზეცისკენ მიმავალი კიბე აღეშენებოდა.

ებრაელ ერში უშვილობა ღვთის სასჯელად სწორედ იმიტომ ითვლებოდა, რომ მიანდათ, თუ თვითონ არა, თავისი შთამომავალი მაინც მოესწრებოდა მსხნელს და მისი ღოცვით აღმოყვანებული იქნებოდა ჯოჯოხეთის სკნელიდან.

და აი, იშვა ემმანუელი - ჩვენთან არს ღმერთი, რომელმაც კაცთა მოდგმას ზეცის კარიბჭენი გაუხსნა. ვიმეორებ, პირველ რიგში, ნათლობით, რადგან ნათლობის მადლით აღიხოცება აღამისა და ევას პირველქმნილი უდიდესი ცოდვა და ნათლობამდელი ყველა სხვა ცოდვაც; აღამიანი ხდება უბიწო და ენიჭება სულიწმინდის ბეჭედი.

ეს არის უდიდესი წყალობა ღვთისა, ეს არის პიროვნების მეორედ შობა და სულიერი დაბადება ქრისტიკაში; ამის გარეშე ცხოვრება არ არსებობს; ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: 'ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გუეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება ხელახლა (წყლისა და სულისაგან), ვერ იხილავს ღმერთის სასუფეველს' (ინ III, 3,5).

ასე რომ, ნათლობა აუცილებელია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან, თოთოეული ჩვენგანი, ბოროტის გავლენით, ყოველდღიურად მრავალ ცოდვას ჩადის, რაც მის სულს ზღვრავს უქადის.

იესო ქრისტე, საეკლესიო საიდუმლოებების საშუალებით, საოცარ მადლს გვანიჭებს ეშმაკის მახეთაგან თავის დასაღწევად; ამ მადლთა შორის უმთავრესი არის სინანული;

ამა თუ იმ მიზეზის გამო სინანულის განცდა ყველა აღამიანს აქვს, მაგრამ ქრისტიანული სინანული განსხვავებულია; იგი გულისხმობს ღმერთთან დარღვეული კავშირის აღდგენის მიზნით ცოდვათაგან განწმედის დიდ სურვილს.

“შეინანეთ!” - ქრისტეს გამოჩენამდე მოუწოდებდა ხალხს იოანე ნათლისმცემელი და მათ წყლით განბანდა.

“შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა!” - ბრძანებს პირველივე ქადაგებაში მაცხოვარი.

ღიას, სინანულია სწორედ ის მთავარი ფუნდამენტი, რასაც უნდა დაეფუძნოს ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება. აღამიანები ეკლესიაში ხშირად მოდიან გასაჭირის გამო, ან ავადმყოფობისგან განკურნების სურვილით, ან, თუნდაც, სხვათა მიბაძვით, მაგრამ მათში თუ ჭეშმარიტმა სინანულმა არ გაიდვიდა და ღვთისადმი ჩვენი დამოკიდებულება ამ გრძნობას არ დაეფუძნა, რწმენა მალე გაფერმკრთალდება და ასეთი ეკლესიიდანაც თავისი ნებით განდგებიან.

ამა თუ იმ საზოგადოებაში მრავლად არიან ისეთი აღამიანები, რომელთაც მიანჩიათ, რომ ეკლესიის გარეშეც ცხოვრებია, რადგან სხვებით ცუდს არაფერს სჩადიან.

მაგრამ მათი ყოფა ღმერთთან შერიგებისთვის სულაც არ არის საკმარისი. ჯერ ერთი, ეს 'სიკარგე' შედარებითია და სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი უცოდველნი; მეორეც, თოთოეულმა ჩვენგანმა შეწყალება უნდა ითხოვოს უფლისაგან და თანაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომ ჯოჯოხეთისთვის არ გაიწიროს.

ზეციდან გადამრჩენელი კიბეა დაშვებული და თუ ბოლო საფეხურამდე კარგად არ ჩავტყდებით მას ხელს (ანუ თუ უფლის მცნებებს არ დავიცავთ), ცხოვრების ქარიშხალი უფსკრულში გადაგვჩეხს. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ საფეხურზე ვდგავართ; ნებისმიერ სიმაღლეზე მყოფი აღამიანი შეიძლება და-

ახალი მაცხოვრების გზა



სახალი ეპონომოსტი

შორდეს ღმერთს და ჩამოვარდეს კიბიდან.

სულიერ ზეადსვლას კიდევ ერთი თავისებურება ახლავს; რაც უფრო მაღლა აღის პიროვნება, მით უფრო ნათლად აცნობიერებს საკუთარ ცოდვებს და, შესაბამისად, უფრო ღრმა სინანულიც ეუფლება (ჩაიხედეთ თქვენს გულებში, და მიხვდებით, როგორია თქვენი სულიერი მდგომარეობა).

ბევრს არ ესმის, ასე რატომ ხდება.

მსურს, შეგახსენოთ აბბა დოროთეს საუბარი ქალაქ ღაზის ცნობილ პიროვნებასთან.

მოძღვარმა ჰკითხა მას, თუ როგორ ადამიანად მიიჩნდა თავი თავის ქალაქში.

- გავლენიან და ყველასგან დაფასებულ ადამიანად, - იყო პასუხი.

- და თუ წახვალ კესარიისში, იქ როგორ მიგიღებენ?

- იქაურ დიდებულთა შორის უკანასკნელად.
- ანტიოქიაში?
- ჩვეულებრივ ადამიანად.
- კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე?
- თითქმის არაფრად.

ეს მიწიერი კეთილდღეობისათვის დამახასიათებელი კატეგორიებია; ასევე ხდება სულიერ ცხოვრებაშიც, - წერს აბბა დოროთე, - რადგან, რაც უფრო ახლოს ხარ ღმერთთან, მით უფრო მეტად გრძნობ, რომ სინამდვილეში არარაობა ხარ.

ჭეშმარიტი და ღრმა სინანული არ გულისხმობს უიმედო გლოვასა და სასოწარკვეთას, რადგან ამ დროს ხდება მთელი სისხვებით გაცნობიერება ღვთაებრივი სიყვარულისა და, რა თქმა უნდა, საკუთარი უძლურებისაც.

წმიდა მამები ამ მდგომარეობას მტირალ სიხარულსაც უწოდებენ; მას, მართლაც, მოაქვს სიხარული, ნუგეში და მშვიდობა სულისა, თანაც ისეთი, რომელსაც ამქვეყნიური ვერანაირი ნეტარება ვერ შეედრება. 'ღმერთის სასუფეველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, (ანუ მიწიერი კეთილდღეობა), არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა', - გვასწავლის პავლე მოციქული (რომ. 14,17).

გულწრფელი სინანულითა და მოძღვრის წინაშე თქმული აღსარებით, ნათლობის მსგავსად, ადამიანი სულიერი ბიწისაგან განიწმინდება. (უნდა ვეცადოთ, თვეში ერთხელ მაინც ვეზიაროთ ამ საიდუმლოს, რომ სული არ გაგვიუხეშდეს და შინაგანი თვალის ჩინი არ დაგვეშრიტოს).

რატომ არის აუცილებელი აღსარება ვოქ-

ვით მოძღვართან? რა საჭიროა ჩემსა და ღმერთს შორის შუამავალი? განა არ შეიძლება ხატთან ვაღიარო ჩემი ცოდვები და ცოდვების ხშირად გაიგონებოთ მორწმუნეებსა და მათგანგანს სიურ ადამიანებში.

მათ პასუხად შევახსენებთ თავისი მოწაფეებისადმი მაცხოვრის მიერ თქმულ სიტყვებს: 'ჭეშმარიტად, გუუბნებით თქვენ, რასაც შეჰკრავთ ქვეყანასა ზედა, შეკრული იქნება ზეცაშიც და რასაც გახსნით მიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც' (მათე 18,18).

ეს ნიჭი შეკვრისა და ცოდვათა მიტევებისა მოციქულებმა ხელდასხმით გადასცეს თავის მოწაფეებს, იმ მოწაფეებმა თავის მოწაფეებს... და ასე მოდის ეს უწყვეტი ჯაჭვი დღემდე. რომ ავიღოთ მართლმადიდებელი ეკლესიის ნებისმიერი მოძღვარი და მივევთ მის ხელდასხმელთა გენეალოგიურ რიგს, აუცილებლად მივალთ რომელიმე მოციქულამდე. და ეს უწყვეტობა მაღლისა არის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი.

ასე რომ, სასულიერო პირს, რომელსაც შეჩერებული არა აქვს მღვდელმოქმედება, თვით იესო ქრისტესაგან აქვს მონიჭებული უფლება ცოდვათა შენდობისა. ეს უფლება არა აქვს საერო იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე მდგომ არც ერთ პიროვნებას, მათ შორის, არც მეფეს.

მოძღვარი არის ერთგვარი შუამავალი ამა თუ იმ პიროვნებასა და ღმერთს შორის. იგი, შეიძლება, არ აკმაყოფილებდეს ჩვენს მოთხოვნებს, მაგრამ არავინაა შეზღუდული, მოძებნოს სხვა სასულიერო პირი, რომელთანაც ბოლომდე გაიხსენება. სულიერ ურთიერთობაში კომფორტს განსაკუთრებით ისინი საჭიროებენ, რომელთაც ეკლესიური ცხოვრება ახალი დაწყებული აქვთ. შემდგომ ეტაპზე ადამიანისთვის მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს, ვის ეტყვის იგი აღსარებას; მან იცის, რომ თუ რწმენით მიმართავს მოძღვარს, უბრალო მღვდლისგანაც საოცარ სიბრძნეს მოისმენს, რადგან აღსარების საიდუმლოს დროს უფალი უხილავად თვითონ ისმენს ჩვენს ნათქვამს და, ჩვენი რწმენისა და სიწრფელის შესაბამისად, მოგვაგებს მაღლს მოძღვრის მეშვეობით.

რაც არ უნდა მძიმე ცოდვა გვქონდეს ჩადენილი, არ უნდა მოგვერიდოს მისი თქმისა, რადგან ღვთის წინაშე ისედაც არაფერია დაფარული. მთავარია, ჩვენ რას განვიცდით და რომელი ცოდვის გამო ვითხოვთ შენდობას. უნდა ვიცოდეთ ისიც,



ახალი ეპონომოსტი

რომ ცოდვა არ არის ჩვენი თვისება, ეს არის ბოროტის გავლენით განხორციელებული ქმედება, ხოლო ჩვენი ერთგულება ქრისტესადმი სწორედ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მას ცოდვის შესაბამისი სინანული ვაჩვენოთ და თუ ღირსნი ვართ, მოძღვრის მიერ დადებული სასჯელიც (ეპიტიმია) მორჩილებითა და სიყვარულით მივიღოთ, როგორც წამალი ჩვენი განკურნებისა.

ზოგიერთები ამა თუ იმ ვნებაზე ამბობენ, ეს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა და მას რატომ უნდა ვებრძოლოთ. ამასთან, ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ეს სიტყვა, - ვნება, - დადებით კონტექსტში მოიხსენიება და ტელევიზიისა თუ პრესის საშუალებით მკვიდრდება აზრი, რომ, მაგ., მრუშობა, სიცრუე, განკითხვა, დიდებისმოყვარეობა, ამპარტავენება, მამათმავლობაც კი . . . ადამიანის თვისებებია და მათში დანაშაულებრივი არაფერია.

ეს ტყუილია!

იოანე კიბისადმწერელი (ისევე როგორც სხვა მამები), განმარტავს, რომ ვნებები ბიწია სულისა, რომელიც გულს ჩვეულებად ექცა ხშირად გამეორების გამო. ამავე მიზეზით გვექმნება ილუზია, რომ ისინი ჩვენი გულიდან მომდინარეობენ.

სინამდვილეში ცოდვა, ვნება, - ეს ჩვენი სულის დაჩირქებული, გახრწნილი ზედნადებია, რომელიც უნდა მოვიკვეთოთ სინანულით, აღსარებითა და ზიარებით (ასევე სხვა საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებით).

ადამიანს ძალუძს დაამარცხოვოს საკუთარ თავში ხანგრძლივად არსებული ყველაზე მძიმე ცოდვაც კი და საბოლოოდ განდევნოს იგი. უფრო სწორედ, მას ამის განხორციელება ღვთის შეწვევით შეუძლია. რადგან, თუ არა მოწყალეობა უფლისა, ჩვენ ვერც სათანადო სინანულს შევძლებთ, ვერც გულწრფელ აღსარებას ვიტყვით და, მით უმეტეს, სათანადოდ ვერ მოვემზადებით ექსპარისტიისათვის, რომლის დროსაც მაცხოვრის ხორცსა და სისხლს ვეზიარებით და ჩვენი სული მასპინძელი ხდება უფლისა.

თვით იესო ქრისტე შემოდის ჩვენში, რომ განგვაძტიცოს, განგვაძლიეროს და ახალ სულიერ სიმაღლეზე აგვიყვანოს, სულიერი და ხორციელი კურნება მოგვანიჭოს და ჭეშმარიტი სიბრძნე მოგვამადლოს. ამას ეწოდება სინერგია - ადამიანური და ღვთაებრივი ნების გაერთიანება.

ამ მადლს, ამ წყალობას საუკუნეების განმავლობაში ელოდა კაცობრიობა; იგი ახლა ჩვენს წინაშეა და მის გარეშე არ უნდა დარჩეს არაფერი. რადგან ეს, ფაქტიურად, უარყოფაა ღვთისმადლად რომ ადამიანს თავი მორწმუნედ მიაჩნდეს.

ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: “თუ კი არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შევსმავთ მის სისხლს (ანუ არ მივიღებთ ზიარებას), არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში. ხოლო ვინც შეჭამს ჩემს ხორცს და ვინც შესვამს ჩემს სისხლს, ის ჩემშია და მე მასში. ეს არის პური, რომელიც გარდამოხდა ზეცით. ამ პურის მჭამელი იცოცხლებს უკუნისამდე“ (ინ. 6. 53,56,58).

მაგრამ, ამ საიდუმლოს მისაღებად განსაკუთრებულად უნდა მოემზადოს ახალგაზრდაც და ასაკოვანიც, ხელისუფალიც და ინტელიგენტიც, მუშაც, გლეხიც და სასულიერო პირიც, რათა არ ექცეს იგი სასჯელად.

ცხოვნების გზას ნებისმიერი ადამიანი თავისუფალი ნებით ირჩევს. ისინი, რომლებიც არ ისმენენ იესოს დარიგებებს, ოდესმე აუცილებლად გაიგონებენ მის მკაცრ სიტყვებს: “წარვედით ჩემგან წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელიც გამზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის“. (მთ. 25,41).

ღიახ, ღმერთი გულმოწყალეა, მაგრამ სამართლიანიც, უსასრულოდ შემნდობია, მაგრამ მართლმსაჯულიც.

ყოველადწმიდა სამებამ მოანიჭოს თითოეულ ჩვენგანს ჭეშმარიტების გზით სვლის უნარი და დაგვიფაროს გვერის ცეცხლისაგან! ეს ყოველივე ბევრისათვის ცნობილია და მასში ახალი არაფერია, მაგრამ ამას ვწერ ‘უძღებ შვილთათვის’, რომ დაუბრუნდნენ “მამის წიადს” და, ვიდრე გვიან არ არის, ცხოვრების წესი შეცვალონ.

ჩვენ ისედაც მეტად რთულ დროს გვიწევს ამქვეყნად ყოფნა. მართალია, საქართველოს მძიმე პერიოდები თავისი არსებობის მანძილზე თითქმის სულ ჰქონდა, მაგრამ მაშინ ადამიანებს რწმენა უფრო მტკიცე ქონდათ და თან განსაცდელთა ასეთი სიმრავლეც არ იყო;

ახლა ჩვენს ხალხს მოუწია პოსტსაბჭოთა გარდამავალი პერიოდის სიმძიმის გადატანა, ცხოვრების ერთი წესიდან მეორეში გადასვლა, უმუშევრობა, შიმშილი, ომი, მორალური კრიტიკრიუმების შეცვლა, ძალადობისა და სიცრუის მორევში მოხვედრა... აღარაფერს ვამბობ ვიწრო



საქართველოს ადგილობრივი მთავრობების განვითარების ევროპული სააგენტო

ახალი პარონომისტი

ოჯახურ და პირად პრობლემებზე.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არც ხვალენდელი დღე იძლევა უკეთესი მომავლის იმედს, რადგან მთელი მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში შედის, რომელიც შეიძლება სისტემურ კრიზისად იქცეს, ანუ არსებული სისტემა სხვამ, პრინციპულად ახალმა, სისტემამ შეცვალოს.

ხდება მსოფლიოს და ცალკეული ქვეყნების რეგიონალიზაცია, ანუ გარკვეულ ჯგუფებად დაყოფა; ხოლო, იმის მიხედვით, თუ რა პრინციპი უდევს საფუძვლად ცალკეული გაერთიანების შექმნას, შეიძლება, ესა თუ ის ქვეყანა რაღაც მიმართულებით (მაგ., ვაზის ან ნავთობის მოპოვებით) ერთ გაერთიანებაში მოხვდეს, ხოლო მეორე მიმართულებით (მაგ., კოსმოსის ათვისების სფერო), - სხვა გაერთიანებაში. ამასთან, მოსალოდნელია დაჯგუფებებს შორის დაპირისპირებების გამწვავება გავლენის სფეროების გასაფართოვებლად.

ისტორიის თანამედროვე ეტაპი მომხმარებლური საზოგადოების ღირებულებათა ზეობის დროცაა. მისთვის მთავარია მიწიერი კეთილდღეობა და არა სულიერი სიმდიდრე. ამიტომაცაა, რომ გამართლება ეძებება მატერიალური გამდიდრების ყველა საშუალებას.

დიახ, დღეს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების შეუზღუდავი წარმოება კი არა, ფული ბატონობს და თუ ეს მომხმარებლური პროცესი დროზე არ შეჩერდა, საზოგადოება კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.

სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფო ევექტური მართვის საკუთარი მექანიზმის ძიებას დაიწყებს.

ჩვენც უნდა გამოვინახოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები.

როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამბობენ, აუცილებელია, საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადაამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება.

ის, რომ ჩვენი ხელისუფლება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წინსვლისთვის

გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მისასაღწეველია, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

აქ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ რამდენიმე მიმართულებას შევხვდეთ.

საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს.

დღეს კი მავანნი კახელ გლეხს სოლიდურ თანხას სთავაზობენ, რომ მან შვილივით ნახარდი ვაზი აჩეხოს და სანაცვლოდ საზამთრო ან სხვა კულტურა დარგოს; ამასთან, ყურძნის მოყვანის ინტერესს იმითაც უკლავენ, რომ მოსაგლის ჩაბარებისას, მინიმალურ ფასსაც არ აძლევენ. ასე არ უნდა გაგრძელდეს. იქნება გამოსავლად იქცეს გლეხურ მეურნეობებში დამზადებული სუფთა ღვინის ექსპორტი სახელმწიფოს მიერ.

რაც შეეხება ხორბალს, მისი ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად არის შემცირებული და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მხოლოდ 9% აკმაყოფილებს; სამწუხაროდ, ამ 9%-შიც არ შედის ჩვენი ტრადიციული ადგილობრივი ჯიშები.

მეტად სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი სრული გაქრობის პირასაა. არადა, ჩვენგან წადებულ თესლს სხვა ქვეყნები თავისად წარმოაჩენენ და ამით ამყოფენ; ხოლო საქართველოში ექსპორტირებული ხორბალი და პურის ფქვილი, რომელიც მოხმარებული პროდუქციის 91% შეადგენს, იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

საქმე შემდეგშია: მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ ხელოვნური მეთოდებით (გენური ინჟინერია, შხამ-ქიმიკატები, მცენარის ზრდის სტიმულატორები და ასე შემდეგ) მიღებული საკუთარი ჭარბი პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები გააფართოვონ და სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის წარმოება შეაფერხონ, საქართველოც სურთ, თავისი გავ



ეროვნული
ნიუსპიუთიქა

ახალი ეპოქისთვის

ღენის სფეროდ და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქციონ; მით უმეტეს, რომ აქ, ხალხის დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო, იაფფასიანი, უხარისხო ნაწარმის გასაღება პრობლემას არ წარმოადგენს.

ამ ტენდენციას ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დაუპირისპიროთ. სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკა, მართალია, მნიშვნელოვანია (ვგულისხმობ სახელმწიფო დოტაციებს, სარწყავი წყლითა და საძოვრებით უზრუნველყოფას, რაიონებში უფასო საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედებას), მაგრამ თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, - მან უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტიაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები.

ყველამ იცის, რომ, ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ, დღეს უკვე სერიოზული ბიბი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება.

ვფიქრობ, ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც. ამიტომაც, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამეურნეო ჯიშები (არა მარტო ყურძნის და ხორბლის, არამედ ღობიოს, კარტოფილის, საერთოდ ბოსტნეულის, ხილისა და საქონლის), თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენ ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ.

აღნიშნულის შესახებ მე ადრეც ვწერდი, მაგრამ დღეს ეს უკვე აუცილებლობად იქცა. მითუმეტეს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც აქეთკენ გვიბიძგებს, რადგან მისგან გამოწვეული დეფიციტი, პირველ რიგში, ალბათ, კვების პროდუქტებს შეეხება.

როდემდე გაგრძელდება ამდენი პრობლემები?, - ბუნებრივია, ყველას გულში ეს კითხვა ტრიალებს.

- ეს ჩვენზეა დამოკიდებული.
არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველო

ღვთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა, მაგრამ ვართ კი დღეს იმ სულიერ სიმადლეზე, რომ ჩვენი თხოვნა ისმინოს უფალმა?
- არც სხვები არიან უკეთესები,
- იტყვის მავანი
- ჩვენ ბევრი მოგვეცა და ბევრიც მოგვეთხოვება. არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ საქართველო, წმიდა მამების თქმით, ბოლოქამს გაბრწყინდება, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? მატერიალური კეთილდღეობით? ამით ხომ დღევანდელი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა იწონებს თავს და რა, ეს არის გაბრწყინება?

- რა თქმა უნდა, არა; იგი გულისხმობს მთელი ერის სულიერ ამაღლებას.

ის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თავს მორწმუნედ მიიჩნევს, კარგია, მაგრამ, ეს არ არის საკმარისი, რადგან ეკლესიური ცხოვრებით ყველა არ ცხოვრობს. ამასთან, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავითავისოთ ის მცნება, რომელიც ჯერ კიდევ წინასწარმეტყველ მოსეს პირით გამოუცხადა რჩეულ ერს შემოქმედმა: **“ისმინე ისრაელ! ერთია უფალი, უფალი ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით.**

გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომელიც დღეს გამოგიცხადე. ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიბნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე. წააწერე სახლის წირთხლებს და კარებს“ (მეორე რჯუთი 6, 4-9).

წმიდა მარკოზ მახარებელი კი წერს: ერთ-ერთი მწიგნობრის კითხვაზე, - რომელია უპირველესი მცნება, - მაცხოვარმა უპასუხა:

ისმინე, ისმინე ისრაელ! უფალი ღმერთი ჩვენი ერთი უფალია! და გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, და მთელი შენი სულით, და მთელი შენი გონებით, და მთელი შენი ძალით, - აი, უპირველესი მცნება! (მარკ. 12, 29-30).

- რა იგულისხმება ამაში?
- ეს ნიშნავს, რომ არავინ და არაფერი ღმერთზე წინ არ უნდა დავაყენოთ!

“ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი!“ -

ბრძანებს მაცხოვარი (მათე 10,37).

- რატომაა ასეთი მკაცრი მოთხოვნა? - იმიტომ, რომ სიყვარული ნიშნავს მთელი არსებით სწრაფვას მისდამი, ვინც გიყვარს. თუ ჩვენ ღმერთზე წინ სხვას დავაყენებთ, მისი გულისთვის რაიმე მიზეზით როდესმე დავივიწყებთ უფალს და სულიერად დავიღუპებით.

ჩვენი გული და სული მთლიანად უნდა მიეუძღვნათ შემოქმედს, რათა ადგილი აღარ დავუტოვოთ ბოროტს და არ მივცეთ საშუალება ამა თუ იმ საბაბით განგვაშოროს ღმერთს, როგორც ეს თავის დროზე ადამს და ევას დაემართათ.

ღმერთი თავად სიყვარულია და ჩვენც ნამდვილი სიყვარულით ცხოვრებას გვასწავლის. ეს სიყვარული დიდად განსხვავდება მიწიერი სიყვარულისაგან, რომელიც “ეგო“-ზეა ორიენტირებული და “მეს“ წარმოიქმნება ემსახურება.

“მე უნდა ვიყო მდიდარი“, “მე უნდა ვიყო დაფასებული“, “მე ვარ ნიჭიერი“, “მე მინდა“, “მე შემოიღია“, “მე გაძლევთ გარანტიას“... ამ წესით მცხოვრებ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ჩვენი დამსახურება სულაც არ არის თუნდაც ის, რომ ვსუნთქავთ, დავდივართ, ვხედავთ, ვგრძნობთ, ვაზროვნებთ...

მარტო ჩვენგან არ მომდინარეობს არც ის, რომ გვყავს მშობლები, ოჯახი, შვილები, ნათესავეები, ვართ ამა თუ იმ ერის წარმომადგენლები და ვმეტყველებთ ამა თუ იმ ენაზე... მითუმეტეს საერთოდ არა გვაქვს შეხება კოსმიური სამყაროს წესრიგთან, სადაც ყველაფერი მოძრაობს და თან ყველაფერი ერთმანეთთან საოცარ ჰარმონიაშია.

ყოველივე ამის შემოქმედი რომ ღმერთია, ამას თანდათან თანამედროვე მეცნიერებაც აცნობიერებს.

სულ ცოტა ხნის წინ მკვლევარები მიიწინევედნენ, რომ ხელში ეპყრათ ჯადოსნური გასაღები და ნებისმიერი საიდუმლოს ფარდას ახლიდნენ. ახლა კი, დოქტორ შილტის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებენ, რომ “10 წლის წინ უფრო მეტი იცოდნენ სამყაროს შესახებ, ვიდრე ეს დღეს იციან“, რადგან ყოველი აღმოჩენა ასჯერ უფრო მეტი ახალი საიდუმლოებების წინაშე აყენებს მათ.

ყოველადწმიდა სამების ძალა, რომ ოდნავ მაინც გავაცნობიეროთ, დედამიწის ტრაექტორი-

ის შესახებ მეცნიერული გამოკვლევის შედეგებს გაგახსენებთ: ჩვენი პლანეტა და სხეულები მასთან ერთად, სივრცეში ერთდროულად სამი მიმართულებით გადავადგილდებით. შეუჩერებელივ ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო 1000 კმ.სთ. სიჩქარით; მზის გარშემო - 30 კმ.წმ. სიჩქარით, ხოლო მზის სისტემის პლანეტებთან და ჩვენს გალაქტიკასთან ერთად სხვა გალაქტიკებთან მიმართებაში, - 20 კმ.წმ.-ში სიჩქარით ამისი წარმოდგენაც კი არ ძალუძს ჩვენს გონებას. და ნუთუ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ყველაფერი თავისით ხდება?!

შეგახსენებთ იმასაც, რომ ანდრომედას ნისლეულის სახელწოდებით ცნობილ გალაქტიკათა სიმრავლეში მხოლოდ ერთ-ერთია ჩვენი გალაქტიკა, რომელიც, თავის მხრივ, ასობით მილიონ ვარსკვლავს მოიცავს; ამ მილიონობით ვარსკვლავთა შორის არის მზის სისტემაც თავისი 9 პლანეტით, ანუ დედამიწითაც, სადაც ჩვენ ვიმყოფებით.

ო, რა პატარები ვართ ღვთის წინაშე! ამიტომაც ჯერ კიდევ 30 საუკუნის წინ აცნობიერებდა დავით წინასწარმეტყველი და ამიტომაც სულშემძრული ასე მიმართავდა ღმერთს-ყოვლისმპყრობელს: “შეეხედავ შენს ცას - შენი თითების ნაღვაწს, მთვარეს და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე. რაი არს კაცი, რომ მოიხსენებ? ან ძე ადამიანისა, რომ ყურადღებას აქცევ?“

ამის პასუხი, ალბათ ისაა, რომ უფალი იმდენად დიდია, მისთვის სიმცირე არ არსებობს (ისევე როგორც, სულიერად მაღალ საფეხურზე მდგომი პიროვნებისთვის პატარა ცოდვები).

მაშ, როგორ არ უნდა დავაფასოთ ის მსხვერპლი, რომელიც შემოქმედმა ჩვენთვის გაიღო და ძე თვისი საყვარელი ჩვენს გადასარჩენად მოავლინა.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ცანი მოდრიკა და კაცობრივი ბუნება მიიღო, ჯვარს ეცვა და ეწამა, რომ სიცოცხლის ხელ აღმოცენებულიყო და ამ ხის ნაყოფის მიმღებთ (ანუ მცნებების აღმასრულებელთ) შეგვესისხლხორცებინა, რომ ქრისტიანმა საკუთარი კეთილდღეობისათვის კი არა, სხვისთვის უნდა იცხოვროს. რომ ადამიანებისადმი მსახურებაშია ჩვენი გადარჩენა და უფლისადმი ჩვენი სიყვარულის დადასტურება. ამიტომაც მეორე მცნებად დაგვიღო: “გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავის თვისი!“, ხოლო

ახალი ეპოქის მისია



“ვისაც უყვარს მოყვასი, მან აღასრულა სჯული“
(რომ 13,8).

“თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სულს თავისი ძმა, იცრუა; რადგან თუ არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორ შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (1 ინ. 4,20).

“ღმერთი სიყვარულია“ და ‘რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა ღმერთში მკვიდრობს, ხოლო ღმერთი - მასში“ (1 ინ. 4,16).

ჭეშმარიტი სიყვარული აღამიანს ენიჭება სულიწმიდით, (‘ღმერთის სიყვარული განფენილია ჩვენს გულებში სულიწმიდის მიერ“ - რომ.5,5). იგია უძღურთა მკურნალი, ნაკულუღევანთა აღმაგებელი და ნუგეშინსმცემელი უსაზღვრო მადლი, რომლისადმიც ღოცვას (‘შეუფერო ზეცათათ“) ყოველდღე გულმოდგინედ უნდა წარმოვთქვამდეთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ჩვენი ღვთისსათნო საქციელი ჩვენი დამსახურება კი არ არის, არამედ იგი სულიწმიდის შეწევნით ხორციელდება; ამისთვის უნდა ვმადლობდეთ მას და ვცდილობდეთ, ჩვენი სიტყვა და საქმე (ჩვენი შესაძლებლობისამებრ) იყოს გამოხატულება მოყვასისადმი ღვთის ზრუნვისა, ღვთის სიყვარულისა, ღვთის სიმართლისა.

ჩვენ ყველანი მართალია, უფლის წინაშე ინდივიდუალურად ვცოდავთ, მაგრამ, ამავე დროს ვცოდავთ, როგორც ქრისტიანთა კრებული.

დავფიქრებულვართ იმაზე, ვართ თუ არა ჩვენ ის საზოგადოება, რომელიც მოსაწონია ღვთისათვის?

სხვა და სხვა ერი შემოქმედმა სხვა და სხვა ნიჭით დააჯილდოვა. ჩვენ აქედან უფრო მეტად სიყვარულის უნარი განვავითარეთ (ყველაზე მთავარი თვისება ღვთისა), ეს მადლი საუკუნეების განმავლობაში ათას განსაცდელს გამოვატარეთ და დღესაც, მრავალი პრობლემის მიუხედავად, ღვთის შეწევნით, შევინარჩუნეთ.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის, რომ თითქმის 20-წლიანი გარდამავალი მძიმე პერიოდის პირობებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, ჩვენი ერი არავის მიმართ მტრობის სურვილით არ ადძრულა; საშინელ ჭირ-ვარამგამოვლილი დევნილი მოსახლეობაც სულით არ დაცემულა და არ გაბოროტებულა.

ამიტომაც მჯერა, ათასი საცდურის მიუხე-

დავად, კვლავაც შევძლებთ ღვთის გზით სიარულსა და მის უღვევ სიყვარულთან ნამდვილ თანახმობას.

ჩვენს თავს მოწვევული განსაცდელი გამოსწორებისათვის არის დაშვებული და ამიტომაც, სიმძიმის მიუხედავად, თავმდაბლობითა და მადლობით უნდა მივიღოთ იგი.

თუმცა ქართველი ერი ვერასოდეს შეგუება შექმნილ უსამართლობას. ჩვენ ყველასთან მშვიდობა გვინდა, მაგრამ არა ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე.

ისიც მჯერა, ადრე თუ გვიან, აფხაზეთიც და ოსებიც მიხვდებიან, რომ მათი გადარჩენა საქართველოსთან ერთობაშია და ეს დღე მით უფრო მალე დადგება, რაც უფრო მალე მოხდება მათიც და თითოეული ჩვენგანის, - საერთოდ ჩვენი საზოგადოების, შემდგომი სულიერი ამაღლება.

საქართველო აუცილებლად გამოთიანდება და გაბრწყინდება!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა შვილს, - ქართველთ და არაქართველთ, სამშობლოს მკვიდრთ და უცხოეთში მყოფთ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთ, - სრულიად საქართველოს, მოელს მართლმადიდებელ სამყაროსა და მსოფლიოს გულითადად ვულოცავთ იმედის, სიხარულისა და ნუგეშის მომცემ საყოველთაო დღესასწაულს - ქრისტეს შობას.

დღეს, ზეიმობს ცა და დედამიწა, კაცთა მოდგმა და ანგელოზთა დასი; დღეს დღეა სიყვარულისა, დღეა ღმერთთან და ერთმანეთთან შერიგებისა, ევას გლოვის დასასრულისა და ჩვენი მეოხისა და მფარველის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამობრწყინებისა.

მაშ, მიუძღვნათ ჩვენი გული ბეთლემში შობილ ყრმას და შევიყვაროთ იგი ყოვლითა სულითა, ყოვლითა გულითა, ყოვლითა გონებითა და ყოვლითა ძალითა, რათა კეთილი გვეყოს ჩვენ და ვიხარებდეთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,

შობა ქრისტესი, თბილისი, 2008/2009 წ.

საქრებულო



თეიმურაზ შანგელია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ
ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კათედრის გამგე



თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის საქართველოს ეკონომიკური სისტემის მსოფლიოს ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალება. ის იქმნება:


- საზღვარგარეთის კაპიტალის მოზიდვის პირობების შესაქმნელად;
- ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება-დანერგვისათვის;
- კვალიფიცირებული პერსონალის მოსაზიდად;

• საექსპორტო ორიენტაციის დარგების განვითარებისათვის.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების რეზიდენტები (მონაწილეები) არიან:

- საზღვარგარეთის ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები;
- ერთობლივი საწარმოები;
- უცხოური კომპანიების შვილობილი კომპანიები.

ახალი ეკონომიკა




ნახ. № 1. თავისუფალი ეკონომიკური ზონების კლასიფიკაცია

თავისუფალი ეკონომიკური ზონები იყოფა ორ ჯგუფად: საერთო დანიშნულების და სპეციალური დანიშნულების ზონებად (იხ. ნახ. №1).

საერთო დანიშნულების არის ის ზონა, რომელიც გატანილია ეროვნული საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ეს არის შედარებით მცირე ტერიტორიები შექმნილი მსხვილი საზღვაო პორტებთან ან აეროპორტებთან ახლოს.

სპეციალური დანიშნულების ზონები (სუბზონა) იქმნება მსხვილი კორპორაციების შექმნის და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

საერთო დანიშნულების ზონების ხელს უწყობენ: ეროვნული ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას. ზრდიან ქვეყანაში დასაქმების დონეს; აფართოებენ საგარეო ვაჭრობას. თავისუფალი



ეკონომიკური ზონების შექმნა ყველა ქვეყანაში სპეციფიკურია. ამასთან, ისინი ექვემდებარება რამოდენიმე საერთო პრინციპს. ესენია:

- ტერიტორიის ლოკალურობა;
- ლოიალური საგადასახადო, იურიდიული და საფინანსო-ეკონომიკური რეჟი-მების არსებობა;
- სპეციალიზებული საქმიანობა (მაგ., საბანკო ოფშორები, სადაზღვევო ოფშორები და სხვა);
- უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი დაცვა.

სახდვარგარეთის კომპანიებს ასეთ ეკონომიკურ ზონებში გააჩნიათ საგადასახადო, საქესპორტო-საიმპორტო, საბაჟო და სხვა შეღავათები, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას მოგების ნორმა გაზარდონ 40 პროცენტამდე, რაც განსაკურებით მიმზიდველს ხდის ამ ზონებს.

მსოფლიოში არსებობს სხვა ტიპის ეკონომიკური ზონებიც: ინდუსტრიული, ტურისტულ, საფინანსო სერვისის, ტექნოლოგიური და სხვა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა და ოფშორული ზონა (ოფშორის – ინგლ. Offshore – სახდვარგარეთ) ეკონომიკური შინაარსით არის ერთი და იგივე ცნებები. ამასთან, ოფშორის ქვეშ იგულისხმება განკერძოებული რეგიონი, კუნძული, რომელშიც მოქმედებს ოფშორის შემქმნელი ქვეყნის ზოგიერთი სამართლებრივი ნორმა.

ოფშორების საერთო ნიშნები არის შემდეგი:

- არ ხდება ფასიანი ქაღალდების შემოსავლების დაბეგვრა;
- მათთვის დამახასიათებელია აქტივების მინდობილობითი მართვა;
- ექსპორტირებულ კაპიტალზე ყველა ტიპის გადასახდების არარსებობა.

ამასთან, ოფშორებში არის სპეციფიკური საგადასახდო შეღავათებისა და დაბეგვრის სისტემა. თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის გეოგრაფიული რეგიონი, მასში მოქმედი ეკონომიკური კანონები გაცილებით ლიბერალურია ვიდრე საკუთრივ ქვეყნის კანონები, ის იქმნება ქვეყანაში ინვესტიციური აქტივობის ზრდის მიზნით, ოპშორული ზონა კი ფინანსური კაპიტალის მოსაზიდად. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი რაოდენობით საკუთარი საინვესტიციო რესურსები, რათა მიღწიონ ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს.


მსოფლიოში დღეისათვის არსებობს 3000-ზე მეტი სპეციალური ეკონომიკური ზონა. თუშქა

აღსანიშნავია ისიც, რომ მათი რაოდენობა სისტემატიურად იცვლება. ნაწილი ქრება, ხოლო მეორე ნაწილი ახლად ჩნდება. ნებისმიერი ტიპის ზონა კონკრეტული მიზნით იქმნება. უმეტეს შემთხვევაში შექმნას წინ უძღვის სპეციალური მოსამზადებელი ეტაპი, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნა არის ის, რომ ამ ზონაში მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს ბიუროკრატიული ბარიერები და ამოქმედდეს საგადასახადო დაბეგვრის გამარტივებული რეჟიმი. სპეციალური ეკონომიკური ზონების ერთ-ერთი თავისებურება, საგადასახდო სისტემის ლიბერალიზაციაში ან საერთოდ გაუქმებაში მდგომარეობს. ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ირლანდია, ლიბერია, ლიხტენშტეინი, პანამა გადასახადები საერთოდ არ ამოიღება ან ამოიღება უმნიშვნელო რაოდენობით. მაგალითად, კომპანიის რეგისტრაციის პროცესში ხდება დადგენილი თანხის, აგრეთვე სარეგისტრაციო შენატანის გადახდა, დადგენილია საბანკო და სადაზღვევო სატრანსპორტო საქმიანობის მოსაკრებლები. ის საერთო ნიშნები რომლითაც ხასიათდება თავისუფალი ეკონომიკური ზონები არის შემდეგი:

- მაქსიმალურად არის გამარტივებული რეზიდენტი და არარეზიდენტი კომპანიების რეგისტრაციის პროცედურა;
- არ არსებობს რაიმე შეზღუდვები სავალუტო ოპერაციების ჩატარების თვალსაზრისით;
- გადასახადები პირობითი ან საერთოდ არის გაუქმებული;
- დაბალია მომსახურების ტარიფები;
- მაქსიმალურად გამარტივებულია საბაჟო და საგადასახადო პროცედურები;
- გამარტივებულია საფინანსო ოპერაციები და სხვა.

1973 წელს დაარსდა კარიბის კუნძულების თანამეგობრობის ორგანიზაცია CARICOM, რომელიც აერთიანებს 23 კუნძულ სახელმწიფოს, რომელთათვის დამახასიათებელია შეზღუდული ბუნებრივი რესურსები, განუვითარებელი შიდა ბაზარი, დამოკიდებულება ექსპორტზე და ტურიზმზე. ამის გამო, ეს ქვეყნები ცდილობენ შეუქმნან მაქსიმალურად ლიბერალური საგადასახდო პირობები უცხოელ ინვესტორებს, რათა მოიზიდონ კაპიტალი. ასე მაგალითად, კაიमानოვის კუნძულებზე 25 უმსხვილესი მსოფლიოს ბანკიდან 20 გააჩნია თავისი ფილიალი.

ახალი მკონომისტი



აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნესის მოზიდვის მიზნით საგადასახდო სისტემის ლიბერალიზაციამ გამოიწვია ოფშორული ზონების განვითარება. ასე მაგალითად, ღამანშის კუნძულზე ფუნქციონირებს 80-მდე უცხოური ბანკი და 35 ათასამდე საფინანსო კომპანია, რომელთა დეპოზიტების მოცულობა 160 მილიარდს აღემატება. ამ ზონაზე არ ვრცელდება ევროსაბჭოს მიერ დადგენილი ბანკების რეგულირების და დაბეგვრის კანონები.

ბაგამის კუნძულებზე არ არსებობს საშემოსავლო, კორპორატიული, მოგების გადასახადი.

პონკონგში ამოიღება 15 პროცენტიანი გადასახადი შიდა გარიგებებისა და ოპერაციებისაგან. უცხოური ქონება გადასახდით არ იბეგრება.

ლუქსემბურგში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ცენტრს პოლდინგები არ იბეგრება. არ არსებობს დამატებული ღირებულების გადასახადი.

მონაკოში ფიზიკური პირები გადასახადით არ იბეგრება, საზღვარგარეთის ფირმებისათვის არის შეღავათიან საგადასახადო რეჟიმში.

შეისვლის კუნძულებზე უცხოელი მეწარმეები განთავისუფლებულნი არიან ყოველგვარი გადასახადისაგან.

კვიპროსზე გადასახადი უცხოელებზე არ აღემატება 5 პროცენტს. ამასთან, შეღავათები გადასახადებზე ვრცელდება კუნძულის მხოლოდ ბერძნულ ნაწილზე.

არაბეთის გაერთიანებული საემიროებში ყველაზე წარმატებულია ჯებელ ალის თავისუფალი ეკონომიკური ზონა JAFZA, სადაც

არ არსებობს გადასახადები ეს ნავთობმომპოვებელი ქვეყანა 1,2 მილიონი მოსახლეობით წარმოადგენს ქვეყანას „ოაზისს“, რის გამოც იზიდავს ინვესტიციებს დიდ რაოდენობას. ამასთან, JAFZA-ში შედარებით ნაკლები ნავთობის რაოდენობაა, რამაც მის საკომპენსაციოდ გამოიწვია სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა. აქ რეგისტრირებულია 6000-ზე მეტი კომპანია მსოფლიოს 120 ქვეყნიდან. ყოველწლიურად აქ დამატებით იქმნება 500 ახალი კომპანია, ამჟონის წარმატების საწინდარი არის ის რომ მოიხსნა კომპანიათა რეგისტრაციის პროცესში ყოველგვარი წინანდმდეგობა და გადასახადები ამან თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელიც თავდაპირველად არაბეთის ყურის ქვეყნების ვაჭრობის განვითარებისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა დღეს მოიცავს მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიებს. JAFZA-ს ზონის ანალოგიურის შექმნა არის ნავარაუდები ფოთში, სადაც ზონის შიდა ტერიტორიაზე არსებული კომპანიები ყველა ტიპის გადასახადისაგან განთავისუფლება, გარდა სარეგისტრაციო და მოსახურების გადასახდისა, თავად ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა საქართველოს იურიდიული პირი იქნება და ის როგორც რეზიდენტი თავისი მოგებიდან გადაიხდის ყველა გადასახადს ქვეყნის ბიუჯეტში. ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირება მოიცავს სამ ეტაპს: 2007-2008 წლებში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადებას; 2008-2012 წლებში ინფრასტრუქტურის შექმნას; 2013-2016 წლებში ზონის სრულ მაშტაბიან ამოქმედებას.

ახალი ეკონომიკური

BUSINESS FACILITIES IN IN SPACIAL ECONOMIC ZONE

TEIMURAZ SHENGELIA

Doctor of Economic Sciences, Professor

Free economic zone is one of the means of integration of Georgian economic system in world economics. It divides in two groups: the general purpose and special purpose zones. The general purpose zone is the one, which is moved out the national customs territory. The special purpose zones (sub-zone) are created for the purpose of broad-scale corporations and for their functions support. There are other types of economic zones: industrial, tourist, financial services, technological and others. There exist more than 3000 special economic zones in the world by now. But, it is important that their amount systematically changes. The part disappears and the other part appears again.

In the United Arab Emirates is most successful Jebel Ali free economic zone JAFZA, creation of analogue of which is supposed in Poti.



მეცნიერული
გაზეთი

სლაზა ვატილაშვილი



ფილოსოფიის დოქტორი ეკონომიკაში,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სიტყვა (ტერმინი) „კონკურენცია“ (competition, concurrence, wettbewerb) წარმოიშვა გვიანდელი ლათინური სიტყვიდან „concurrentia“ (concurrere) და პირდაპირი მნიშვნელობით (სიტყვა-სიტყვით) ნიშნავს – შეტაკებას, შეჯახებას. ამასთან, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტერმინის შესაბამისად კონკურენციის ქვეშ იგულისხმება სამეურნეო სუბიექტებს შორის ისეთი შეჯიბრი, რომლის დროსაც მათი დამოუკიდებელი მოქმედებები უფექტიანად ზღუდავენ თითოეული მათგანის შესაძლებლობას ცალმხრივად იმოქმედონ საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე შესაბამის ბაზარზე (ზღუდავენ მეტოქის შესაძლებლობას უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობენ მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას).

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ფა. ჰაიეკის აზრით, კონკურენცია ახლის შეცნობის პროცედურაა, რაც დამახასიათებელია ევოლუციისათვის მისი ყველა ფორმით. იგი აიძულებს ადამიანს უნებლიედ ჩაერთოს ახალ სიტუაციაში, რამდენადაც ზრდადი კონკურენციით თანდათან მადლდება უფექტიანობაც. საქმე არა მარტო ისაა, რომ მთელი ევოლუცია ემყარება კონკურენციას, არამედ ისიც, რომ უწყვეტი კონკურენცია უკვე მიღწეულის საფუძველიცაა

თუ ჩავუდრმაველებით ზოგადად კონკურენციის ისტორიას, მისი ფესვები მიდის უძველეს დრომდე. იგი, პრიმიტიული სახით, მაგრამ მაინც, ჯერ კიდევ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კვალობაზე, გაცვლის წარმოშობასთან ერთად აღმოცენდა და მისი განვითარების შესაბამისად მოხდა მისი დახვეწა. თუმცა, მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, იგი სათავეს იღებს ძველი რომიდან და ასახულია რომის იმპერატორთა იმ დეკრეტებში, რომლითაც ცალკეულ საქონელზე მტკიცე ფასები იყო დაწესებული, რაც სპეკულაციური მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად (მაგალითად,

იმპერატორი დიოკლეტიანის დეკრეტი ფასებზე და სხვა).

კონკურენციას განსაკუთრებული და პირველადი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში, ის არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშე შეუძლებელია საბაზრო მეურნეობის საფუძვლების დაცვა, თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის პრინციპების განხორციელება, ცალკეული პერიოდისათვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებლისათვის მისაღები ფასის ფორმირება.

განსაზღვრულ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება ხდება უშუალოდ ბაზარზე, რომელიც რაც უფრო კონკურენციულია, მით უფრო მოგებულია საზოგადოება. ამდენად, კონკურენცია საბაზრო ეკონომიკაში ფასწარმოქმნის მექანიზმის ისეთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რომლის (სამართლიანი კონკურენტული გარემოს) არსებობის საჭიროება უკვე დიდი ხანია აღიარებულია მთელ მსოფლიოში. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ისტორიულად ფართო გამოყენება ეკონომიკურმა კონკურენციამ მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა შუასაუკუნოვანი პრივილეგიების ლიკვიდაცია და კაპიტალიზმის დამკვიდრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის მთავარი მიზანი არის უპირატესობის მოპოვება ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის და მაქსიმალური მოგების მიღება უპირატესობის მიღწევის ხარჯზე. თუმცა ისიც ფაქტია, რომ კონკურენცია, ისევე როგორც მისი საპირისპირო მოვლენა მონოპოლია, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ განსაზღვრულ მდგომარეობაში. შესაბამისად, კონკურენციისა და მონოპოლიის

სახეობები დამოკიდებული არიან შესაბამისი სასაქონლო ბაზრის ისეთ პარამეტრებზე როგორცაა – კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობა; ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის თავისუფლება, საქონლის დიფერენციაცია და საბაზრო ფასების გაკონტროლებაში ცალკეულ სუბიექტთა როლი.

ზოგადად, ბაზრის მდგომარეობიდან გამომდინარე, ერთმეთისაგან განასხვავებენ კონკურენციის შემდეგ ძირითად სახეებს – 1) სრულყოფილ (თავისუფალ) კონკურენციას, 2) არასრულყოფილ (მონოპოლისტურ) კონკურენციას და 3) რეგულირებად კონკურენციას. ამასთან ფაქტია, რომ საბაზრო მეტოქეობის კლასიკურ ფორმას განეკუთვნება თავისუფალი კონკურენცია და კონკურენცია ფასების მიხედვით.

თავისუფალი კონკურენციის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბაზარი, რომლის ფუნქციონირების პირობებს განსაზღვრავს მომხმარებელი. კერძოდ, იწარმოება ის, რაც სჭირდება მყიდველს და საქონელი იყიდება მაქსიმალურად შესაძლებელ დაბალ ფასებში. ბაზარი იმითაა ეფექტური, რომ წარმოების ან გასაღების რაიმე კონკრეტულ ცვლილებებს არ შეუძლია გააუმჯობესოს მომხმარებლის ან გამყიდველის მდგომარეობა სხვა რომელიმეს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენების გარეშე. საზოგადოების კეთილდღეობა მაქსიმუმს აღწევს, რადგან რესურსები გამოიყენება მაქსიმალურად ეფექტიანად, ხოლო პროდუქციის გამოშვება წარმოადგენს ოპტიმალურს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენციის განმსაზღვრელი ფაქტორებია (შესაბამისი ფირმის ქცევის ფაქტორებს წარმოადგენენ): ა) ბაზარზე მრავალი დამოუკიდებელი ფირმის არსებობა, რომლებიც საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტენ, თუ რა სახის საქონელი უნდა აწარმოონ და რა რაოდენობით; ბ) ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის (თავისუფლების შეუზღუდაობა) ბარიერების არ არსებობა, რაც ყველა მოქალაქეს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გახდნენ თავისუფალი მეწარმეები და საკუთარი უნარი, ნიჭი და მატერიალური სახსრები მოახმარონ მათთვის საინტერესო სფეროებს. ამ დროს მყიდველები ასევე თავისუფალნი არიან ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან (უფლებათა შელახვისაგან) და აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ

საქონელი და მიიღონ მომსახურება ნებისმიერ ბაზარზე ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის სიმსუბუქე მიმწოდებელს მას ინვესტიციებისათვის, განსაკუთრებით სახეობის პროდუქცია ერთგვაროვანია (არ არის დიფერენცირებული), რის გამო ცალკეულ მყიდველებს არა აქვთ მიზეზი და არც სურვილი, რომ აირჩიონ რომელიმე კონკრეტული გამყიდველი და მიინცდამინც მას მიანიჭონ უპირატესობა, და ბაზარზე ერთი მყიდველის მიერ ნაყიდი ან ერთი გამყიდველის მიერ გაყიდული პროდუქციის რაოდენობა იმდენად მცირეა ამ ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობასთან შედარებით, რომ თითოეული მათგანის რაოდენობრივ ცვლილებას არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ამ ბაზრის ფასზე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ეკონომიკური აგენტები არანაირად არ მონაწილეობენ საბაზრო ფასების კონტროლში და ბოლოს ე) ბაზარი ინფორმაციული თვალსაზრისით გამჭვირვალეა. გამყიდველები და მყიდველები ფლობენ სრულ ინფორმაციას ერთმანეთის, ასევე საქონლის ხარისხის, ფასების და სხვ. შესახებ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენცია შეესაბამება კლასიკური კაპიტალიზმის პერიოდს, რომლის თეორეტიკოსები, კონკურენციას განიხილავდნენ, როგორც თავისთავად არსებულს (ცხადს), რომელიც თავის მხრივ მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგს და შემოისაზღვრება მხოლოდ სუბიექტური მიზეზებით. ძირითადი ყურადღება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენელთა შრომებში ექცეოდა ფასთა კონკურენციას. ისინი კონკურენციას აიგივებდნენ ბაზრის „უხილავ ხელთან“, ანუ მის ავტომატურ მექანიზმთან.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი მეტოქეობა თანამედროვე პირობებში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, კონკურენციის ყველა არსებულ სახეობაში მეტ-ნაკლები მოცულობით შენარჩუნებულია საბაზრო მეტოქეობის დაწერილი თუ დაუწერელი კანონები.

რაც შეეხება კონკურენციული ქცევის ზოგად წესებს უნდა აღინიშნოს, რომ მის გასააზრებლად აუცილებელია წარმოვიდგინოთ საბაზრო კონკურენციის რეალური მასშტაბები. იგი მოიცავს შესაბამისი ბაზრების მთელ სისტემას. ამასთან ფაქტია, რომ კონკრეტულ სასაქონლო ბაზარებზე კონკურენცია ხშირად ღებულობს სახეს „ყველა ყველას წინააღმდეგ“. ამ დროს კონკურენციული ბრძოლა ძირითადად შემდეგი სამი მიმართულებით

ახალი პერიოდისტი

მიმდინარეობს – პირველი მიმართულება ესაა ბრძოლა გამყიდველებს შორის. კერძოდ, თითოეული გამყიდველი ცდილობს უფრო ძვირად გაყიდოს საკუთარი საქონელი და მომსახურება, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველებს შორის მეტოქეობა მწვავედაა, გამარჯვებული რჩება ის, ვინც უფრო იაფად ყიდის საქონელსა და მომსახურებას და შესაბამისად ახდენს მოთხოვნის სტიმულირებას; წინააღმდეგობის მეორე კერა ესაა ბრძოლა მყიდველებს შორის, რომლებიც მუდმივად ისწარაფვიან სხვებზე იაფად შეიძინონ საქონელი და მომსახურება. ამ ბრძოლაში გამარჯვება რჩება იმ მყიდველს, რომელიც საბაზროზე უფრო მაღალ ფასს შესთავაზებს გამყიდველს და ბოლოს, კონკურენციული ბრძოლის მესამე ფრონტი მიმდინარეობს უშუალოდ გამყიდველებსა და მყიდველებს შორის. ფაქტია, ისინი სხვადასხვა პოზიციებზე დგანან ფასების დონესთან მიმართებაში, რის გამოც მოგებულები რჩება ის მხარე, რომელიც უფრო მობილიზებულია და შეძლებს მეორე მხარეს თავს მოახვიოს საკუთარი პირობები.

ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ბაზრის სუბიექტებს შორის უწყვეტი დაპირისპირება ვლინდება ძალის სახით, რომელიც თითოეული ეკონომიკური აგენტის საქმიანობას წარმართავს ისეთი სახით, რომელთა არსებობა ამ სუბიექტებმა შესაძლოა არც კი იცოდნენ. ამასთან, კონკურენცია როგორც ბაზრის რეგულატორი, კანონზომიერად ზემოქმედებს შემდეგ გარემოებებზე – ა) გამყიდველთა და მყიდველთა ფასების ცვლილება, ბ) მოთხოვნა-მიწოდებას შორის არასტაბილური თანაფარდობა და გ) საბაზრო ფასის გადახრა.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თუ საბაზრო ფასი დიდად აღემატება წონასწორობის (ბალანსის) წერტილს, მაშინ ძლიერდება კონკურენცია გამყიდველებს შორის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საბაზრო ფასი წონასწორობის წერტილზე უფრო დაბლა ეცემა, მაშინ მწვავედაა კონკურენცია მყიდველებს შორის.

თავის მხრივ, თავისუფალი კონკურენცია იძულებულს ხდის მონოპოლიურად მაღალ და მონოპოლიურად დაბალ ფასებს იმოდროს წონასწორობის (ბალანსის) წერტილისაკენ. ეს ცენტრისკენული მოძრაობა კი საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მეტოქე მხარეთა დაბალანსებას. საბაზრო მეტოქეობის უშუალო ჩართვა წონასწორობის ფასების წარმოქმნასა და საქონლის რაოდენობის

გათანაბრებაში, გვეკარნახობს კონკურენციული „თამაშის“ ისეთ წესებს, რომლის დროსაც:

1) ეკონომიკურმა აგენტებმა მხედველობა უნდა მიიღონ წონასწორობის ფასების დონე, როგორც რაციონალური სამეურნეო საქმიანობის ნორმატივი, რისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში (საქონელსა და მომსახურებაზე მონოპოლიურად მაღალი ფასის დაწესება მეტი მოგების მიღების მიზნით), მათ აუცილებლად შეექმნებათ პრობლემა საქონლის რეალიზაციის პროცესში (საქონლის ჩაწოლა), რომლის გამოსწორების მიზნით ისინი იძულებული იქნებიან დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეამცირონ ფასები (ჩამოაფასონ საქონელი), რათა მიზიდველი გახადონ საქონელი და მომსახურება მიყდველისათვის;

2) სწორი მენეჯმენტისა და მარკეტინგის პირობებში ეკონომიკური აგენტები თავიანთ საქონელსა და მომსახურებას ჰყიდიან ერთსა და იმავე ფასად, თუმცა, იმავდროულად ცდილობენ, რომ ნაკლები რესურსები დახარჯონ ერთეული პროდუქციის წარმოებაზე და ნაკლები თვითღირებულებით აწარმოონ კონკრეტული საქონელი. შესაბამისად, ნერგავენ ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, პოულობენ შრომის ორგანიზაციისა და წარმოების უფრო ეფექტურ ფორმებს, რომლებიც რესურსების უფრო ეკონომიურად გამოყენების შესაძლებლობებს ქნის;

3) თუ ეკონომიკური აგენტის ერთეული პროდუქციის ფასი რეალიზებულ საქონელზე უფრო მაღალია ვიდრე წონასწორობის ფასი, და ეს გამოწვეულია ერთეული პროდუქციის წარმოების მაღალი დანახარჯებით, მაშინ აუცილებელია მოხდეს საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური მოდერნიზაცია (განახლება), ხოლო მისი განუხორციელებლობის (შეუძლებლობის) შემთხვევაში საწარმო უნდა დაიხუროს;

4) ცალკეულ შემთხვევებში კონკურენტი ეკონომიკური აგენტები მიმართავენ ხოლმე ფასებით კონკურენციის მეთოდს. თუ მეწარმეს ფინანსური რესურსები აძლევს საშუალებას, არაა გამორიცხული მან მიმართოს მონოპოლიურად დაბალი ან დემპინგური ფასის გამოყენებასაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია და არ წარმოადგენს დავის საგანს ის გარემოება, რომ – ა) კონკურენციის შედეგად მტკიცდება საქონლის წარმოებისა და

სახალი ეკონომისტი

რეალიზაციის ნორმალური საზოგადოებრივი პირობები, ბ) კონკურენცია გზას უხსნის ყოველივე ახალსა და მოწინავეს და გ) კონკურენციის შედეგად ბაზრიდან ქრება ყველა არაეფექტური და ჩამორჩენილი მეურნეობა. შესაბამისად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საზოგადოებაში არსებობენ (წარმოიშობიან) გარკვეული სუბიექტები, რომელთა შორის წარმატებას აღწევენ ისინი, რომლებიც ეყრდნობიან ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ მიღწევებს, რომელთა პარალელურად არიან ისეთი სუბიექტებიც, რომლებიც ვერ აღწევენ

წარმატებებს და განიცდიან (განიცადეს) სამეწარმეო კრახს. ასევე არაა გამორიცხული ბაზარზე იყვნენ ისეთი ეკონომიკური სუბიექტებიც, რომლებიც თავიანთი საბაზრო შედეგებიდან გამომდინარე არაკონკურენციულ ბაზარზე ოცნებობდნენ, მაგრამ ამის მიღწევის საშუალებას სახელმწიფო მათ არ უნდა აძლევდეს. შესაბამისად, სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით უნდა ხდებოდეს, კონკურენციული გარემოს დაცვის მიზნით, ქვეყნის სასაქონლო ბაზრების ზომიერი სამართლებრივი რეგულირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. რიკარდო, „პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები“ (თარგმნილია ფ. გოგინაიშვილის მიერ), თსუ, 1937;
2. ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ (თარგმნილია ინგლისურიდან ფ. გოგინაიშვილის მიერ), თსუ, 1938;
3. ფ. ა. ჰაიეკი, „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“, 1-ლი გამოცემა, თბ., „ელვა“, 2000;
4. Азов Г.Л. – „Конкуренция, анализ, стратегия и практика“, Книга 3, М., Центр экономики и маркетинга, 1996.
5. Гелхорн Э., Ковасик В. - Антитрестовское законодательство и экономика (Перевод на русский язык), Вашингтон, 1995.
6. Портер М. – Конкуренция, М., „Вильямс“, 2000.
7. Тотьев К.Ю. – Конкурентное право /Учебник/, М., 2003.
8. Хайек Ф. А. – Пагубная самодеянность, М., 1992.
9. Мэнкью Н.Г. – Принципы экономики, Санкт-Петербург, Изд. „Питер Ком“, 1999
10. Эллиот Д. – Экономические подходы к картелям, Материалы семинара по конкурентной политике (OECD), Вена, Австрия, 2006;

ახალი ეკონომისტი

SORTES AND BEING OF COMPETITION

SLAVA FETELAVA

PHD Economics,


Grigol Robakidze University Asossation Professor

In the article „Sortes and being of competition” is underlined essential meaning of conversation and is noted, that better competition is in the market, the better benefit society get.

There are discussed sortes of competition, but the most important is free competition. There are limited causes and also is noted, that free competition is expedient to classical capitalism period and is rare in modern life.

Besides, there are discussed usual forms of competition and are also underlined that rules of competition „game”, which are dictated by market competitors in balance of prices and equalize of goods.

Eventually, we may conclude, that there are distinct subjects in society, but successful persons are only they, who lean on technical, organizational and economic achieves and also the subjects, who do not achieve success and have (had) failure. It is not unnatural that there were such kind of economic agents in the market, who dream about market without any kind of competition because of their market power, but the state must forbid this. Accordingly, the state have to balance country’s goods markets fair regulation in the case of defending surroundings of competition.



ექსპორტის მარკეტინგული უზრუნველყოფისათვის



უზანგი სამაღაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ცენტრალურია საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სადღო, რაც დაახლოებით მილიარდნახევარ დოლარს შეადგენს.¹ რომ არა ესოდენ დიდი სადღო, საქართველოს ორჯერ მეტი ბიუჯეტი ექნებოდა. საქმე ისაა, რომ სავაჭრო დეფიციტი, ანუ იმპორტსა და ექსპორტს შორის უარყოფითი სხვაობა, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალით იფარება. ამ უკანასკნელის მომსახურება კი ბიუჯეტის მიერ ხდება, რაც ზრდის მის დეფიციტს.

აღნიშნული უარყოფითი მოვლენის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, ჩვენი აზრით, ქართული ექსპორტის არასათანადო დონეზე საერთაშორისო მარკეტინგული უზრუნველყოფაა, რაც საანალიზო პრობლემაზე არსებული სამამულო ეკონომიკური ლიტერატურის სიმწირითაც უნდა აიხსნას. წინამდებარე სტატიის მიზანი სწორედ აღნიშნული ვაკუუმის რამდენადმე შევსებაა. მასში მოცემულია საერთაშორისო მარკეტინგის შინაარსი, მიზანი, საფეხურები, კონცეფციები, ინფორმაცია, გეგმის შედგენისა და პროფესიული დახმარების ხერხები, საქსპორტო ბაზარზე გასვლის ხელშემშლელი მიზეზები და მათი დაძლევის გზები.

საერთაშორისო მარკეტინგი, როგორც საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანული შემადგენელი ნაწილი, არის საქმიანობა სახლვარგარეთის ბაზრების ათვისებასთან დაკავშირებით. საგარეო ბაზარზე მარკეტინგული საქმიანობა, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც შიდა ბაზარზე განხორციელებული ანალოგიური საქმიანობის გაგრძელება. თუმცა, იგი დამოუკიდებელი საქმიანობის უაღრესად

სპეციფიურ სფეროს წარმოადგენს, რომელიც რიგ შემთხვევაში მოითხოვს მუშაობის განსაკუთრებულ ხერხებსა და მეთოდებს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მარკეტინგი საშინაოსაგან განსხვავდება ინფრასტრუქტურის, მარკეტინგული კომუნიკაციისა და საქონელმოძრაობის სპეციფიკით. ამას გარდა, საერთაშორისო მარკეტინგი, საშინაოსაგან განსხვავებით, ემყარება საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების გლობალიზაციას და ინტერნაციონალიზაციას, ასევე, სხვა ქვეყნების ეროვნული ეკონომიკებისა და ბიზნესების ფუნქციონირების თავისებურებებს. ყველაფერი ამის გამო, საერთაშორისო ბაზრის შესწავლა უფრო რთული და შრომატევადია, ვიდრე საშინაო ბაზრისა.

საერთაშორისო მარკეტინგი შედგება რიგი თანმიმდევრული ნაბიჯებისაგან, ესაა: მიზნის დასახვა; საქმიანობის ღონისძიებათა პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა; საბაზრო კონიუნქტურის, შიდა და გარე გარემოს ანალიზი და პროგნოზი; ბაზრის სეგმენტაცია; სასაქონლო სტრატეგიისა და ფასწარმოქმნის შემუშავება; საქონელმოძრაობის არხების ფორმირება; მოთხოვნის ფორმირებისა და სტიმულირების პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია.

გამოყოფენ საერთაშორისო მარკეტინგის სამ კონცეფციას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მარკეტინგული ღონისძიებების სტანდარტიზაციით და ინდივიდუალიზაციით: 1) **დამხმარე მარკეტინგი** - დაკავშირებულია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საწყის ეტაპთან; 2) **მრავალეროვნული დიფერენციალური მარკეტინგი** - დაკავშირებულია უკვე რამდენიმე ქვეყნის ბაზარზე საგარეო ეკონომიკური საქმიანობის

თარგმანი: ალექსანდრე მკვირიძე



სახალი პირობისა

გაფართოებასთან; 3) გლობალური ტრანსნაციონალური მარკეტინგი – განპირობებულია მთლიანად საერთაშორისო ბაზარზე კომპანიის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების

აუცილებლობით, რაც ამადლებს სპეციალიზაციას და სტანდარტიზაციას და ამავდროულად ხელს უწყობს წარმოებისა და გაყიდვების მოცულობის ერთდროულ გაუმჯობესებას.

კომპანიების მიერ საქმის ცოდნით და გონივრულად განხორციელებული საერთაშორისო მარკეტინგი მათი წარმატებული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. და პირიქით, კომპანიები, რომლებიც მუშაობენ საგარეო ბაზარზე და არ იყენებენ საერთაშორისო მარკეტინგს, მის პრინციპებსა და მეთოდებს, საკუთარ თავს კონკურენტებთან შედარებით იმთავითვე უარეს მდგომარეობაში აყენებენ.

მსოფლიო ბაზრის გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო მარკეტინგი ემყარება თეზისს: “იპრობუნე გლობალურად, იმპქმედე ლოკალურად”. ეს იმას ნიშნავს, რომ: საგარეო ბაზარი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთიანი მთელი. ეს არის თითქმის 200 ეროვნული ბაზრის კონგლომერატი, სადაც თითოეული მათგანი საერთო ნიშნებთან ერთად თავის სპეციფიკასაც ფლობს; ეროვნულ ბაზარზე წარმატებისათვის, საჭიროა ვიცოდეთ და გვესმოდეს ზოგადმსოფლიო გლობალური განვითარების ტენდენციები პლიუს ასათვისებელი ქვეყნის ეროვნული ბაზრის თავისებურებანი, მისი ადგილი და კავშირი მსოფლიო ბაზართან. მაგალითად, საზღვარგარეთის ამა თუ იმ ბაზარზე პოტენციური მოთხოვნის განსაზღვრისათვის აუცილებელია ეროვნული წარმოების მოცულობის, ექსპორტისა და იმპორტის, მსოფლიო წარმოებისა და ექსპორტ-იმპორტის ზრდის შესაძლებლობების სარწმუნო პროგნოზი; შესაძლებლობიდან გამომდინარე, აუცილებელია საქონლის ადაპტაცია რამდენიმე უცხოურ ბაზართან; საგარეო ბაზარზე გასვლის და მის ათვისების საქმეში მთავარია საკუთარი მყიდველი-მომხმარებლის

მოძიება ან მომხმარებელების ბაზრის ფორმირება, რადგანაც თუ არ არის მომხმარებელი, არ არის თავად მომხმარებელი. საგარეო ბაზარზე წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია: შესაბამისი უცხოური ენის ცოდნა, არასტაბილური უცხოური ვალუტის პირობებში და სრულიად უცნობი სამართლებრივ-პოლიტიკურ გარემოში მუშაობის უნარი; საკუთარი საქონლის მისადაგება ეროვნული, ენობრივი, კულტურული და რელიგიური თავისებურებებით განპირობებული სამომხმარებლო მოთხოვნილებებთან.

საერთაშორისო მარკეტინგმა მსოფლიო ბაზრის მიმდინარე მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების ღრმა ანალიზის საფუძველზე უნდა მოამზადოს უტყუარი და დამაჯერებელი მასალა კონკრეტული მმართველური გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც პასუხს გასცემს შემდეგ კითხვებს: ღირს თუ არა საგარეო ბაზარზე გასვლა; როგორი იქნება ძირითადი მიზნები; როგორია ამ მიმართულებით პერსპექტივები; როგორ რისკებს შეიძლება წააწყდეს კომპანია; რომელი ქვეყნის ბაზარია უკეთესი; კომპანიას შეუძლია თუ არა, რომ ამ ბაზარს შესთავაზოს არსებული საქონელი, თუ საჭირო გახდება მისი ადაპტირება ან ახალი საქონლის შემუშავება; როგორ შეიძლება შერჩეულ ბაზარზე წარმატებით გასვლა; დამოუკიდებლად თუ ადგილობრივი კომპანიის დახმარებით, უბრალოდ საქონლის ექსპორტირებით თუ მისი ადგილზე წარმოებით; მარკეტინგული ღონისძიებების როგორი კონკრეტული პროგრამა უნდა შემუშავდეს დასახული მიზნის მიღწევისათვის; მოცემული პროექტის რეალიზაციიდან როგორი ფინანსური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა შედეგებია მოსალოდნელი; პროექტის რეალიზაციისათვის რა რესურსები და წყაროები იქნება საჭირო.

ამგვარად, საერთაშორისო მარკეტინგი თავისი შინაარსით ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ექსპორტი. ისე როგორც, საშინაო მარკეტინგი უფრო ფართოა ვიდრე გასაღება, რამეთუ იგი საქონლის გასაღებაზე ბევრად ადრე იწყება და მის შემდეგაც კარგა ხანს გრძელდება (მაგალითად, საქონლის საგარანტიო მომსახურებით გაყიდვის შემთხვევაში).



სამწუხაროა, რომ ქართველი მეწარმენი, რატომღაც გაურბიან საქსპორტო ბაზარს. ამის მიზეზები შემდეგია:

ინფორმაციის სიმცირე. საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად ექსპორტიორმა ფართო და მრავალფეროვანი ინფორმაციის საფუძველზე გუილასმით უნდა გამოიკვლიოს ბაზარი. არადა, საერთაშორისო ბაზრის კვლევა, ეროვნულსაგან განსხვავებით, საკმაოდ რთული და სპეციფიური საქმეა. სიძნელეები წარმოიქმნება სრულიად მოულოდნელი მიზეზებით. მაგალითად, ეროვნული წესწვეულებებით და ტრადიციებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის კლასიკურ მასივებს არ მოიცავს. ამასთან, ზოგიერთ ქვეყნებსა და რეგიონებში, მთელი რიგი მიზეზების გამო, ძალიან რთულია ინფორმაციის მოპოვება ან იგი საერთოდ არ არსებობს ზოგიერთ ქვეყანაში გამოქვეყნებული დოკუმენტები საერთოდ არ ასახავენ ინფორმაციას კონკურენციის შესახებ.¹ ყოველივე აღნიშნულის გამო საერთაშორისო ბაზარზე გასვლა საკმაოდ მაღალ რისკთანაა დაკავშირებული;

ქვეყნის საფეხურებრივი განვითარება. საქსპორტო საქმიან ოპერაციებში ფირმების განვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს საკუთარი ქვეყნის საფეხურებრივი განვითარება. მაგალითად, დღევანდელი საქართველო თავისი ეკონომიკური განვითარებით არის ათი წლის წინმდგომ აშშ-ი. იქ ამ საფრთხეების გადალახვა იოლად შეიძლება, თუკი მეწარმე პროფესიული დახმარებისათვის მიმართავს მთავრობას ან სავაჭრო პალატას. ჩვეულებრივ, პირველი კითხვა, რომელიც ებადება საქსპორტო ბაზარზე გამსვლელ მეწარმეს, არის ის, არსებობს თუ არა საზღვარგარეთ მისი პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი.

აშშ-ში ამ კითხვაზე პასუხის მიღება შესაძლებელია სულ რაღაც რამდენიმე წუთში ვაჭრობის სამინისტროს განყოფილების კომპიუტერულ ფაილებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე. სხვათა შორის, საგარეო ვაჭრობის ბიურო 200 000-მდე უცხოური იმპორტიორი ორგანიზაციის კომპიუტერულ მონაცემებს ფლობს, საიდანაც მეწარმემ შეიძლება მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ: მოიძიოს აგენტები და საბითუმო ფირმები პრაქტიკულად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში;

მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ ფირმას შეიძლება მიეწოდოს საქონელი პირდაპირ და დამყარდეს მასთან კავშირები; ტრადიციული მიიღოს დაწვრილებითი ინფორმაცია ტრადიციული ანგარიშგების საფუძველზე ცალკეული საზღვარგარეთული კომპანიების შესახებ. ტიპიური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ფირმის წარმოშობის, ორგანიზაციის ტიპის, ასაკის, მოსამსახურეთა რიცხვის, სიდიდის, ვაჭრობის სფეროების, წარმოების მეთოდების, პროდუქციის, მმართველთა ვინაობის, ფინანსურ წრეებში რეპუტაციის, ასევე, მასთან მოვაჭრე კომპანიების სახელწოდებების შესახებ.

აშშ-ის საგარეო ვაჭრობის ბიურო, კომპიუტერული მომსახურების გარდა, მეწარმეებს სთავაზობს: უფასო კონსულტაციებს, პუბლიკაციებს, გასაღების სტიმულირების ღონისძიებებს, მარკეტინგული კვლევის ჯგუფების მომსახურებას და სხვა.

სასარგებლო ინფორმაციის მოძიება შეიძლება ადგილობრივი სავაჭრო პალატებისაგანაც. ბევრ მათგანში არსებობს სპეციალური განყოფილება, რომელიც ადგილობრივ მეწარმეებთან თანამშრომლობს მათი პროდუქციის საზღვარგარეთ გაყიდვასთან დაკავშირებით. ფედერალური მთავრობის მსგავსად ისინი ორგანიზებას უკეთებენ სავაჭრო დელეგაციების მივლინებებს, გაყიდვებს, აქვეყნებენ ცნობარებს ინფორმაციით იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება უკეთ გასვლა საზღვარგარეთის ბაზრებზე და სხვა.

საზღვარგარეთული ბაზრის უკეთ მომსახურებისათვის მეწარმემ უნდა შეადგინოს განსაკუთრებული მარკეტინგული გეგმა. ასეთი გეგმა, მნიშვნელოვანწილად ემყარება სხვათა (ვაჭრობის სამინისტრო, ადგილობრივი სავაჭრო პალატა და უცხოური პარტნიორები) მიერ ჩატარებულ მარკეტინგულ გამოკვლევას. ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის შემდეგ, მეწარმეს შეუძლია შეუდგეს მარკეტინგული გეგმის შედგენას ასეთი თანმიმდევრობით: საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების შედარებით კეთილსასურველი ბაზრების გამოვლენა; ამ ბაზარზე პოტენციური მყიდველების გამოვლენა; პროდუქციის მახასიათებლების შემცველი პროსპექტების შედგენა; სავაჭრო ხელშეკრულების პირობების

ორივესთვის ახალი ეპოქისთვის

შემუშავება, რომელიც აკმაყოფილებს უცხოელ მომხმარებლებს და ამვდროულად იცავს მეწარმის ინტერესებს.

მეწარმემ ამგვარი გეგმის შედგენისას დახმარებისათვის უნდა მიმართოს იურისტს და უცხოური ენის სპეციალისტს, რომელთაც სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმების მდიდარი გამოცდილება აქვთ. კვალიფიციურ იურისტს შეუძლია მარტივად და ზუსტად ჩამოაყალიბოს მეწარმის ყველა წინადადება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უცხოელ პარტნიორს მეწარმის წინადადებების შესახებ შეექმნას კარგი და ცხადი წარმოდგენა. იურისტს ასევე, შეუძლია დაიცვას მეწარმის ინტერესები სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერისას და განსაზღვროს კონტრაქტის იმგვარი სამართლებრივი პირობები, რომელიც მეწარმეს საშუალებას მისცემს უმცირესი რისკებით მიიღოს მაქსიმალური მოგება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ოქტომბერი 2008წ;
2. ლ. ყორღანაშვილი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. 1997.
3. Николас К. сирополис. Управление малым бизнесом. М. 1997.
4. М. В. Чиненов. основы международного бизнеса. М. 2007.

ახალი ეკონომისტი

ON MARKETING SUPPORT OF EXPORT

USHANGI SAMADASHVILI
Doctor of Economic Science,
Professor of Tbilisi State University

The article On Marketing Support of Export discusses the content of international marketing, its goals, concepts, information, ways of constructing marketing plan and using professional aid, obstacles for obtaining foreign markets and ways to overcome them.

It is proved, that international marketing in its content is much broader than export. It is mentioned that, given the process of world market globalization, international marketing is based on the thesis: Think globally, act locally. This means that we should not think of the foreign market as of one whole, it is a conglomerate of almost 200 national markets, where each of them, together with common features, is characterized by its own specifics. In order to achieve success in the national market, it is necessary to know and understand the worldwide tendencies of global development, plus the specifics of the national market of the country we are going to obtain. The adaptation of the product to several foreign markets is absolutely necessary, wherever it is possible. The main difficulty on the way to finding a foreign market and obtaining it is to find your own customer-consumer and also forming your own consumer market, as if there is no consumer, there is no business.



თანამედროვე პირობებში ინვესტიციებს ყველა ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ კომპონენტად მიიჩნევენ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამაღლებული რისკის პირობებში საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების, შეფასების მეთოდების განხილვას. ცხადია, რომ დღითიდღე იზრდება ინვესტიციების როლი ეკონომიკის გაჯანსაღებისა და შემდგომი ზრდის საქმეში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს, ამერიკის საქმიანი წრეების ჟურნალის – „ვორჩინის“ აზრით ოცდამეერთე საუკუნე „ინვესტიციების საუკუნე“ შეიძლება გახდეს, რამაც კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს ინტეგრაციული პროცესები.

ეროვნული ეკონომიკაში არსებული სირთულეები, მისი მოდერნიზაციისა და სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, რა თქმა უნდა, მოითხოვს უზარმაზარ კაპიტალდაბანდებებს, ხოლო ფინანსური კრიზისი და არასტაბილურობა, გადახდიუნარობის ზრდა, რეალური შემოსავლების შემცირება მეტად ართულებს ინვესტიციების ფინანსურ უზრუნველყოფას. დღეისათვის ახალი საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნაა საინვესტიციო რისკების მაქსიმალური გაანალიზება და ინვესტიციური პროცესის ყველა მონაწილის ინტერესების ბაზრის ინტერესებთან დაკავშირება, რაც მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინებით უნდა გამხორციელდეს.

იმისდა მიხედვით, თუ რომელ სფეროშია მიმართული ინვესტიციები, და მათი რეალიზაციის შედეგად როგორია შედეგები, ისინი იყოფა რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებად. რეალური ინვესტიციები – ესაა დაბანდებიანი ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალური კაპიტალის მატებას, წარმოების საშუალებების ზრდას მატერიალურ–ნივთობრივი ფასეულობებისა და მარაგების სახით. ფინანსური ინვესტიციები წარმოადგენს დაბანდებებს აქციებში, ობლიგაციებში, თამაშუქებში, სხვა ფასიან ქაღალდებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში. ამგვარი სახის დაბანდებები თავისთავად არ იძლევა რეალური კაპიტალის მატებას, მაგრამ შეუძლიათ მოგების მოტანა, მათ შორის №1 (12), 2009 წელი

სპეულაციურის, ფასიანი ქაღალდების კურსის ცვლილების ხარჯზე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილებში მათი ყიდვა–გაყიდვის გზით. (ფასიანი ქაღალდების ქვეშ იგულისხმება ფინანსური აქტივები. ეს არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს მასთან დაკავშირებულ ქონებრივ უფლებას, შეუძლია თავისუფლად მიმოიქცეოდეს ბაზარზე და არის ყიდვა–გაყიდვის ობიექტი, ფაქტობრივად ფასიანი ქაღალდების ქვეშ იგულისხმება ფულადი კაპიტალის სახესხვაობა, რომელიც ხდება შემოსავლის წყარო და ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტების გამოშვებსა და მის მფლობელს შორის.)

ფინანსური ინვესტიციების შემადგენლობაში გამოყოფენ ე.წ. პორტფელურ ინვესტიციებს. პირები, რომლებიც დებენ ფულს ფასიან ქაღალდებში რისკის შემცირებისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით, იძენენ სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდების პაკეტს, რომელსაც „პორტფელი“ ეწოდება. სწორედ აქედან გამომდინარეობს მოცემული სახის ინვესტიციების სახელწოდება. დღეისათვის ყველაზე გავრცელებული ფორმა ინვესტირება ფასიანი ქაღალდების პორტფელში. ეს განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: 1) ბევრ რეალურ საშუალებებს გააჩნიათ ფინანსური ექვივალენტი აქციების, ოფციონებისა და ფიჭურსების სახით; 2) ფასიანი ქაღალდები, როგორც წესი, უფრო ლიკვიდურია, ვიდრე რეალური ინვესტიციები; 3) ინვესტირება რეალურ აქტივებში მოითხოვს გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ფინანსურ საშუალებებს, ვიდრე ფასიანი ქაღალდები; 4) ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების შემოსავლების შესახებ, ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში, რაც საშუალებას აძლევს ინვესტორს, განსაზღვროს ფასიან ქაღალდებში ინვესტირების შესაძლო რისკი და უკუგება. აქედან გამომდინარე, ფასიანი ქაღალდები ერთობ მიმზიდველია როგორც კერძო–ინდივიდუალური, ასევე ინსტიტუციური ინვესტორებისათვის. ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარზე ყველაზე დიდ სეგმენტს იკავებს ინსტიტუციური ინვესტორები. ისეთები,

თემატიკა

როგორცაა: სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, კოლეჯები, უნივერსიტეტები. ასე მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე მსხვილ - ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე, მათ უჭირავთ მთელი ბრუნვის 82%, მაშინ როდესაც ინდივიდუალურ ინვესტიციებზე მოდის მხოლოდ 12%-ი.

ინვესტიციური ინვესტორები ფლობენ მსხვილ აქტივებს, ამიტომაც არის, რომ ისინი არსებით ზეგავლენას ახდენენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. კერძო ინვესტორები ახდენენ თანხების დაბანდებას ფასიან ქაღალდებში ან ირიბად სადაზღვევო კომპანიებსა თუ საპენსიო ფონდებში. ინვესტიციათა საიმედოობის დონის ამადლების მიზნით, როგორც ინდივიდუალური, ასევე ინსტიტუციური ინვესტორები ახდენენ საინვესტიციო პორტფელის ფორმირებას. ადამიანები თავისი ბუნებიდან გამომდინარე მიისწრაფიან მყისიერი მოგებისაკენ, მაგრამ ფასიანი ქარაღლების ბაზარი საკმაოდ ცვალებადია და კაპიტალის ჩადება ამ ქაღალდებში მეტად სარისკოა. ამიტომ, საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ქვეყნის ეკონომიკური კონიუქტურიდან გამომდინარე აქციებისა და ობლიგაციების თანაფარდობა. ასე მაგალითად, თუ ეკონომიკური ზრდა მაღალია, აქტივების განთავსება უპრიანია მოხდეს შემდეგი სახით: 70% აქციებში, 20% ობლიგაციებში. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შემდეგ კი-პირიქით: 20% აქციებში, 80% ობლიგაციებში ან მოკლევადიან სასესო ვექსილებში. ასე არის შესაძლებელი ფასიანი ქაღალდების დაცვა ეკონომიკური კონიუქტურების მავნე ზემოქმედებისაგან. ამასთან, აქტივების განთავსება არის დამოკიდებული ფასიანი ქაღალდების თავისებურებებსა და სპეციფიკაზე მათი სახეების მიხედვით, ანუ ინვესტიციების სახეების შერჩევაზე.

ფასიანი ქაღალდების მიმზიდველობა ფასდება გარკვეული მაჩვენებლების ერთობლიობით, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს ინვესტირების ობიექტი და მოხდეს მისი შედარება ალტერნატიულ ვარიანტებთან. ასე მაგალითად, აქციების ინვესტიციური მახასიათებლები დაკავშირებულია მოცემული აქციების საკურსო ღირებულების ზრდასთან, მისაღებ დივიდენდებთან და ქონებრივი უფლებების უზრუნველყოფასთან; ობლიგაციების მიმზიდველობა ძირითადად განისაზღვრება საიმედოობით. როგორც წესი,

ობლიგაციებიდან შემოსავლის მიღების შესაძლებლობა უფრო დაბალია, ვიდრე აქციებიდან, მაგრამ იგი ხასიადება მეტი სტაბილურობით; ოფციონებისა და ფიუჩერების ფლობისას საშუალებას მიღებულ იქნას მაღალი მოგება და გამოყენებულ იქნას რისკების ჰედჯირებისას.

ამდენად, ფასიანი ქაღალდების, როგორც ინვესტირების ობიექტის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს:

- დაბანდების უსაფრთხოება: ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მკვეთრი რისკებისაგან თავის დაცვა და შემოსავლების მიღების სტაბილურობა;

- დაბანდების შემოსავლიანობა: საკურსო ღირებულების ზრდა და შესაძლებლობა მიღებულ იქნეს დამატებითი შემოსავალი დივიდენდების ან კუპონების სახით;

- ლიკვიდურობა: ფასიანი ქარაღების სწრაფი რეალიზაციის შესაძლებლობა და მათი გადაყვანა ფულად ფორმაში ინვესტორისათვის საგრძნობი დანაკარგების გარეშე.

ფასიან ქაღალდებში ინვესტირების პროცესი ინვესტორისაგან მოიხოვს შემდეგი საკითხების განხილვას:

- ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავება;
- ფასიანი ქაღალდების ანალიზი;
- ინვესტიციური პორტფელის ფორმირება;
- ინვესტიციური პორტფელის რესტრუქტურისაცია;

- ინვესტიციური საქმიანობის შეფასება. თავის მხრივ, ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავება გულისხმობს:

- კონკრეტული სახის ფასიან ქარაღებში ფულადი საშუალებების განთავსება;
- მიზნისა და ფინანსური შესაძლებლობების თანაფარდობა;
- რისკისა და შემოსავლიანობის თანაფარდობა.

ინვესტიციური პოლიტიკიდან გამომდინარე ხორციელდება ინვესტიციური პორტფელის ფორმირება, რომელთა კლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს: შემოსავლის წყარო და რისკის დონე. შემოსავლის წყაროების მიხედვით ინვესტიციური პორტფელი იყოფა, ზრდისა და შემოსავლების პორტფელად. ზრდის პორტფელი ყალიბდება ფასიანი ქაღალდებისაგან, რომელთა საკურსო ღირებულება იზრდება, ხოლო შემოსავლის

ახალი ეპონომისტი



პორთფელის ძირითად მიზანს წარმოადგენს - მიმდინარე შემოსავლების მაღალი ზრდა. ინვესტიციური პორთფელის შერჩევას რისკის ხარისხის გათვალისწინებით, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ინვესტორის

ინდივიდუალური, პიროვნული თვისებები. როგორც წესი, მიღებული ინვესტიციური გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე განასხვავებენ კონსერვატორ, ზომიერდ აგრესიულ და აგრესიულ ინვესტორებს.

სქემა №1. ინვესტიციური პორთფელი სხვადასხვა ინვესტორისათვის

ინვესტორის სახე	ინვესტორის მიზანი	რისკის ხარისხი	ფასიანი ქაღალდის სახე	პორთფელის სახე
კონსერვატორი	ინფლაციისაგან თავის დაცვა	დაბალი	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, მსხვილი, სტაბილური ემიტენტების აქციები, ობლიგაციები	დაბალშემოსავლიანი, მაგრამ სტაბილური
ზომიერად აგრესიული	კაპიტალის ზრდა გრძელვადიან პერიოდში	საშუალო	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, მსხვილი და სტაბილური ემიტენტების ფასიანი ქაღალდები	დივერსიფიცირებული
აგრესიული	სპეკულაციური თამაში, კაპიტალის სწრაფი ზრდის შესაძლებლობა	მაღალი	მაღალი ხვედრითი წილი არამსხვილი ემიტენტების ფასიანი ქაღალდებისა, ვენჩურული კომპანიები	მაღალ რისკიანი, მაგრამ მაღალშემოსავლიანი

საქართველოში ფასიან ქაღალდებში ინვესტირების პროცესი ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. 1999 წლიდან დაარსდა ეს ყველაფერი და 2004 წლამდე ძალიან დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა. სიტუაციამ გამოსწორება დაიწყო 2004 წლიდან, როცა ბირჟაზე დაშვებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები. ამ წლის განმავლობაში ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების რაოდენობამ შეადგინა 1,094, გარიგებების ჯამურმა მოცულობამ - 30,51 მლნ. აქცია, ხოლო ჯამურმა

ღირებულებამ - 46,68 მლნ. ლარი (შედარებისათვის 2003 წელს გარიგებების რაოდენობა 913, გარიგებების ჯამურმა მოცულობა 7,9 მლნ აქცია, ხოლო ჯამურმა ღირებულება 1,7 მლნ ლარი იყო). ამ "წარმატების" მიუხედავად მაინც რჩება ფუნდამენტალური პრობლემები, მაგ: საფონდო ბირჟის დაბალი აქტივობა, პრივატიზაციის პროცესში საფონდო ბირჟის როლი (დიდი ობიექტების გასხვისება ხდება პირდაპირი მიყიდვის წესით) ძალიან სუსტი ტექნიკური ბაზა და ა.შ.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. "საქართველოს ეკონომიკური ტენდეციები". ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. 2007.
2. "პორთფელური ინვესტიციები". ბ. ფ. მოროზოვი. მოსკოვი, 2007. (რუსულ ენაზე).
3. IMF. International Financial Statistics. 2006.

SECURITIES AS THE OBJECT OF INVESTMENTS

MADONA GELASHVILI

Academic Doctor of Economics, Associated Professor

The difficulties existed in national economics, strengthening of its modernization and social orientation of course require great capital investments; and financial crisis and non-stability, growth of insolvency, decrease of real incomes make financial support of investments very difficult. By now the new investment policy main requirement is maximal analysis of the investment risks and connecting of all the participants' interests of investment process to the market interests, which has to be fulfilled by requirement of customer.

According to which sphere are the investments directed and as a result of their realization, they are divided by financial investments. The article is exactly about the financial investment meaning.

თავისუფალი



იოსებ მასუჩაშვილი
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი



ახალი ეკონომისტი

მუშაობის მრავალი მოძველებული გაგება და პრინციპები, რომლებიც ძველად სავსებით აწობდა კომპანიების ხელმძღვანელებს, დღეს უკვე თანდათანობით აფერხებს ბიზნესის განვითარების დინამიკას. ამიტომ სრულყოფის მიზნით საჭიროებს გადახედვას და დეტალურ ანალიზს.

ბაზარზე პოზიციების შენარჩუნებისთვის კომპანიებმა მაღალი დონის ტექნოლოგიური და ეფექტური ბიზნეს-პროექტები უნდა შეიმუშაონ. ამისათვის კი უნდა გამოიყენონ დამატებითი შესაძლებლობანი დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა, მომხმარებელთა ხარისხის დონის ამაღლებისა, ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებისათვის კომპანიების რეორგანიზაციისა და რეკონსტრუქციისათვის. აქ საუბარი გავკვს ბიზნესის გარდაქმნაზე ლოგისტიკური მიდგომების საფუძველზე.

ლოგისტიკა ეს არის მეცნიერების უახლესი მიმართულება წარმოებაში, მოხმარებაში, ტრანსპორტში, მარკეტინგში. საზღვარგარეთ ლოგისტიკის შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. შვეიცარიაში თითქმის 20 წელია ფუნქციონირებს ლოგისტიკებში ევროპული ცენტრი. აშშ-ში 75%-ზე მეტი ფირმა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს ლოგისტიკის წესებს.

ლოგისტიკის ძირითადი პრინციპებია: მოდელირება, სისტემური ანალიზი და უკუკავშირები. ლოგისტიკა განიხილავს სისტემებს მთლიანობაში (ქვესისტემებად კი - დაგეგმვას, წარმოების პროგნოზირებას, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, პროდუქციის გასაღებას და განაწილებას,

რომლებიც დაფუძნებულია ბაზრის დრმა შესწავლაზე).

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ თანამედროვე ტენდენციად გვევლინება ინოვაციური პროცესების ინტენსიფიკაცია, რომლებიც საჭიროებს მართვაში პროგრესული მიდგომების გამოყენებას. ეს საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ სწორედ იმ ნაკადური პროცესების მოქნილობა, რომლებმაც გვევლინებიან ინოვაციები.

ლოგისტიკურ სისტემაში მიზანშეწონილია, რომ ინოვაციური პროცესების მნიშვნელობის პირობებში საწარმოებში მატერიალური, საინფორმაციო, ფინანსური და ნაკადების გარდა გამოყოფილი იქნას სხვა ნაკადებიც, რომლებიც განეკუთვნება ლოგისტიკური მართვის კლასიკურ ობიექტებს. ესენია არამატერიალური ნაკადები - კერძოდ, კი ინოვაციური. არამატერიალური აქტივი, რომელიც იქმნება უშუალოდ ინოვაციური პროცესში, წარმოადგენს განსაკუთრებულ რესურსულ ნაკადს, რომლის მოძრაობის ტრაექტორიაც წარმოადგენს ინოვაციური კომუნიკაციებით წარმოქმნილ სივრცით ბადეს.

ხანგრძლივადიან პერიოდში ინოვაციების ერთობლივი რესურსები შეიძლება წარმოადგენილი იყოს ნაკადების სახით, არსებული რომელიც დროით ინტერვალში და გაზომვადი განსაზღვრული დროის პერიოდში. ასეთი რესურსული ნაკადების ძირითადი პარამეტრები შეიცავენ ტრაექტორიის, რესურსების მოძრაობის სიჩქარესა და დროს, გზის სიგრძესა და ინტენსივობას. ინოვაციების სივრცეში ესა თუ ის ნაკადი შეიძლება იყოს დახასიათებული შემდეგი ნიშნებით:

ინოვაციასთან ურთიერთობით - შინაგანი ან გარეგანი;



დინამიკის ხასიათით - უწყვეტი ან დისკრეტული;

რეკულარობით - დეტერმინირებული ან სტოქასტიკური;

სირთულის დონით - ჩვეულებრივი (დიფერენცირებადი) ან რთული (ინტეგრირებადი);

მართვის მხრივ - ადექვატური (მართვადი) ან უმართავი.

ინოვაციური ნაკადების სისტემა ამის გარდა შეიცავს მატერიალურ, ინფორმაციულ, ფინანსურ და სხვა დინებებს, მიკუთვნებულს ლოგიკური მართვის კლასიკურ ობიექტებზე, არამატერიალური დინება.

არამატერიალური აქტივი (სიახლე), რომელიც ჩართულია ინოვაციაში ან ინოვაციურ პროცესში უშუალო მწარმოებელია, თავის მხრივ წარმოადგენს განსაკუთრებულ რესურსულ ნაკადს, რომლის მოძრაობის ტრაექტორიაც არის ინოვაციურ კომუნიკაციებში წარმოქმნილი სივრცითი ბადე. არამატერიალური ნაკადების პარამეტრები განსხვავდება ტრადიციული საინფორმაციო ლოგისტიკური ნაკადებისგან.

ლოგისტიკაში საინფორმაციო ნაკადების გენერირება ხდება კონკრეტული ლოგიკური სისტემის საწყისი მატერიალური ნაკადით. ინოვაციებში არამატერიალური ნაკადი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სიახლის მოძრაობას (გადაადგილებას), აქვს მიმსგავსებული ფუნქცია მატერიალური ან ფინანსური ნაკადების ფუნქციებთან, მაგრამ პრიორიტეტულს მასთან მიმართებაში. ამ ნაკადს ასევე შეესაბამება თავისი საინფორმაციო მომსახურებითი ნაკადი, რომელიც გენერირებულია საწყისი არამატერიალური აქტივით.

არამატერიალური ნაკადი (P) ინოვაციურ სისტემასთან (S) დამოკიდებულებაში გარეგანია, თუ მისი გამოყენების უფლების შექმნა ხდება სიახლეთა ბაზარზე $[P < S]$. იმ შემთხვევაში როცა სიახლის შექმნის სტადია ინოვაციური პროცესის შემადგენლობაშია, მაშინ ეს ნაკადი უნდა იყოს შინაგანი $[P \circ S]$. ასეთი ნაკადი უნდა იყოს უწყვეტი $[P = t(t) dt]$, დეტერმინირებული $[P = f(t)]$, ინტეგრირებადი $[P = \sum_{i=1} P_i]$ და მართვადი $[P = f(x)]$.

ინოვაციებში მატერიალური და არამატერიალური ნაკადების ეფექტური №1 (12), 2009 წელი

განვითარებისთვის აუცილებელია იმ ფინანსური სახსრების მიზნობრივი მოძრაობა, რომლებიც ქმნიან ფინანსურ ნაკადებს. უკანასკნელი თავისი დანიშნულებისდა მიხედვით მჭიდროდ დაკავშირებული კაპიტალის მოძრაობასთან, რაც აისახება ინოვაციური ნაკადების ობიექტებზე ავანსირებულ ღირებულებებში. ფინანსური ნაკადები განუყოფელია როგორც სიახლეებისგან და ძირითადად ფონდებისგან (საინვესტიციო ხარჯები და ინვესტიციებთან დაკავშირებული მატერიალური ხარჯები), აგრეთვე საბრუნავი საშუალებებისგანაც.

სასაქონლო და ფინანსურ ნაკადებს აქვთ ურთიერთსაპირისპირო მიმართულება. ფინანსური ნაკადები დამოკიდებულია სასაქონლო ნაკადების თავისებურებებზე. უნაღდო ანგარიშსწორების დროს ინფორმაციას საგადამხდლო დოკუმენტების შესახებ და სასაქონლო ნაკადებს აქვთ ერთნაირი მიმართულება და წარმოქმნის ერთიანი წყარო, მაშინ როცა ფინანსურ ნაკადებს მატერიალურ ნაკადებთან მიმართებით აქვთ უკუმიმართულება.

ინოვაციის მატერიალური და არამატერიალური ნაკადების ფინანსური მომსახურების კონკრეტული მექანიზმი დამოკიდებულია ინოვაციური კომუნიკაციებისა და სამეურნეო კავშირების ხასიათზე.

ინოვაციებში საინფორმაციო ნაკადები პირველ რიგში განსხვავდებიან ინფორმაციის წარმოშობის ადგილითა და დროით (სტაციონარული, პერიოდული, ოპერატიული). ფუნქციის მიხედვით ისინი იყოფა: მმართველობით, სამეცნიერო-ტექნიკურ, ნორმატიულ-საცნობარო და აღრიცხვადად. ნებისმიერი საინფორმაციო ნაკადებისათვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს იზომორფულობის და მაღალი სიმჭიდროვის მიღწევა, რომელიც მიმდინარე და მომავალ დროში ეფექტური მართვის საშუალებას იძლევა.

ინოვაციებში გვიწევს მომავალი მოქმედების სცენარის დადგენა, ინოვაციური კავშირების აბსტრაქტული ლოგიკური კონსტრუქციების მოდელირება და ურთიერთობა ტრანსფერტის სიახლის შესახებ მატერიალურ წარმოებაში. ამ შემთხვევაში ინოვაციური მოდელი წარმოგვიდგება, როგორც საგნობრივი სფეროს ანარეკლი ინფორმაციული სისტემის სახით.

ახალი ეკონომიკის



ინფორმაციულ ტექნოლოგიებში იყენებენ კონცეპტუალურ და ლოგიკურ მოდელებს; ამასთანავე ეს უკანასკნელი განსაზღვრავს და ფორმალისებებს უკეთებს ურთიერთობებს გამოყოფილი საგნობრივ სფეროში. ინოვაციების ინფორმაციული სისტემა მხარს უჭერს მის ფუნქციონირებას მუდმივი შიგა და გარე ცვლილებების პირობებში, რომლებიც ეხება როგორც ინოვაციური ნაკადების რაოდენობრივ დახასიათებას, ასევე სიახლეთა მოძრაობის შეთანხმებულ წესებსა და პირობებს სასიცოცხლო ციკლის სტადიაში.

ინოვაციური სისტემის ჰომეოსტაზი (Эшби У.Р. Введение в кибернетику /Пер. С англ.1999)

- თვისება შეინარჩუნოს საკუთარი პარამეტრები აუტანელი გარე შემოქმედების პირობებში – მიიღწევა ინოვაციურ სუბიექტებს შორის კომუნიკაციების აბსოლუტური ეფექტიანობის დროს. ჰომეოსტატურობა ისეთი რთული დინამიკური სისტემებისა, როგორცაა ინოვაციური პროცესი, თანატოლია ისევე როგორც კომუნიკაციების აბსოლუტური ეფექტიანობა ინოვაციებში, და მიუღწევადა, რამდენადაც ამ სისტემისთვის დამახასიათებელია მოძველების ტენდენცია. სწორედ აქ აისახება ცვალებადობისა და მდგრადობის დიალექტიკა, დამახასიათებელი როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური სისტემებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ინოვაციის საბოლოო პროდუქტის გამოჩენა მოხმარების სფეროში გულისხმობს ურთიერთკავშირის ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე სამეურნეო სუბიექტს შორის, შეიძლება წარმოვიდგინოთ მათი ურთიერთ შემოქმედების მასშტაბი და ეკონომიკური სისტემის გამჭოლი სამეურნეო კავშირების რაოდენობა.

სამეურნეო კავშირების გადაკვეთას მიყვავართ მთლიანი სისტემის ურთიერთ შეთანხმებულობასთან, წარმოების საერთო, კერძო და ცალკეულ პროპორციებთან და აგრეთვე ეკონომიკურ ინტერსებთან, ე.ი. ეკონომიკური სისტემის დაბალანსებულობასთან. ინტერესების შეთანხმება ყოველთვის შედარებითია და ითვალისწინებს წონასწორობიდან გადახრის შესაძლებლობას. ინოვაციის შინაგანი ლოგიკიდან ასეთი გადახრები გავლენას ახდენს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ხასიათზე და დინამიკაზე.

XXI საუკუნის დასაწყისი ხასიათდება ინოვაციების თანამედროვე მარკეტინგული და ინტეგრალური კონცეფციების გამოყენებით. განვითარების განმსაზღვრებელი ელემენტად გვევლინება მეწარმის და მისი პარტნიორების ინოვაციური ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაცია მოლიან ინოვაციურ ჯაჭვში: „დამუშავება-წარმოება-გაყიდვა“ მინიმალური დანახარჯებით ბიზნესის საბოლოო მიზნის მისაღწევად (მაქსიმალური ეფექტიანობით). ინოვაციების მძაფრი განვითარება განსაკუთრებით ეკონომიკური პროცესების ძირეული ცვლილებების შედეგად გამოიკვეთა: ბაზრის გლობალიზაცია; ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება; ბიზნესის ახალი ფილოსოფია - განვითარების მართვა; სტრუქტურული ცვლილებები ბიზნესის ორგანიზაციაში.

თანამედროვე პროგრამულმა და ტექნიკურმა საშუალებებმა ღია საინფორმაციო სისტემის არქიტექტურის შესაბამისად უზრუნველყვეს მსოფლიო საინფორმაციო ველის ფორმირება ინოვაციურ პარტნიორებს შორის ელექტრონული კომუნიკაციების წარმოქმნის მიმართულებით, მასობრივი საინფორმაციო მომსახურების სისტემების ფართო გამოყენებამდე, როგორც კომერციული (compu-serve, America online), ასევე არაკომერციული (internet).

მატერიალურ წარმოებაში ინტელექტუალური პროდუქციის ტრანსფერტან ლოგისტიკის გამოყენების პოზიციიდან მნიშვნელოვნად გვევლინება სამი მომენტი; ჯერ ერთი ის, რომ ლოგისტიკური საქმიანობა ატარებს ინტეგრირებულ ხასიათს და მიმდინარეობს რესურსული ნაკადის და მზა პროდუქციის წარმოშობის ადგილიდან მოხმარების ადგილამდე. მეორე ისაა რომ, არსებობს მართვის შესაძლებლობა შესაბამისი ინფორმაციით. მესამე კი, არამატერიალური ნაკადების ჩართვა ლოგისტიკაში. ეს უკანასკნელი კი ინოვაციურ პროცესებთან ლოგისტიკის კონცეფციის გამოყენების შესაძლებლობის უმთავრესი განმსაზღვრელია.

თუ განვიხილავთ ინოვაციური ბიზნესის პოზიციიდან, მაშინ ინოვაციების ლოგისტიკა არის ინოვაციური მენეჯმენტის ინტეგრალური ინსტრუმენტი. მოქმედებებს, გამოყენებულს ინოვაციურ პროცესში-ინფორმაციულ,

ახალი ეკონომისტი


მატერიალურ და ფინანსურ ნაკადებთან, შეიძლება ეწოდოს ლოგისტიკური ინოვაციური ფუნქციები (lif); ხოლო განცალკევებულ მოქმედებას, რომელიც არ ექვემდებარება შემდგომ დეკომპოზიციას – ლოგიკური ინოვაციური ოპერაცია (lio).

მარტივი ინოვაციური ლოგისტიკური სისტემის მაგალითზე განვიხილოთ ინოვაციური სუბიექტების ურთიერთქმედების სქემა და მასთან ერთად შექმნილი ინოვაციური ლოგისტიკური ჯაჭვი (იხ. ნახ.1), რისთვისაც ცხრილ-1 -ში წარმოვადგენთ ჩამოყალიბებულ საინფორმაციო და ფინანსურ ნაკადებს.

ჩამოყალიბებადი ინოვაციური ლოგისტიკური ჯაჭვები ორიენტირებული

საინფორმაციო და ფინანსურ ნაკადებზე, შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

- ა) SIS6 r1 SIS3 r2 SIS4 r3 SIS1 - (კომპლექსური ინოვაციური ლოგისტიკური ფუნქციონირების მოთხოვნის ფორმირება სიახლეზე);
- ბ) SIS1 r5 SIS2 r6 SIS3 (უფლებების გადაცემა სიახლის გამოყენებაზე მეწარმეობაში);
- გ) SIS5 c2 SIS1 c4 SIS4 (გათვლები ლიცენზირებული შეთანხმების მიხედვით);
- დ) SIS5 c2 SIS2 (გათვლები საპროექტო დოკუმენტაციაზე და (აბ) ახალ ტექნიკაზე);
- ე) SIS6 c5 SIS3 c1 SIS5 (ინოვაციური საშუალებების დაბრუნება).



ნახ. 1. ინოვაციური სისტემის სუბიექტთა ურთიერთქმედების სქემა.

SIS – ინოვაციური სისტემის სუბიექტი; r – საინფორმაციო ნაკადი;

c – ფინანსური ნაკადი;

ჩანს, რომ ინოვაციები შეიცავს მატერიალური რესურსების ნაკადებს, რომელთა დახასიათება ხდება საკუთარი ლოგისტიკური ჯაჭვებით. ლოგისტიკური ჯაჭვების სპეციალური გამოკვლევა საინფორმაციო და ფინანსური ნაკადებით საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ იზომორფულობა (წარმოშობის სინქრონულობა) მატერიალურ და თანხმებულ ნაკადებს შორის, თუ მატერიალური ნაკადების შემადგენლობაში ჩართულია არამატერიალური აქტივებიც. ეს

გამოვლინდება ინოვაციური რესურსების მოძრაობის არათანხვედრაში (არასინქრონულობაში) და მასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და ფულად საშუალებებში. შეუთავსებლობის გარდა დროთა განმავლობაში გამოკვლეული ნაკადები გახლენილია და გაყოფილია სივრცეში, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ეფექტიანი ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებას.



ლოგისტიკური ინოვაციური ოპერაციები საინფორმაციო და ფინანსური ნაკადებით

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

საინფორმაციო ნაკადები (r)		ფინანსური დინებები (c)	
აღნიშვნები	ლოგისტიკური ინოვაციური ოპერაცია (lio)	აღნიშვნები	ლოგისტიკური ინოვაციური ოპერაცია (lio)
1	2	3	4
r1	მთხოვნა (შეკვეთა) ახალ პროდუქციაზე	c1	თანხა ინოვაციური შუამავლის მომსახურებისთვის
r2	მთხოვნა(შეკვეთა) სიახლეზე		
r3	მესაკუთრის მოძებნა და სიახლის ფასები		
r4	ლიცენზირებული შეთანხმების თანხმობა		
r5	ინფორმაციის გადაცემა სიახლით სალიცენზიო შეთანხმების შესაბამისად	c2	თანხა სიახლის გამოყენებაზე უფლების გადაცემისათვის
r6	დოკუმენტაციის გადაცემა (ახალი ტექნიკის) საწარმოო სიახლის დანერგვით	c3	თანხა პროექტირებისათვის (ახალი ტექნიკის დამზადება)
r7	ანგარიში საპროექტო სამუშაოებზე (ახალი ტექნიკის დამზადება)	c4	ინვესტიციები სიახლის დანერგვაში
r8	ანგარიში ახალი პროდუქციის მოწოდებისთვის	c5	თანხა ახალი პროდუქციის დანერგვისათვის
		c6	ინვესტირებული სახსრების დაბრუნება

ახალი ეკონომისტი

სისტემური მიდგომა სამეცნიერო იდეის გადაადგილების (მოძრაობის) შესწავლაზე, მისი რეალური გარდასახვა საჭიროებს გლობალური დავალების გააზრებას და გადაწყვეტილებების სიმრავლეს. როგორც ბორხესის ცნობილ მოთხრობაში – „ბალი გაფანტული ბილიკებით“, სადაც საუბარია განვითარებაზე დროში, და არა სივრცეში – გმირი აღმოჩნდა რამდენიმე

შესაძლებლობის წინაშე, შეიძლება ამოიჩიოს ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ არ აკეთებს ამას, და ირჩევს ყველას ერთად. ამით იგი ქმნის განსხვავებულ მომავალ დროებს, რომელიც თავის მხრივ, მრავლდება და იტოტება. დროის ეს სარჩულები, რომელნიც ახლოვდებიან, იტოტებიან და გადაიკვეთებიან, შეიცავენ ყველა აზრიან შესაძლებლობებს.



ჩვენ აქ ვხვდებით ინოვაციური პროცესის ვირტუალურობის პრობლემას. ვირტუალური ინოვაციური სამყაროს შიგნით შესაძლებელია პროგნოზირება და მოდელირება არა მარტო რეალური ინოვაციების ობიექტების და სუბიექტთა ურთიერთკავშირისა, არამედ შესაძლებელია აგრეთვე ობიექტების გაერთიანება რეალური კავშირით არ არსებულ მატერიალურ სამყაროში. სამეცნიერო იდეა თავისი განვითარების მხრივ ტრანსფორმირდება უმეტესობა შესაძლო ახალ ობიექტებში არა მარტო შეზღუდული თვითგანვითარების შედეგად, არამედ ძირითადად ახალი ინფორმაციის მოზღვავეებით, და რომელიც მიღებულია სუბიექტებს შორის წარმოქმნილი საინფორმაციო კავშირების შედეგად.

ინოვაციურ სამყაროში მხოლოდ ყველა შესაძლო კავშირების შესწავლით და შეფასებით შეიძლება მოძებნილი იქნას ერთადერთი სწორი „ბილიკი“, რომელსაც ეწოდება ინოვაციური კომუნიკაცია, წარმოქმნილი ახალშემოდგულისას, სამეურნეო კავშირების ურთულეს ლაბირინთში.

ჩვენი აზრით, ინოვაციური კომუნიკაციების არსი უფრო რთულია, ანუ იგულისხმება ის, რაც საშუალებას იძლევა გავიაზროთ ტექნიკური მოვლენები, აიხსნას ტექნიკური განვითარების პარადოქსები, თეორიული საქმიანობის ორიენტირება მიმართული ტექნიკის ფუნქციონირების შესწავლაზე, განვითარდეს ცოდნა, აუცილებელი გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Solow R.M. A contribution to the theory of economic Growth. Quarterly of Economics. 2006.
2. Schmookler J. IN: Reflets of Perspectives de la Vie Economonique.20.v 2-3 June.
3. www.lobanov-logist.ru.

LOGISTIC OF INOVATION AND BUSINESS

IOSEB MASURASHVILI

Professor, Tbilisi State University

The information stream in logistics is generated by an initial material stream of concrete logistical system. In innovations the non-material stream representing movement of an innovation, has function similar to functions of material or financial streams, but priority in relation to them. To this stream also there corresponds the information serving stream generated by an initial non-material active. If to argue from a position of innovative business the logistics of innovations is an integrated tool of innovative management. From here the actions applied to information, material and financial streams in innovative process, it is possible to name logistical innovative functions, and separate action which is not subject to the further decomposition - logistical innovative operation.

ახალი ეკონომისტი



ნებისმიერი ბიზნესის ეფექტურად
წარმართვისათვის ინფორმაცია, როგორც
საქონელი და როგორც რესურსი, უფრო და უფრო
დიდ მნიშვნელობას იძენს. ამასთან, კომუნიკაციის
სფეროში მიმდინარე არნახული პროგრესი უფრო
ზრდის ინფორმაციის მოცულობას, რაც
ართულებს ამ ინფორმაციის მართვას, ამიტომ
დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნეს-ინფორმაციის
სისტემატიზირებას მისი შემდგომი დამუშავების
მიზნით.

სრული, უტყუარი და დროულად მიღებული
ინფორმაციის კარგად მართვის შემთხვევაში
საწარმო იძენს დიდ კონკურენტულ
უპირატესობას. თანამედროვე ბიზნესის მთავარი
დამახასიათებელი თვისება სწორედ მისი
ინფორმაციულობაა. იგებს ის, ვინც უფრო
ეფექტურად აგროვებს, ამუშავებს და იყენებს
ინფორმაციას მისი შესაძლებლობების
გამოსავლენად.

ბიზნეს ინფორმაციის ამოცანა
მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მენეჯერებს
მიაწოდოს სრული, დაზუსტებული ინფორმაცია
(ცოდნის სახით) როგორც ფირმის შიდა
საქმიანობის შესახებ, ასევე გარე მოქმედი
ფაქტორების შესახებაც გაურკვეველობის
მინიმალური დონით, რათა მენეჯერს
გაუადვილოს გადაწყვეტილების მიღება. უნდა
აღვნიშნოთ ისიც, რომ ფირმის
ხელმძღვანელებისთვის კლიენტებიდან
შემოსული ინფორმაცია მართვის
გადაწყვეტილების მისაღებად პრიორიტეტულს

არ წარმოადგენს, კოლეგებიდან და
კონკურენტებიდან შემოსული ინფორმაცია უფრო
მნიშვნელოვანია ამ მხრივ.

ბიზნეს-ინფორმაციის დახასიათებისას
მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი რამ:
ინფორმაციის წყარო (გადამცემი), თუ სად
წარმოიშობა ეს ინფორმაცია და ინფორმაციის
მიმღები (ინფორმაციის მომხმარებელი, კლიენტი).
რის მიხედვითაც ბიზნეს- ინფორმაციის
კლასიფიცირება შეიძლება მოვახდინოთ პირველი
იმის მიხედვით თუ სად არის განლაგებული
ინფორმაციის წყაროები ფირმის შიგნით თუ მის
გარეთ და მეორე, - დანიშნულების მიხედვით.

ინფორმაციის წარმოშობის ადგილის
მიხედვით (ინფორმაციის წყაროს მიხედვით)
ობიექტს (საწარმო, ფირმა და ა.შ.) აქვს შიდა და
გარე ინფორმაცია, რომელიც მთლიანობაში
შეადგენს ამ ორგანიზაციის ინფორმაციულ
რესურსებს. თუ ინფორმაციის წყარო ფირმის
შიგნითაა, მას შიდა ინფორმაციას უწოდებენ
ხილო თუ მის გარეთ - გარე ინფორმაციას.

გარე ინფორმაციისთვის დამახასიათებელია
მიახლოებითობა, უზუსტობა, წინააღმდეგობრიობა
თავისი ბუნებით იგი ალბათურია, ამიტომ მისი
დამუშავება სტანდარტული პროგრამული
საშუალებებით გაძნელებულია. ამ პრობლემის
მოგვარება შესაძლებელია ექსპერტული
საინფორმაციო სისტემების საშუალებით.
რომელთა საშუალებითაც ხდება უზუსტი
დასკვნების მიღება არადეტერმინირებული
ინფორმაციის საფუძველზე.

ახალი ეპონომოსტი



ინფორმაციის გამოყენების თვალსაზრისით უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელთა მიერ გამოიყენება როგორც გარე, ასევე შიდა ინფორმაცია, ოპერატიულ დონეზე – მხოლოდ შიდა ინფორმაცია, საშუალო დონეზე კი უმეტესად - შიდა ინფორმაცია და ნაწილობრივად - გარე. ინფორმაციის ეს სახეები ინახება რაკომპიუტერში, ქმნის ინფორმაციულ ბაზას, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ეკონომიკური ობიექტის ავტომატიზირებულ საქმიანობისათვის.

გარე ინფორმაციას მიეკუთვნება:

1. საბაზრო ინფორმაცია – ეს არის უზარმაზარი და ურთულესი სფერო, რომელიც ნებისმიერი ფირმისა თუ კომპანიისათვის წარმოადგენს მთავარ იარაღს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. საბაზრო ინფორმაცია შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი - დაწყებული კონკრეტული პატარა სეგმენტის სტრუქტურის გამოკვლევიდან მსხვილი საბაზრო სტრუქტურის კვლევით დამთავრებულთ. საბაზრო ინფორმაციაზე დამოკიდებულია კომპანიების მიერ ახალი პროდუქტის(ან მომსახურების) წარმოების შემუშავება, მარკეტინგული დაგეგმვა, კომუნიკაციებისა და რეკლამების დაგეგმვა, გადაწყვეტილებების მიღება ექსპორტის შესახებ, აგრეთვე სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავება. კატეგორიები, რის მიხედვითაც იკვლევა ინფორმაცია, მოიცავენ ბაზრის მოცულობას, მისი ზრდის ტემპებს, მყიდველუნარიანობას, მომხმარებელთა მოთხოვნებს, ბაზრის დონეს და ინფორმაციას კონკურენტების შესახებ.

2. ინფორმაცია კონკურენტების შესახებ – მას ზოგჯერ განიხილავენ, როგორც საბაზრო ინფორმაციის ნაწილს, თუმცა თავისი მნიშვნელობით იგი ცალკე უნდა გამოიყოს, რადგან მან შეიძლება გავლენა მოახდინოს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაზე, თუნდაც ბაზრის პირობები არ აღირიცხებოდეს

უშუალოდ. კომპანიები შეიძლება დაინტერესდნენ მაგალითად, მათი კონკურენტული ფირმების ნედლეულის წყაროებითა და სპეციალურ რაზმით რათა ნახებან მათთან კონკურენტულ ბრძოლაში. კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას მხედველობაში მიიღება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ვინ არიან კონკურენტები, ბაზრის რა ნაწილი უკავიათ მათ; რა უპირატესობანი და რა ნაკლოვანებანი გააჩნია თითოეულ კონკურენტს. ცნობილია, რომ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება კონკურენტების შესახებ ძნელია, ამიტომაც ზოგიერთი კომპანიები ხშირად სარგებლობენ არაეთიკური ქცევით ე.წ. 'სამრეწველო შპიონაჟით'.

3. მაკროეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინფორმაცია - მართალია, ეს ინფორმაცია არაპირდაპირ მოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მან შეიძლება მოახდინოს გადამწყვეტი როლი ხანგრძლივი სტრატეგიის შემუშავებისას.

4. ინფორმაცია მომწოდებლების შესახებ - ამ ინფორმაციას ითვალისწინებენ ახალი პროდუქტის (მომსახურების) შემუშავების დროს და პრაქტიკული შედეგების გათვლისას. ეს ინფორმაცია კონცენტრირდება ისეთ ასპექტებში, როგორიცაა პროდუქციის (მომსახურების) წარმოების დანახარჯები, ხარისხი და მიწოდების დრო.

5. გარე ფინანსური ინფორმაცია - მსხვილი საინვესტიციო ან მსხვილი საფინანსო სტრუქტურის კომპანიებს მოეთხოვებათ ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა სავალუტო კურსები, აქციათა კურსების დინამიკა, კაპიტალის მოძრაობა ბაზარზე, რეიტინგების, რისკების შესახებ ინფორმაცია და სხვ. ძირითადი სირთულე ასეთი ინფორმაციის შემგროვებელი კომპანიებისა და მენეჯერებისა მდგომარეობს ინფორმაციის მართვის სტრუქტურირებაში, რათა შეიძლებოდეს ამ ინფორმაციის შეგროვება,

ახალი ეკონომიკა

თავმოყრა და გააანალიზება ესოდენ დიდი ინფორმაციული ნაკადების.


6. ინფორმაცია რეგულირებისა და საგადასახადო ბრუნვის შესახებ. კომპანიამ უნდა იმოქმედოს სამართლებრივი რეგულირების პირობებში, სამართლებრივი ნორმების დაცვით. რეგულირების პირობების შეფასება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ნებისმიერ სახელმძღვანელო ბაზარზე გასვლისათვის. საგადასახადო ნორმების ცოდნა კი აუცილებელია რათა გავითვალისწინოთ ესა თუ ის პირობები (გადახდის ნორმები) რომელიმე ოპერაციის წარმოებისას. მაგალითად, ერთ ქვეყანაში შეიძლება რაიმე სტიმულები იყოს და არ იყოს მაღალი საგადასახადო ნორმები რაიმე პროდუქტის წარმოებისას, მეორეში კი პირიქით იყოს.

შიდა ინფორმაცია- წარმოიშვება თვით მართვის ობიექტის შიგნით და ასახავს დროის სხვადასხვა პერიოდებში მართვის ობიექტის ფინანსურ-სამეურნეო მდგომარეობას და დირექტიულ მითითებებს დადგენილი პარამეტრებიდან გადახრის შემთხვევაში. როგორც წესი, ეს მონაცემები იზომება და დოკუმენტებში ფიქსირდება მათი ზუსტი მნიშვნელობა.

მას მიეკუთვნება:

1. ინფორმაცია პროდუქციის (მომსახურების) წარმოების შესახებ. მწარმოებელ კომპანიებს სჭირდებათ ისეთი ინფორმაცია, როგორცაა წარმოების ეფექტურობა და მწარმოებლურობა, დანახარჯები, ხარისხი, სამომავლო რეალიზაციის მოცულობა, გეოგრაფიულად რა რაიონზე ვრცელდება ბიზნესის მიერ გაწეული მომსახურება; მოცემულ ბიზნესს პროცენტულად ბაზრის რა ნაწილი უკავია. წარმოების შესახებ ინფორმაცია საჭიროა ფინანსური დაგეგმვისათვის, ამ ინფორმაციას ხშირად ეყრდნობიან აგრეთვე მარკეტინგული დაგეგმვისას. მათ უნდა იცოდნენ წარმოებას

შესწევს თუ არა უნარი მიაწოდოს მომხმარებლებს პროდუქცია მოცემული რაოდენობით და მოცემული ხარისხით



2. ინფორმაცია შრომითი რესურსების შესახებ. იგი მოიცავს პერსონალის სწავლის დონესა და კვალიფიკაციას, პერსონალის მორალურ მდგომარეობას და ხარჯებს კადრებით უზრუნველყოფაზე. ძალიან ხშირად მოიპოვენ დამატებით ინფორმაციას ფირმის პერსონალზე (მათი გარე ინტერესები, ოჯახური პირობები და სხვ) მათი სოციალური უზრუნველყოფის მიზნით (მაგალითად, ამერიკაში, იაპონიაში), თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში ამას ადიქვამენ როგორც პირად ცხოვრებაში ჩარევას.

3. შიდა ფინანსური ინფორმაცია - ამ კატეგორიის ინფორმაცია აღწერს ისეთ მანქვენებლებს, როგორცაა მაგალითად რენტაბელობა, ლიკვიდურობის კოეფიციენტები, კაპიტალის მდგრადობა, მწარმოებლურობის მანქვენებლები, დებიტორული ანგარიშები: როგორია მისი ბრუნვადობა, როგორია დებიტორული დავალიანების გადახდის პირობები, მთლიანი ანგარიშების რამდენ პროცენტს შეადგენს დებიტორული დავალიანება და ა. შ.

ობიექტის ფუნქციონირების დაწყებისათვის ინფორმაციულ ნაკადში ყველაფერი იწყება ეკონომიკურ მანქვენებელთა ზუსტი ჩამონათვალის განსაზღვრით - თუ რომელი კონკრეტული მანქვენებლები იქნება აუცილებელი ობიექტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. შიდა და გარე ინფორმაციის მისაღებად ვსარგებლობთ ბიზნეს-ინფორმაციის წყაროებით.

ბიზნეს-ინფორმაციის წყაროები: ბიზნესის ინფორმაციის მიღების წყაროებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია:

- სამთავრობო დაწესებულებები - როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფოებრივი, წარმოადგენენ დაუმუშავებელი მონაცემების კარგ წყაროს, განსაკუთრებით საბაზრო და

ახალი ეკონომისტი



ეროვნული ცენტრი პოლიტიკისა და კვლევისათვის

პროფ. დ. ბერიძე

მაკროეკონომიკურის, აგრეთვე რეგულირების შესახებ ინფორმაციის.


- ბიბლიოთეკები;
 - სავაჭრო ასოციაციები;
 - კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი არიან კერძო გამოკვლევებით;
 - გაზეთები და ჟურნალები;
 - ბიზნეს-ინფორმაციის სამსახურები;
 - მონაცემთა ბაზები on-Line რეჟიმში.
- გაზეთებში და ჟურნალებში მოცემული ინფორმაცია ხშირად გაფილტრულია.
- ინფორმაციის მოპოვების ყველაზე დიდ წყაროს წარმოადგენს ინტერნეტი, რომელიც დაუჯერებელი რაოდენობით გვთავაზობს საიტებს ბიზნეს-ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი ვებ გვერდის შექმნა წარმოადგენს მნიშვნელოვან წიხადადგმულ ნაბიჯს ბიზნესის გასაფართოებლად.
- თანამედროვე ვებ-გვერდი წარმოადგენს როგორც მნიშვნელოვან სარეკლამო არხს და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს
- კონკურენტებთან უპირატესობის მოსაპოვებლად;
 - ინსტრუმენტს ახალი კლიენტების მოსაზიდად;
 - მედია-რესურსს, რომელზედაც შეიძლება გაათავდეს სრული ინფორმაცია კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ, ამასთან არის იმის შესაძლებლობა, რომ მუდმივად განახლდეს ეს ინფორმაცია;
 - იგი წარმოადგენს ფირმისათვის უმნიშვნელოვანეს ელემენტს კომპანიის იმიჯის შესაქმნელად;
 - ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ საშუალებას თავის კლიენტებთან ურთიერთკონტაქტის დასამყარებლად;
 - საქონლისა და მრავალი მომსახურების რეალიზაციის საშუალებას on-line რეჟიმში,

გაყიდვის ორგანიზაციაზე მინიმალური დანახარჯებით;

ვებ გვერდები, რომლებიც ტრადიციული ბიზნესის მხარდაჭერისთვის არიან გამოყენებულნი, შეიძლება დავყოთ შემდეგ ტიპებად :

- საიტ-ვიზიტკები, საიმიჯო რესურსები, სპეციალური საიტები;
- კორპორატიული ინფორმაციული ვებ-გვერდები
- ინფორმაციული პორტალი
- სავაჭრო სისტემები ინტერნეტში - ინტერნეტ მაღაზიები და "business-to-business" წარმომადგენლობა, რომელიც ახორციელებს სქემას "მიმწოდებელი-მომხმარებელი";
- "ვირტუალური ოფისები"

საიტ-ვიზიტკა. მოცემული სახის საიტის დანიშნულებაა საწარმოს ან კომპანიის შესახებ ინფორმაცია დაიყვანოს მომხმარებლებამდე, წარუდგინოს მათ ინფორმაცია შემოთავაზებული მომსახურებისა და პროდუქტის წარმოების შესახებ, დააინტერესოს მომხმარებელი თავისი შემოთავაზებებით და მაქსიმალურად გაუღვიძოს სურვილი მისი პროდუქტის, საქონლის, მომსახურების შექენის. საიტ-ვიზიტკები წარმოადგენენ სარეკლამო ბუკლეტის ვარიანტებს, რომლებიც ინტერნეტში წარმოგვიდგებიან კომპანიის, საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციით. საიტ-ვიზიტკის უპირატესობას წარმოადგენს ინფორმაციის განლაგების მოხერხებულობა, მასთან მაქსიმალურად მიწვდომის შესაძლებლობა (ნავიგაცია რესურსის მიხედვით), შესაძლებლობა იმისა, რომ მასზე მოთავსდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ასეთი საიტის არსებობა განსაკუთრებით აქტუალურია სავაჭრო, კომერციული, სამრეწველო წარმოებისთვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ბაზარზე, თვალყურს ადევნებენ თავიანთ იმიჯს და ატარებენ აქტიურ მარკეტინგულ პოლიტიკას. საიტ-ვიზიტკის შედგენა არც ისე ძნელი საშუალოა, არ მოითხოვს მნიშვნელოვან



ახალი ეკონომიკა

დანახარჯებს და ძალებს შემკვეთის მხრიდან. ამგვარად, ძირითადი ეფექტი საიტ-ვიზიტისა ეს არის დამატებითი რეკლამა, ზოგადი ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების შესახებ, განსაზღვრული იმიჯის ფორმირება. თავისი მცირე დანახარჯებით საიტ-ვიზიტა იდეალურად შეესაბამება პატარა კომპანიებს თუ ფიზიკურ პირებს.

კორპორატიული ვებ-გვერდების საიტზე მოთავსებულია საქონლისა და მომსახურების კატალოგი, აქვეა პრაის-ლისტი (ფასების ჩმონათვალი შესაბამის სახეობაზე) რეგულარულად განახლების შესაძლებლობით. მსგავსი ვებ-გვერდების მიზანია - წარმოგვიდგინოს უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია ფირმისა და მისი ყველაზე უფრო საინტერესო შემოთავაზებების შესახებ, უპასუხოს აუდიტორიის შეკითხვებს და ამით ტრადიციული კავშირის არხების დატვირთვა აიცილოს.

ინფორმაციული პორტალი სხვა ვებ გვერდებისგან განსხვავდება ინფორმაციის მოცულობითა და ხასიათით. პორტალი შეიცავს მრავალ დინამიურ განყოფილებებს, საქონლის კატალოგს, პორტალზე განთავსებულია ინფორმაცია არამხოლოდ კონკრეტული კომპანიის საქონლისა და მომსახურების შესახებ, არამედ მასზე მოთავსებულია აგრეთვე თეორიული, დარგობრივი, ანალიტიკური ინფორმაცია კომპანიის ბიზნესის სფეროში. პორტალი უზრუნველყოფილია პუბლიკაციებითა და ინფორმაციის მართვის შესაძლებლობით (განახლებით, წაშლით, - ზოგადად რედაქტირებით). რესურსის ფუნქციონალური მნიშვნელობა მეტად დიდია, მუშაობს ინტერაქტიულ რეჟიმში და გააჩნია საძიებო სისტემები. ასეთი რესურსის მფლობელ კომპანიას საშუალებას ეძლევა დაიკავოს ღიდერის მდგომარეობა თავისი ბიზნესის დარგში. ინტერნეტის საშუალებით მას შეუძლია

მოიზიდოს მომხმარებელთა დიდი რაოდენობა და წაიწიოს წინ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე.


ინტერნეტ-მაღაზიები (სავაჭრო სისტემები „ბიზნესი მომხმარებელს“ (business to customer) წარმოგვიდგენენ ელექტრონულ კატალოგს გასაყიდი პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. ეს ვებ-გვერდები შეიძლება ინტეგრირებულნი იყვნენ საწარმოს სასაწყობო სისტემასთან, მარკეტინგულ ინფორმაციულ სისტემასთან. ინტერნეტ-მაღაზიები საშუალებას აძლევენ საიტზე შემოსულებს მოახდინონ შესყიდვები ონ-ლაინით, ახდენენ დამატებითი არხის ფორმირებას კომპანიის საქონლისა და მოსახურების გასავრცელებლად. ამ ტიპის საიტის შექმნის შედეგად ჩნდება დამატებითი შესაძლებლობები ინტერნეტის საშუალებით მარკეტინგული კვლევების ჩასატარებლად. ამ სახის ვებ-გვერდები შესაძლებელია ადჭურვილნი იყვნენ ელექტრონული გადახდების სისტემითაც.

ვებ-გვერდები ბიზნესი - ბიზნესისათვის (business to business) კლასის სავაჭრო სისტემისათვის დანიშნულია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც აწარმოებენ საქონელს ან მომსახურებას ან რეალიზაციას უკეთებენ მას. ეს საიტები საშუალებას იძლევიან მოხდეს ავტომატიზირება ურთიერთდამოკიდებულებისა „მიმწოდებელ-მომხმარებელი“, რაც გულისხმობს მართვის სიტემის გამოყენებას ინფორმაციასთან შედწევით. მოცემული ტიპის საიტები საშუალებას იძლევა შემცირდეს დანახარჯები ორგანიზაციის ძირითადი პროდუქციის მიწოდებაზე და აყალიბებს საწარმოს ინფორმაციულ გარემოს.

კორპორატიული საიტი - „ვირტუალური ოფისები“ წარმოადგენენ ინტერნეტში ინტეგრირებულ ინფორმაციულ და ინტრანეტ სისტემებს, ამიტომაც ისინი საკმაოდ რთულია და საშუალებას იძლევიან მოვახდინოთ ბიზნეს-

პროცესების ავტომატიზაცია კომპანიის შიგნით, დავამყაროთ კავშირი კლიენტებთან, მომწოდებლებთან, პარტნიორებთან, შევასრულოთ მარკეტინგული გამოკვლევები. "ვირტუალური

ოფისები" შეიძლება ინტეგრირებულნი იყვნენ ინფორმაციულ სისტემებთან, საწარმოს ინტრანეტ სისტემებთან.



SYSTEMATIZATION OF THE BUSINESS INFORMATION AND SOURCES OF THEIR RECEPTION

MZIA TIKISHVILI
Professor of Tbilisi State University

The role of the information for business both as the goods, and as a resource becomes more and more important. Progress in communication sphere increases volume of the accessible information and, at the same time, essentially complicates managerial process by this information. Therefore the important role systematisation occupies information business. In the given working are characterised the kinds of information business according of place to occurrence and on a special-purpose designation. According to a source of occurrence of the information in relation to the organisation there is the internal and external information making, as a whole, information resources of this organisation. They are considered separately. In the form of the external information it is considered 1. The market information; 2. The information on competitors; 3. The macroeconomic and geopolitical information; 4. The information on suppliers; 5. The external financial information; 6. The information from state structures and controls.

On a special-purpose designation the internal information is divided into following categories 1. The information on manufacture and sale; 2. The information on a manpower; 3. The internal financial information. There are discussed also sources of reception of these information.

საქართველოს ინფორმაციული სისტემების ასოციაცია



ეროვნული
დამაგრების ცენტრი

თსუ ასოცირებული პროფესორი
ბულაღი ნაბაშიძე
თსუ დოქტორანტი

ახალი ეპოქისთვის

სახელმწიფოს მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის არსის შესახებ დაწერილია მრავალი სახელმძღვანელო და სამეცნიერო სტატია. ამ პრობლემაზე მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნის ათასობით პროფესიონალი სპეციალისტები.

სახელმწიფოს მმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფის დედააზრი გამოიხატება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციების რეალიზაციაში მისი საორგანიზაციო სტრუქტურების მეშვეობით.

სახელმწიფო აპარატის საორგანიზაციო სტრუქტურების შემადგენლობას ქმნიან: წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი, სასამართლო ორგანოები, პროკურატურისა და სახელმწიფო კონტროლის ორგანოები.

სახელმწიფოს სრულყოფილი მართვის არსი სახელმწიფოს მმართველობის ინფორმაციულ უზრუნველყოფაშია, რომელიც განკუთვნილია მომხმარებელთა ინფორმაციით უზრუნველყოფისთვის და წარმოადგენს კონცეფციების, მეთოდებისა და საშუალებათა სისტემას. ინფორმაციის მომხმარებელს მიეკუთვნება ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც მისთვის საჭირო ფაქტოგრაფიული, დოკუმენტური, ანალიტიკური და სხვა ინფორმაციის მისაღებად და გამოსაყენებლად მიმართავს ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებებს. ასეთ საყოველთაო ადიარებულ საშუალებებს წარმოადგენს სხვადასხვა კლასისა და სახეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემები, ტელერადიო კომპანიებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის დამკვეთისა და შემმუშავებლისთვის ურთულესი მეთოდოლოგიური ამოცანაა ხელისუფლების ამა თუ იმ კონკრეტული ორგანოსთვის ამოცანების დეტალიზაცია, მისი შემადგენელი პროცესების და პროცედურების განსაზღვრა. ეს აიხსნება იმით, რომ

კონკრეტული სახელისუფლებო ორგანოების ფუნქციები და კომპეტენცია განსაზღვრულია კონსტიტუციით, კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით. როგორც წესი, ისინი ფორმულირებულია კონცეპტუალური დონის საკმაოდ განზოგადებულ „მეტაენაზე“. სახელმწიფოს, ხელისუფლებისა და მმართველ ორგანოთა მოღვაწეობა წარმოადგენს ლოგიკურად ერთმანეთზე დამოკიდებული მასობრივი მოქმედებების – ოპერაციების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია მათზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.

საქართველოში შექმნილია სხვადასხვა სახის ინფორმაციული რესურსების საკმაოდ რაოდენობა. ასე, მაგალითად, დარგების, ქვედარგების, საწარმოთა და ორგანიზაციათა ჭრილში 800 ათასზე მეტი საქმიანობის სახეობა არსებობს! მაგრამ რაც შეეხება სახელმწიფოს სახელისუფლებო და მმართველ ორგანოთა უმაღლესი რგოლების ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რომელთა კომპეტენციაში შედის სტრატეგიული მიზნების (დოქტრინების) გენერაცია, ქვეყნის დასაბუთებული პოლიტიკური კურსის არჩევა, საზოგადოებასა და მსოფლიოში კრიზისული სიტუაციების განვითარების სცენარების ანალიზი, ამ პრობლემებს არასაკმარისი ყურადღება ექცევა. ჩვენის აზრით, სწორედ ამ მიმართულებით, ახალი პროექტების შემუშავებას შეუძლია, სახელმწიფოს მმართველობაში მოგვცეს მნიშვნელოვანი ეფექტი და მდგომარეობის გაუმჯობესება.

სახელმწიფოს სახელისუფლებო და მმართველობის ორგანოთა ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები შეიძლება განხილულ იქნას ინფორმაციული უზრუნველყოფის შექმნის, გამოყენების, ორგანიზაციისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპებისა და მიმართულებების ჭრილში. ასე, მაგალითად:

– ავტომატიზებული სისტემებისა და ინფორმაციული მომსახურების მიხედვით;

- საინფორმაციო რესურსების სახეების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის;

- ნორმატიული, სამართლებრივი აქტების მიხედვით, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს ინფორმაციულ სფეროში;

- ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებების მიხედვით.

სახელმწიფოს მართვის ინფორმაციული სრულყოფის პოზიციიდან გამომდინარე, ინფორმაციული კავშირების ადრინდელი სისტემა სრულად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, სახელმწიფოს მართვის სფეროში ინფორმაციული და ინფორმაციულ-ანალიტიკური მხარდაჭერის მიმართ ახალი მიდგომა მოითხოვა. სახელმწიფოს მმართველობის საინფორმაციო სისტემა განიცდის მუდმივ ცვლილებებს, იხვეწება და იძენს ახალ ხარისხს.

ინფორმაცია განიხილება როგორც რესურსი, რომლის გარეშე მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება შეუძლებელია. უწინარეს ყოვლისა, ეს მიიღწევა მმართველობის თანამედროვე ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემების, ახალი კომპიუტერული ტექნიკისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით. მოცემულ მომენტში სახეზეა სახელმწიფოს მართვის სისტემაში სასიკეთო ძვრები ტექნიკურ მოწყობასთან დაკავშირებით, თუმცა კომპიუტერიზაციაზე მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება ჯერ კიდევ შორსაა. ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობის მიხედვით არსებობს მართვის მექანიზებული, ავტომატიზური და ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემები.

საკმაოდ გავრცელებული ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემები, რომლებშიც შეთავსებულია ინფორმაციასთან ურთიერთობის მექანიკური საშუალებები, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა და ადამიანის გონება.² ასეთი სისტემების ფორმირების საქმეში რამდენიმე მიმართულება არსებობს. პირველი - სუფთა ტექნიკურ-ტექნოლოგიური, რომელსაც ახორციელებენ კიბერნეტიკოსები და ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკისა და ინფორმაციის დარგის სხვა სპეციალისტები; მეორე - უშუალოდ მმართველობითი, რომელიც მდგომარეობს მმართველობითი ინფორმაციის სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციაში. მაგრამ ამ მხრივ წინსვლა უმნიშვნელოა. დადებითია ის, რომ მმართველი №1 (12), 2009 წელი


კადრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ბოლო წლებში გაიარა თავისებური „ტექმინიუმი“ ახალ ტექნიკასა და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ათვისებაში, შეიძინა პრაქტიკულ მუშაობაში ტექნიკური სიახლეების დანერგვის გამოცდილება. დიდი მუშაობა ტარდება კადრებთან სასწავლო დაწესებულებებში ინფორმაციის საფუძვლების ასათვისებლად, სადაც ხორციელდება სახელმწიფოს მმართველი კადრების მომზადება. ამ მხრივ აღნიშნული კადრების (რომლებიც შეადგენენ სახელმწიფო სამსახურის პროფესიონალურ ღერძს) მიერ ჩატარებული სამუშაოები დადებითად მოქმედებენ ინფორმაციის მოხმარების ხარისხზე.

ეს ყველაფერი გარკვეული ნიშნით ახასიათებს სახელმწიფოს მმართველობის საინფორმაციო სისტემას, როგორც გახსნილს საზოგადოების სხვა საინფორმაციო სისტემებთან ურთიერთქმედებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული მომსახურება წარმოადგენს ბაზარს, რომელზეც იგება სახელმწიფო აპარატის მმართველობითი საქმიანობა. აქ ინფორმაცია განიხილება როგორც მონაცემთა ერთობლიობა სხვადასხვა შეტყობინების, ცნობების, მოვლენების, პროცესების, ურთიერთობების შესახებ. ერთად თავმოყრილი სისტემატიზებული და გამოსაყენებლად ვარგისი მონაცემები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ მმართველობაში.

საზოგადოებაში და კერძოდ სახელმწიფოს მმართველობაში ყოველთვის არსებობდა და არსებობს გარკვეული საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოიცავს თავად ინფორმაციას, მისი დამუშავების მეთოდებს, ფორმებსა და საშუალებებს, და აგრეთვე ინფორმაციულ პროცესებში ჩართულ ადამიანებს. ამიტომ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფოს მმართველობის სისტემის სრულყოფაზე მხედველობაში გვაქვს თვისობრივად ახალი სისტემა, რომლის ფუნქციონირება დამოკიდებულია გარკვეული სუბიექტებისა და ობიექტების მდგომარეობის ამსახავი ინფორმაციის ფორმირებასთან, შეკრებასთან, დამუშავებასა და შენახვასთან.

ინფორმაციის ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც შეიცავს რაიმე ცნობას საგნის, მოვლენის, ფაქტის შესახებ. მაგრამ კიბერნეტიკის, როგორც მართვის ზოგადი პრინციპების შესახებ, მეცნიერების პოზიციიდან ინფორმაცია წარმოადგენს არა ნებისმიერ, არამედ ადრე უცნობი ფაქტების შემცველ შეტყობინებას, რომელიც ამ შეტყობინების მიმღებს დამატებით

ახალი ეკონომიკის



ახალი პერიოდის

უღრმავეებს წარმოდგენას შესასწავლ ან გასაანალიზებელ ობიექტზე (პროცესზე).

ინფორმაცია არის სოციალური მართვის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, რომელიც აკავშირებს მართვის სუბიექტსა და ობიექტს და წარმოადგენს მართვის ობიექტის მდგომარეობის მახასიათებელს სტატისკასა და დინამიკაში. რაც უფრო სრული და ობიექტურია ინფორმაცია, მით უფრო ეფექტურია მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებანი და შესაბამისად, მათი რეალიზაციის შედეგებიც³.

ინფორმაცია, როგორც მეცნიერული კატეგორია მმართველობით სტრუქტურებში ხასიათდება რიგი ნიშნებით, რომელთაც მიეკუთვნება:

- მონაცემთა დამოუკიდებლობა;
- მათი მრავალჯერადი გამოყენებისა და შენახვის შესაძლებლობა გადამცემა ან მიმღები სუბიექტის მიერ;
- ინფორმაციის ინტეგრაცია და „შეჭიდროვება“ დუბლირებული, განმეორებითი და პარალელური ინფორმაციის ხარჯზე;
- სისტეპრობა, კომუნიკაციურობა.

სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ცირკულირებადი ინფორმაცია სხვადასხვაგვარი და მრავალფეროვანია. ის შეიძლება ეხებოდეს შიდაპოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და სხვადასხვა მდგომარეობებს. ასეთი სახის ინფორმაციას გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა შესაბამისი რეგიონალური მმართველობითი სტრუქტურებისათვის, როცა ისინი, როგორც ორგანოები, იღებენ გადაწყვეტილებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. გარდა ამისა, ეს ინფორმაცია გამოიყენება ნორმატიული დოკუმენტების საფუძვლად. აუცილებელი, საჭირო ცნობები შეიძლება მოვიძიოთ: კანონებში, სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, წერილებში, ფაქტებში, განხილვებში, იურიდიულ გადაწყვეტილებებში, სახელმწიფო აპარატის მუშაკთა ცნობიერებაში და სხვ. შეგროვილი, სისტემატიზებული და გამოყენებისთვის ვარგისი ფორმით წარმოდგენილი ეს ცნობები ასრულებენ განსაკუთრებულ როლს მმართველობაში.

ინფორმაცია შეიძლება დაფიქსირდეს ოფიციალური და არაოფიციალური, ზოგადი და დარგობრივი, პორიზონტალური და ვერტიკალური შესაძლო სოციალური შედეგებისა და მისი დროსთან თანაფარდობის საფუძველზე, შინაარსისა და

მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით (ინფორმაცია წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე).

მმართველობითი სისტემების ინფორმაციაში გადაწყვეტილების მისაღებად, ინფორმაცია უნდა განვიხილოთ აქტუალობის, საკმარისობის და ადეკვატურობის თვალსაზრისით. ამასთანავე რეკომენდებულია, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე შეტყობინება გადაგზავნოს პარალელურად ან ჯვარედინად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორ-სამ სხვადასხვა მუშაკს, ანალიზისა და შეფასების უფრო მეტი აქტივობის უზრუნველსაყოფად.

მმართველობითი ინფორმაციის სისტემატიზაციის სახელმწიფო ორგანოებში ინფორმაციის ერთიანი კლასიფიკაცია ცალკეული სახეებისათვის დამახასიათებელი თავისებურებისა და ნიშნების გათვალისწინებით. ასევე გასათვალისწინებელია სოციალურ-მმართველობითი ინფორმაციის ყველა შესაძლო სახეობისა და ტიპის განხილვა. რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს რეგულირებისა და მართვის პრობლემათა ყოველმხრივ გამოკვლევაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ხელისუფლებისა და მმართველ ორგანოთა, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მუშაკთა ეფექტური ინფორმაციული საქმიანობის შესახებ.

მმართველი ორგანოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ინფორმაციის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით:

- სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ხასიათისა და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;
 - სტრუქტურული ქვედანაყოფის მმართველი სუბიექტისადმი შეტყობინების მიხედვით;
 - სტრუქტურული ქვედანაყოფის და გარემოს კავშირის ტიპის მიხედვით.
- ასევე აუცილებელია განხორციელდეს რეგიონალური სტრუქტურებისა და მასშედის, სახელისუფლებო და სხვა ორგანოთა ინფორმაციული ურთიერთკავშირის ანალიზი:
- სტრუქტურული ქვედანაყოფის მიზნობრივი ფუნქციის მიხედვით;
 - ლოგიკური შინაარსის მიხედვით;
 - წარმოდგენილი მასალის ფიზიკური ფორმის მიხედვით;
 - გარდაქმნის პროცედურის მიხედვით;
 - გარდაქმნის ხარისხის მიხედვით.

სახელმწიფო მართვის სისტემაში ინფორმაციული ნაკადები უნდა დაფიქსირდეს:



პირველწიაროს მიხედვით (ხელისუფლება და სახელმწიფო ორგანოები, პრეზიდენტის წარმომადგენლები, რეგიონალური სტრუქტურები და სხვ.); ხარისხობრივი შინაარსის მიხედვით (ინფორმაციის ღირებულების გაანგარიშება, რომელზეც დამოკიდებულია სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან გამომავალი გარკვეული მმართველობითი ზემოქმედებანი); რაოდენობრივი მახასიათებლის მიხედვით (მიზანშეწონილია გამოვეყნოთ ალბათური, სემანტიკური და სხვა ინფორმაცია, რომლებიც გამოიყენება მმართველობითი რეგულირებისა და სხვა მმართველობითი საჭიროებების უზრუნველყოფის დროს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინფორმაციის ყველა სახეობა ურთიერთკავშირშია, ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან, ტრანსფორმირდებიან ერთმანეთში.

სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ცირკულირებადი ინფორმაციისთვის ბრძოლა ასპექტები, ანუ მისი შინაარსობრივი და რაოდენობრივი მოთხოვნის ზეგავლენას ახდენს ინფორმაციული უზრუნველყოფის ეფექტურობის ამაღლებაზე. ამიტომ, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მართვის ობიექტებზე კონკრეტული ზემოქმედების მოსახდენად საჭიროა ინფორმაციის განხილვა, როგორც სტრატეგიული რესურსისა, რომელიც უნდა იყოს სრული, აქტუალური, უტყუარი. უნდა მოიცავდეს სახელმწიფო სტრუქტურებისთვის საინტერესო პრობლემების მთელ სპექტრს. ინფორმაცია უნდა შეეკრიბოს რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობითა და საჭირო მოცულობით.

ხარისხიანი და უტყუარი ინფორმაციის მოგროვებით სახელმწიფო სტრუქტურას საშუალებას მიეცემა ჰქონდეს სამოქმედო გეგმა მმართველობითი გადაწყვეტილებების რეალური და ზუსტი მიზნების განსაზღვრისათვის.

ამასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდებელზე სამართლებრივი ნორმის დაცვის, ინფორმაციული ნაკადების რაციონალური ორგანიზაციის, მისი მოპოვებისა და გავრცელების (გადაცემის) პროცესების მოწესრიგების თაობაზე უნდა შევიმუშაოთ მმართველი ორგანოს ზემოქმედების მექანიზმი. ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ პასუხისმგებლობა, ინფორმაციის უტყუარობაზე, სისრულეზე და ოპერატიულობაზე.

ინფორმაციის ხარისხობრივი (თვისებრივი) დონის უზრუნველყოფაში ძირითადი როლი გააჩნია ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ხელმძღვანელ და №1 (12), 2009 წელი

მმართველ ორგანოებში არეგულირებენ ინფორმაციულ პროცესებს. თუკი ამ პროცესის „ქვემდებარე“ პირის პასუხისმგებლობა არ არის განსაზღვრული თანამდებობრივი ინსტრუქციის (საქმიანობის) სხვა ნორმატიული დოკუმენტით), მაშინ მმართველობით სტრუქტურაში გასაგზავნი ინფორმაციის ჭეშმარიტებისა და უტყუარობის საკითხი ეჭვქვეშ დადგება.

თუ გავითვალისწინებთ მოთხოვნებს ინფორმაციის ხარისხსა და უტყუარობაზე, ინფორმაციული უზრუნველყოფის საიმედობაზე, აუცილებელია შემუშავდეს საქართველოს სახელმწიფოს მმართველი ორგანოების ინფორმაციით უზრუნველყოფის შესახებ კანონი, რომელიც უფრო დააკონკრეტებს ინფორმაციული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების რეგლამენტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვეყოთ მმართველობითი ინფორმაციის წარმოშობის წყაროები:

- საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც უფლებამოსილებას აძლევს სახელმწიფო ორგანოებს და სახელმწიფო მოსამსახურეებს, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს მმართველობითი გადაწყვეტილება განსაზღვრულ დროში გარკვეული მიმართულებით;

- მოქალაქეებისადმი მიმართვა მათი კანონიერი ინტერესებისა და სუბიექტური უფლებების (მომსახურება, უფლებების დაცვა და მოქალაქეთა თავისუფლება) დასაცავად;


- სახელმწიფოს მართვის უზრუნველყოფელი (დირექტიულ-მმართველობითი ინფორმაცია) ბრძანებები გაცემული ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომელიც ექვემდებარება შესრულებას ქვემდგომების მიერ;

- ფაქტები, ურთიერთობები გამოვლენილი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ, რომელიც ასახავს სამართავი ობიექტების რეალურ მდგომარეობას;

- პრობლემური, კონფლიქტური, ექსტრემალური და სხვა რთული სიტუაციები, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ოპერატიულ, განსაკუთრებულად აქტიურ ჩარევას (მმართველობითი ინფორმაცია საზოგადოებრივი პროცესების კრიზისულ მდგომარეობაზე).

ასეთი ინფორმაცია ორიენტირებული უნდა იყოს: პირველ რიგში – თითოეულ ადამიანზე და

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის



ახალი ეპონომოსტი

მთლიანად საზოგადოებაზე. შესაბამისად კონკრეტული სახელმწიფო ორგანოების მიხედვით; მეორე – ბრძანებებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების იერარქიაზე, რომელიც მიმართულია მმართველური პროცესებისკენ და მესამე – სამართავი ობიექტის ხასიათზე, ფორმებზე და კანონზომიერებებზე, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მმართველური მოქმედებების დიფერენციაციასა და კონკრეტიზაციას ახდენენ.

განხილულიდან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- მმართველობითი ინფორმაციის კომენტირება უნდა აწარმოოს იმ სახელმწიფო ორგანომ, რომელმაც შეიმუშავა და მიიღო ეს გადაწყვეტილება;
- ინფორმაციული უკუკავშირის მქონე, ოპერატიული ინფორმაციული კონტროლის ორგანიზაციებმა უნდა გადაამოწმონ: თავისდროულად მიეწოდა თუ არა სამართავ ობიექტს ინფორმაცია, როგორ ჩაიარა ინფორმაციის გადაცემა, რამდენად სანდო იყო მიღებული ინფორმაცია, აგრეთვე როგორ იქნა გაგებული და შენახული;
- ინფორმაციის გადაცემა და მიღება უნდა იყოს გაფორმებული აქტით, როგორც ამას ითხოვს

მართვის თეორია. აქვე, მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, სადაც აღწერილი უნდა იქნას მოქმედებათა კონკრეტული კომპლექსი სამართავი ობიექტის არსებული მდგომარეობის გადასაყვანად ახალ მდგომარეობაზე;

- რამდენადაც, გადაწყვეტილება წარმოადგენს მმართველობითი მოქმედების ძირითად ფორმას, რომელიც განუწყვეტლივ იცვლება, საჭიროა მასში ჩადებულ ინფორმაციას გააჩნდეს სისტემური ხასიათი. უნდა იყოს სრულყოფილი და კონცეპტუალურად დაკავშირებული, როგორც ადრე შემუშავებულ აქტებთან, ისე იმათთანაც, რომლის მიღებაცაა დაგეგმილი.

ამრიგად, როცა ლაპარაკია ინფორმაციული სისტემის (სისტემების) შექმნაზე და სრულყოფაზე, იგულისხმება არა უბრალოდ სისტემა რომლის ფუნქციონირებაც დაკავშირებულია ინფორმაციის მოგროვებაზე, ფორმირებაზე, რეგისტრაციაზე, დამუშავებაზე და შენახვაზე, რაც ასახავს სამართავი ობიექტის მდგომარეობას, არამედ ინფორმაციული უზრუნველყოფის ახალ სისტემაზე, რომელიც ხარისხობრივი მაჩვენებლებით პრინციპულად განსხვავდება თავისი წინამორბედისგან.

ბაზოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკა. <http://www.statistics.ge/>
2. Высокопроизводительные вычисления и компьютерное моделирование в прикладных науках. http://www.ict.edu.ru/vconf/index.php?a=vconf&c=getForm&r=thesisDesc&d=light&id_sec=254&id_thesis=8403
3. Нестеров В.П. Информационное обеспечение процесса принятия управленческих решений. <http://quality.eup.ru/materialy2/ioppur.htm>.

SEVERAL ASPECTS OF INFORMATIONAL SUPPLY IN GOVERNMENT ADMINISTRATION

DEMUR SICHINAVA
TSU Associated Professor
GULADI NAKASHIDZE
TSU Doctorate

The importance and problems of information supply in general and especially in Georgia is stressed in the article. It also considers structures of governmental institutions. Problems of information supply in governmental and administrative organizations are considered on different stage of usage, organizing and development. The article describes scientific essence and importance of information in administrative structures and gives examples of political, economical, social-political, ecological and other kinds of information. It shows methods for improving quality of informational service and administrative influence in governmental institutions.



ნათუნა ბარბაქაძე

ოსუ ასოცირებული პროფესორი
ირინე მამალაძე
აკადემიური დოქტორი



ვადიან გარიგებათა მსოფლიო ბაზარი საბირჟო და არასაბირჟო ვაჭრობის კარგად ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს. თავის მიზნებზე და მის ფინანსურ შესაძლებლობებზე დამოკიდებულებით ბაზრის მონაწილემ შეიძლება აირჩიოს, როგორც გარანტიების კარგად გამართული სისტემა და საბირჟო ოპერაციების მაღალი ლიკვიდურობა, ასევე უფრო სარისკო არასაბირჟო ბაზარი. ბანკების, ფინანსური კომპანიების, კორპორაციებისა და დანახოების მრავალფეროვანი კერძო მფლობელებისათვის ვადიანი გარიგებების მიმზიდველობა მდგომარეობს, როგორც მაღალშემოსავლიანი სპეკულაციური და საარბიტრაჟო ოპერაციების ჩატარების, ასევე სავალუტო რისკის პეჯირების არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობაში. სხვადასხვა სახის ვადიან გარიგებათა (იქნება ეს ფორვარდული თუ ფიუჩერული კონტრაქტები, ან უფრო მოქნილი ოფციონური ოპერაციები) სავალუტო რისკის დასაზღვევად გამოყენებული ვარიანტები იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, რომ სავალუტო კურსის ცვლილების ნებისმიერი პროგნოზის დროს სტრატეგიის სწორად შერჩევა პოტენციური ზარალის წინასწარი შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება, ვადიან გარიგებათა სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებას, ისინი დამატებითი მოგების მიღებასაც განაპირობებენ და ქმნიან პირობებს სპეკულაციური თამაშისთვის. სავალუტო რისკის მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მცურავი კურსის მსოფლიო სავალუტო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სავალუტო რისკს უწოდებენ ეროვნული ვალუტის დეველვაციის რისკს, რომლითაც ეკონომიკური საქმიანობის შედეგს აფასებენ. მაგრამ სავალუტო რისკის ეს კლასიკური განმარტება ნაკლებად მისადავია ჩვენი

ეკონომიკისათვის. ამის მიზეზია ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და, მაშასადამე, ფულადი ერთეულის გამოუსადეგრობა ანალიტიკური აღრიცხვისთვის. ამ მიზნით, მოხერხებული ერთეულია აშშ-ის დოლარი, რომლის კურსის შესაბამისადაც შეიძლება ეკონომიკური აგენტის საკუთარი სახსრებისა და ფინანსური შედეგების შეფასება.

საქართველოს სპეციფიკა, მსგავსად გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნების უმრავლესობისა, იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის შიგნით ეროვნული ვალუტის პარალელურად ცირკულირებს უცხოური ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტა (ლარი) მუდმივ კონკურენციას განიცდის უფრო მეტად ძლიერი და ლიკვიდური ვალუტისგან – აშშ დოლარისგან. იმისთვის, რომ ასეთ პირობებში ეროვნულმა ვალუტამ შეძლოს პოზიციის შენარჩუნება და სრულფასოვნად შეასრულოს ფუნქცია (მათ შორის გადროვების ფუნქციაც), სავალუტო ბაზარი უნდა იყოს სტაბილური, რამდენადაც სტაბილური ბაზარი, გაწონასწორებული სავალუტო კურსი და მყარი ლარი ხელისუფლებისადმი, მისი ეკონომიკური პოლიტიკისადმი ნდობის მძლავრი ფაქტორია. იგი დადებითი ორიენტირია გადასახადის გადამხდელთათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა უზარმაზარი მასისთვის. ეროვნულმა სავალუტო პოლიტიკამ დაბალანსებულად უნდა წარმოადგინოს არა მხოლოდ მათი ინტერესები, რომლებსაც გაანინათ შესაძლებლობა აქტიური გავლენა მოახდინოს მთავრობის პოზიციაზე, არამედ საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესები.

სწორი სავალუტო სტრატეგია, როგორც საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, ახდენს საქართველოს ეკონომიკის ისეთი ურთიერთობების ფორმირებას, რომელიც

თარგმანი

საშუალებას იძლევა: გავამყაროთ ქვეყნის საფინანსო-სავალუტო მდგომარეობა; მოვახდინოთ ლარის სტაბილიზაცია; ავამაღლოთ ქვეყნის საგარეო გადახდისუნარიანობა; ქმედითი დახმარება გავუწიოთ ექსპორტის ზრდას; ქმედითი დახმარება გავუწიოთ ადგილობრივ წარმოებას; უზრუნველყოთ შიდა სამომხმარებლო ბაზარზე თანამედროვე ხარისხიანი იმპორტული საქონლის არსებობა, რაც სამამულო პროდუქციის წარმოების ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლებისთვის კონკურენციულ პირობებს შექმნის.

სავალუტო რისკის საბანი

სავალუტო რისკი მდგომარეობს ანალიტიკური აღრიცხვის ერთეულის – დოლარის რევალვაციის და რაც იგივეა ეროვნული ვალუტის – ლარის დევალვაციის შესაძლებლობაში. სავალუტო რისკის საგანს წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის საკუთარი სახსრები და მოგება. იმ შემთხვევაში, თუ სახსრების მოზიდვა და განთავსება აშშ-ის დოლარებით მიმდინარეობს, მაშინ ასევე დოლარებით გამოხატულ მოგებას სავალუტო რისკი არ ეხება. თუ სახსრების მოზიდვა და განთავსება ლარებში ხორციელდება, მაშინ რისკი ემუქრება ლარებში გამოხატულ მოგებას. თუკი მოზიდვა ხორციელდება ლარებში, განთავსება კი – დოლარებით, მაშინ ლარის არასაკმარისი დევალვაციის რისკი ემუქრება განთავსების მთელ თანხას. თუ მოზიდვა ხორციელდება დოლარით, განთავსება კი – ლარით, მაშინ ლარის დევალვაციის რისკი სესხის მთელ თანხაზე ჩნდება. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარეობს საკუთარი სახსრების ლარებში განთავსება, მაშინ რისკი დაემუქრება როგორც ლარით განთავსებულ სახსრებს, ისე ამ განთავსებიდან მიღებულ მოგებას.

რთულ პრობლემას წარმოადგენს მთელი ფულადი ნაკადებიდან უშუალოდ, იმ ნაკადების გამოცალკევება, რომლებიც საკუთარი სახსრებისა და მოგების მოძრაობას უკავშირდება. ფულადი ნაკადების სქემიდან შეგვიძლია გამოვრიცხოთ დოლარის ნაკადი, რომლებიც ურთიერთკომპენსირდება და სავალუტო რისკს არ წარმოადგენს. რაც შეეხება, ლარის ნაკადებს, საჭიროა განისაზღვროს, თუ, რაშია ინვესტირებული ბანკის საკუთარი სახსრები მისი აქტივების მთელი თანხიდან. მაგალითად,

განსაზღვრავენ ბანკის საკუთარი სახსრების ხვედრით წილს მისი პასივების სტრუქტურაში და უშვებენ, რომ ბანკს ამდენივე ხვედრითი წილი ეკუთვნის მისი ყოველი სახის სტრუქტურაში. ასეთ მიდგომას მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვს: პირველი, ბანკის პასივების სტრუქტურა გამუდმებით იცვლება და ამიტომ შეუძლებელია საკმაოდ სწრაფად გადავიანგარიშოთ ბანკის საკუთარი სახსრების ხვედრითი წილი მთელ აქტივებში; მეორე, ამ ხვედრითი წილის შეფასების ამოცანის გაანგარიშებით ნაწილი არსებითად რთულდება მათემატიკური და პროგრამული საშუალებების თვალსაზრისით; მესამე, შეუძლებელია ფულადი ნაკადების ადეკვატური მართვა ამ მანკვნიბლის მუდმივად გადაანგარიშებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირობითად უნდა განისაზღვრება ის აქტივი, რომელშიც ბანკის საკუთარი სახსრები ინვესტირდება. აუცილებელია დოლარით სწორედ ამ აქტივის შეფასება და ვადიან სავალუტო ბაზარზე პოზიციის შექმნა, – ასე ყალიბდება თეორიული პორტფელი, რომელიც ამ სახის აქტივისა და ვადიანი სავალუტო კონტრაქტებისგან შედგება.

სავალუტო ბაზარი მჭიდროდაა დაკავშირებული დეპოზიტების (ანაბრების) და ფასიანი ქაღალდების (ფონდების) ბაზრებთან და წარმოშობს ურთიერთშორის კონკურენციას. საფონდო ბაზარი, თუ იგი იმსახურებს კლიენტების ნდობას, შესაძლებელია გახდეს სავალუტო ბაზრის სერიოზული კონკურენტი იმდენად, რამდენადაც დეპოზიტებითა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების მოცულობის ზრდა უარყოფითად მოქმედებს სავალუტო ბაზარზე და ამცირებს მისდამი მყიდველების აქტიურობას. ამ კონკრეტულ ურთიერთობაში ერთგება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საპროცენტო განაკვეთი (პროცენტის ნორმა), როგორც უმნიშვნელოვანესი ფინანსური კატეგორია.

რა თქმა უნდა, ინვესტორები, რომელთაც გააჩნიათ თავისუფალი ფულადი სახსრები, წინასწარ განსჯიან და ანგარიშობენ, სად უფრო საიმედო, მოხერხებული, ეფექტური და შედეგიანი იქნება თავიანთი კაპიტალის დაბანდება – დეპოზიტზე, ფასიან ქაღალდებში თუ სავალუტო ბაზარზე. ამასთან, სახსრების განთავსების ობიექტები შეიძლება შერჩეულ იქნეს როგორც



ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც. ეროვნული ვალუტის კურსი დამოკიდებულია ქვეყანაში უცხოური, მყარი და მალაქონვერტირებადი ვალუტის შემოდინებაზე. საერთოდ, კაპიტალის გადინება ქვეყნიდან ქვეყანაში მსოფლიო ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილი და ერთობ დამახსიათებელი თვისებაა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სავალუტო კურსების პროგნოზირება ძნელია: გაცვლით თანაფარობათა დადგენაში მნიშვნელოვან როლს ფსიქოლოგიური ფაქტორები თამაშობენ. არსებობს სავალუტო კურსების თანაფარდობა მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით (ფასების შეფარდება სამომხმარებლო და სამრეწველო საქონლის ფართო კალათის მქონე ქვეყნებში), თუმცა ეს თანაფარდობა მხოლოდ, იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ ამ გაცვლისთვის საბაჟო და სხვა წინააღმდეგობები არ არსებობს.

საერთოდ მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის ავტორად აღიარებული გ. კასელის თქმით, „თუკი ვალუტა მყიდველობითუნარიანობის პარიტეტს ქვეყნით აღმოჩნდება, მაშინ წარმოიქმნება სპეციალური სარგებელი ამ ვალუტის ყიდვისა და ამ ფულის მოცემულ ქვეყანაში საქონლის შესაძენად გამოყენებისა“ იგი ნათლად გამოყოფს სავალუტო კურსის რყევის განმსაზღვრელ ფაქტორებს, რომელთაც მიაკუთვნებდა: პირველი, საგარეო ვაჭრობის შეზღუდვას; მეორე, სპეკულაციურ სავალუტო ოპერაციებს; მესამე, სავალუტო კურსის მომავალი ცვლილების მოლოდინს.

სავალუტო რისკების სახეები

სავალუტო რისკები, ისევე როგორც საპროცენტო რისკები, ორ ძირითად სახეობად შეგვიძლია დავეყოთ: მარტივი (უბრალო) რისკი (მოკლევადიანი-საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებზე) და კომპლექსური რისკი – იმ კონკრეტული ფირმისთვის განმარტავადებული მნიშვნელობა, რომლის საქმიანობის ხასიათშიც საერთაშორისო ოპერაციები არსებობს.

მარტივი (უბრალო) რისკი. უბრალო რისკს უწოდებენ ორი ვალუტის გაცვლითი კურსის ისეთ ნაკლებგანჭვრეტად ცვლილებებს, რომლებსაც გარიგების ერთი მონაწილისთვის მოგება მოაქვთ, მეორისთვის კი – ზარალი. საერთაშორისო ვაჭრობის დროს გაცვლის

გარიგებები წარმოიქმნება გადავადებული გადახდის მქონე საქსპორტო-საიმპორტო ოპერაციებისათვის უცხოური ვალუტით შესრულებული გადასახადების ან მიღების სახით. აღსანიშნავია, რომ სავალუტო კურსების ცვლილების რისკი მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ გარიგების შესრულების მომენტი დროში არ ემთხვევა მისი ღირებულების გასტუმრებას. სავალუტო რისკის განჩენის მომენტად ითვლება გარიგების შესახებ მოლაპარაკება ან კონტრაქტის ხელმოწერა, რომლის დროსაც, არც ექსპორტის და არც იმპორტის ფასი ეროვნული ვალუტით არაა გამოხატული. ექსპორტიორისთვის რისკია უცხოური ვალუტის კურსის დაწვეა შეკვეთის მიღების მომენტიდან და გარიგების შესახებ მოლაპარაკების დროს. იმპორტიორისთვის რისკია უცხოური ვალუტის კურსის აწვეა შეკვეთის დადასტურების თარიღსა და გადახდის დღეს შორის პერიოდში. სავალუტო რისკების ცვლილებების განუჭვრეტელობა პრაქტიკულად თითქმის არ მოქმედებენ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის მოცულობებზე, რასაც განაპირობებს მრავალრიცხოვანი ფინანსური ინსტრუმენტები და სავალუტო რისკის ჰეჯირების (დაზღვევის) შესაძლებლობები.

სავალუტო რისკის ზომად გვევლინება დროის გარკვეული პერიოდის დღეებში სავალუტო კურსების რყევების საშუალოკვადრატული გადახრა. მაგალითად, თუ ვვარაუდობთ, რომ საგარეო სავაჭრო გარიგებაზე გადასახდელი 30 დღეს მიმდინარეობს, მაშინ მოკლევადიანი სავალუტო რისკის გამოთვლისთვის ყველაზე უფრო დამახსიათებელი დროის მონაკვეთია ერთი თვე. გრძელვადიანი სავალუტო რისკი უნდა გამოვიყენოთ გრძელვადიანი გაცვლითი ოპერაციებისთვის. თუ საერთაშორისო კრედიტის ღირებულება უცხოური ვალუტითაა გამოხატული, მაშინ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კრედიტის ღირებულების და საპროცენტო გადასახდელების სიდიდის ცვლილებისგან შესაძლებელი რისკის პოვნის პრობლემა, რათა შეგვეძლოს სესხის ასადებად შევირჩიოთ ყველაზე უფრო ხელსაყრელი ვალუტა.

საქართველოს მენეჯერების ასოციაციის

ექსპორტის შემთხვევაში გამყიდველი, როგორც წესი, იყენებს ფორფეიტერების სისტემას და აკრედიტივს, რაც საგარეო სავაჭრო გადასახდელების მომსახურე ბანკიდან საექსპორტო ამონაგების იმაზე ადრე მიღების შესაძლებლობას უქმნის მას, ვიდრე იმპორტიორმა ღირებულება გადაიხადა. ამ შემთხვევაში ექსპორტიორის ბანკი სავალუტო რისკებს შეგნებულად იღებს თავის თავზე კლიენტის უფრო ხარისხიანად მომსახურების მიზნით.

იმპორტის შემთხვევაში სავალუტო კურსების აწვეის რისკი უფრო ხანგრძლივ პერიოდზე მოდის, რადგან იმპორტის გასტუმრება იმპორტირებულ ტვირთზე შემდგარი დოკუმენტების წინ უნდა განხორციელდეს. დღეს ყველა მსხვილი ბანკი ვალუტების ფართო წრეს იყენებს. აშშ-ის დოლარი დღემდე რჩება ყველაზე მნიშვნელოვან ვალუტად, მაგრამ ვაჭრობაში სხვა ვალუტებსაც აქტიურად იყენებენ. სხვადასხვა ვალუტით შესრულებული ოპერაციები იმავე შედეგებსა და რისკებს იწვევენ, რომლებიც სხვადასხვა საპროცენტო პირობების მქონე ოპერაციების ანალოგიურია. მაგალითად, თუ დოლარით გამოხატული აქტივები დოლარით გამოხატულ ვალდებულებებს აჭარბებს, მაშინ ბანკს ელის მოგებას კურსის აწვეიდან და ზარალს დაწვეიდან, და პირიქით. რისკის დიდი ნაწილი შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ, თუ გვექნება მთლიანად მორგებული ბალანსი, რაც ამ შემთხვევაში აღნიშნავს აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო კომპოზიციის შესაბამისობას. ბევრ შემთხვევაში შესაძლებელია ბალანსის სრულ სავალუტო შესაბამისობასთან მიახლოება, თუმცა სავალუტო რისკის გარკვეული დონე მაინც რჩება.

აღსანიშნავია, რომ სავალუტო კურსს, საპროცენტო განაკვეთსა და კაპიტალის აქტივების ქვეყნიდან ქვეყანაში გადადინებას შორის არსებობს გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება. 'სავალუტო რყევები იწვევს აქტივების მიგრაციას, შემდგომ შედეგი გადაიქცევა მიზეზად და ამით კაპიტალის გადადინება ხდება სავალუტო კურსების მეშვეობით'.

ოფიციალური ინსტრუქციები ზღუდავს ბანკის მოქმედებათა თავისუფლებას, მაგრამ არ შეუძლია აღკვეთოს ყველა დაუბალანსებელი

სავალუტო პოზიციები ანუ არ გვათავისუფლებს სავალუტო რისკის მართვის როგორც აქტივებისა და პასივების მართვის სავალუტო აუცილებლობისგან. აღნიშნავს "The Banker" პრინციპს მოიცავს: *პირველი*, დაწვრილებითი ლიმიტების საჭიროებას დაუბალანსებელი სავალუტო პუბლიკაციებისთვის; *მეორე*, სავალუტო პორტფელის დივერსიფიკაციას იმისათვის, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ სავალუტო კურსების მოსალოდნელი ცვლილებებით განპირობებული პოტენციური ზარალი.

სავალუტო რისკის მიმართ დამოკიდებულება პრაქტიკაში ბანკიდან ბანკამდე მნიშვნელოვნად იცვლება. ზოგი ბანკი რეგულარულად ფლობს დაუბალანსებელ პოზიციებს იმისთვის, რომ მოგება მიიღოს სავალუტო კურსების მოსალოდნელი ცვლილებებიდან, სხვები სავალუტო რისკებს ისე არ ეპყრობიან, როგორც საპროცენტო ან ლიკვიდურობის რისკს და ვიწროლიმიტებად აქვთ ისინი. ბანკს, როგორც წესი, კონტროლის სისტემა აქვს, რომლებიც სხვადასხვა ლიმიტებს მოიცავს: დღის ლიმიტი, ოვერნაითლიმიტი (ღამის ლიმიტი), ლიმიტი ყოველ ვალუტაზე, ლიმიტი ინდივიდუალური გარიგებებისათვის და ლიმიტები დროის სხვადასხვა ზონაში ანგარიშსწორებებისათვის.

კომპლექსური რისკი. სავალუტო პოზიციების მართვას, ისევე, როგორც აქტივებისა და პასივების მართვის სხვა ასპექტებს აქვს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მოსაზრებები. მოკლევადიან ჭრილში ბანკებს ბაზრების გარკვეულ წრეზე შეუძლიათ ოპერირება რომელიმე მოცემული ვალუტით „აქტივები ვალდებულებები“ პოზიციის შეცვლის მიზნით. გრძელვადიან ჭრილში ბანკებს მეტნაკლები აგრესიულობით შეუძლიათ კონკურენციის გაწევა რომელიმე ვალუტით გამოხატულ ბიზნესში. აგრეთვე, რომელიმე ვალუტით აღებული გრძელვადიანი სესხების შეცვლა. თუ ეს სხვა გრძელვადიან გეგმებს არ ეწინააღმდეგება, მაშინ ბანკს შეუძლია მოინდომოს საცალო საბანკო ოპერაციების გაფართოება სხვა ვალუტით, რათა გაზარდოს ამ ვალუტით არსებული საკუთარი რესურსები. დაუბალანსებელი სავალუტო პოზიციების გამო შეწუხების მიზეზად გვევლინება ის, რომ რისკები



ხშირად შეზღუდული არაა სავალუტო კურსების ძიულოდნელი ცვლილებებით განპირობებული ზარალით.

არსებობს შებოჭილი საკრედიტო რისკი და ქვეყნის რისკი, აგრეთვე გარიგებათა შესრულების გადავადებიდან გამომდინარე, „ქორე მხარის“ რისკი. თითოეულ ბანკს უნდა შეეძლოს თავისდროულად შეასრულოს ვალუტაზე წარმოქმნილი მისი ვალდებულებები, მაგრამ არსებობს ლიკვიდურობის რისკი.

როგორც უკვე ვთქვით, ფორვარდულ სავალუტო გარიგებებში მონაწილეობის საპროცენტო რისკიც შეიძლება ახლდეს. უნდა გვახსენებდეს რომ გაცვლითი კურსების მოძრაობა ხშირად უკავშირდება ფარდობითი საპროცენტო განაკვეთების მოძრაობას. ამიტომ დაუბალანსებელი სავალუტო პოზიცია და დაუბალანსებელი საპროცენტო პოზიცია ხშირად ვერ იქნება დამოუკიდებელი რისკები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ცაავა, თ. აბრამია, დ. ცაავა. „რისკოლოგია“ თბ. 2007.
2. Касел Г. Инфляция и Валютный курс. 1995.
3. Наговицин А. Г. Валютная политика, М., изд. "Экзамен", 2005.

MONETARY RISKS: WAYS OF CONTROL AND EVALUATION

KHATUNA BARBAKADZE

Associated Professor

TSU, Faculty of Economics and Business

IRINE MAMALADZE

academic doctor

ბიზნესის ეკონომისტი

Monetary Risk is the risk of devaluation of the country's national currency that should be used while evaluating the results of economic activity. This classical definition is less acceptable for our economy. The reason of this is non-stability of the national currency and therefore the fact that it is inadequate for analytic calculations.

Properly chosen monetary strategy, as part of the economic policy helps to form the economic relations in Georgia that enables us: to make the country's financial-monetary conditions steadier, to make Georgian Lari more stabile, to give active assistance to the growth of export as well as to the national production, to guarantee availability of modern, quality, imported goods for local customers, that will create competitive conditions for effective national production and rising its quality.

ოპტიმალური მართვის ზოგადი ამოცანის ადეკვატური მატემატიკური მოდელი ასეთნაირად შეიძლება ჩაიწეროს:

$$\text{opt } I = \text{opt} \int_0^T F(\bar{x}, \bar{u}, t) dt + \varphi(\bar{x}, T) - \text{მიზნობრივი ფუნქციონალი};$$

$$\frac{d\bar{x}}{dt} = f(\bar{x}, \bar{u}, t) - \text{მოდრაობის განტოლება};$$

$$\bar{x}(0) = \bar{x}_0, \bar{x}(T) = \bar{x}_T - \text{სასაზღვრო პირობები}; \bar{u} \in W$$

აქ $\bar{x}(t)$ – ტრაექტორიაა ფაზურ სივრცეში, $\bar{u}(t)$ – მმართველ ზემოქმედებათა ვექტორია.

ეს განვიხილოთ დარგში კაპიტალდაბანდებების ოპტიმალური განაწილების ამოცანა დროის მოცემულ ინტერვალში და შევეცადოთ ავაგოთ მისი მოდელი ოპტიმალური მართვის ამოცანის ფორმატში. ავნიშნოთ $x(t)$ -ით დარგის ძირითადი საწარმოო ფონდების სიდიდე t -წლისთვის. ძირითადი საწარმოო ფონდების აღწარმოების პროცესში მათი რაოდენობა იზრდება კაპიტალდაბანდებების ხარჯზე, ხოლო მცირდება ფიზიკური და მორალური ცვეთის გამო.

მივიღოთ, რომ ძირითადი ფონდების ამოქმედება t წლისათვის გარკვეულ შეზღუდვას

ექვემდებარება: $u_{\min} \leq u(t) \leq u_{\max}$

აქ u_{\min} და u_{\max} შესაბამისად ძირითადი ფონდების ამოქმედების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობებია (ისინი ცნობილი მუდმივები ან დროზე დამოკიდებული ფუნქციებია).

თუ t წელს ფონდების რაოდენობა შემცირდება $\alpha x(t)$ სიდიდით, მაშინ ცხადია რომ

$$\Delta x(t) = -\alpha x(t) + u(t) \quad \text{ანუ} \quad \Delta x(t+1) = (1 - \alpha)x(t) + u(t)$$

აქ $\Delta x(t) = x(t+1) - x(t)$ ძირითადი ფონდების ნაზრდია წელიწადში. ეს განტოლება

წარმოადგენს დარგის ძირითადი ფონდების ზრდის დისკრეტულ მოდელს.

ჩავთვალოთ, რომ ძირითადი ფონდების საწყისი მნიშვნელობა (საწყისი სასაზღვრო პირობა)

$$x(0) = x_0, \quad x(t) \geq 0, \quad t = \overline{0, T}$$

თუ განვიხილავთ სისტემაში მიმდინარე პროცესის მახასიათებლების რანგში $x(t)$ -ს როგორც სისტემის მდგომარეობას, $u(t)$ -ს როგორც მმართველ ზემოქმედებას (მართვას), ხოლო გამოსახულებას როგორც პროცესის განტოლებას, მაშინ დასაშვები პროცესების სიმრავლე მოცემული გვექნება პირობებით:

$$u_{\min} \leq u(t) \leq u_{\max}$$

პროცესი აქ აღინიშნება როგორც $\{x(t), u(t)\}$

ძირითადი ფონდების ცვლილების პროცესის სისტემაში მიმდინარეობის ხარისხი გამოვსახოთ ფუნქციონალის (პროცესის ოპტიმალობის კრიტერიუმში)

აქ β და γ – რომელიმე არაუარყოფითი რიცხვებია.

ახალი ეკონომისტი



კრიტიკუმი ეკონომიკური აზრის გარკვევისთვის ჩავთვალთ, რომ $\beta=1$ და $\gamma=0$ მაშინ და ამ ფუნქციონალის მინიმიზაცია ასახავს კაპიტალ-დაბანდებების მაქსიმალური ეკონომიის მოთხოვნას; თუ კი $\beta=0$ და $\gamma=1$ მაშინ $I=-x(T)$ და ასეთი ფუნქციონალის მინიმიზაცია საგვემო პერიოდის ბოლოს ძირითადი ფონდების $x(T)$ მნიშვნელობის მაქსიმიზაციის ტოლფასია.

ასე რომ, ფუნქციონალის სტრუქტურაში წარმოდგენილია ორი, ზოგადად რომ ვთქვათ, ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნა პროცესთან მიმართებაში: კაპიტალდაბანდებების ეკონომია, ერთის მხრივ და დარგის ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდა, მეორეს მხრივ. აქ β და γ წონით კოეფიციენტებს წარმოადგენენ. თუ $\beta > \gamma$, მაშინ პრიორიტეტი ეძლევა პირველ მოთხოვნას, თუ $\beta < \gamma$ - მეორე მოთხოვნას.

მაშასადამე, საქმე გვაქვს ოპტიმალური მართვის მრავალბიჯიანი (დისკრეტული) პროცესის ამოცანასთან:

- მიზნობრივი ფუნქციონალი
- მოძრაობის განტოლება

$$u_{\min} \leq u(t) \leq u_{\max} - \text{შეზღუდვები}$$

ეს განტოლებები სხვა არაფერია თუ არა სტატიის დასაწყისში მოყვანილი, ოპტიმალური მართვის ზოგადი მოდელის დისკრეტული ვარიანტი მოცემული კერძო ამოცანისათვის.

ოპტიმალური მართვის ამოცანის მოცემულ დასმაში $x(t)$ ტრაექტორიის მარჯვენა ბოლო თავისუფალია, ვინაიდან არ არის დაწესებული შეზღუდვა $x(t)$ მნიშვნელობაზე. ამასთან, თუ ფუნქციონალში $\beta=1$ და $\gamma=0$, მაშინ, ბუნებრივია, დადებულ უნდა იქნეს შეზღუდვა $x(T)$ მნიშვნელობაზე. სხვაგვარადა $u(t) \equiv 0$ და ამოცანა კარგავს ეკონომიკურ აზრს.

ამოცანის ამოხსნა მდგომარეობს $\{x(t), u(t)\}$ პროცესების სიმრავლიდან ისეთი $\{x^*(t), u^*(t)\}$ პროცესის განსაზღვარში, რომელიც მოცემული შეზღუდვების პირობებში უზრუნველყოფს მიზნობრივ ფუნქციონალის ექსტრემუმს (ჩვენს შემთხვევაში მინიმუმს).

და ბოლოს, ამ ამოცანის ამოხსნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ბელმანის „ოპტიმალობის პრინციპზე“ აგებული დინამიკური პროგრამირების ცნობილი მეთოდი.

ABOUT ONE ECONOMICAL TARK OF OPTIMAL MENIGEMENT

VAJA MATURELI
 TSU profesor
NINO MATURELI
 TSU magistr

In the given work the questions connected with building up constructions of optimal menigement and adequate mathematical model of optimal menigements and elocation of capital investment an this field for the given perio are given.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია



ახალი ეკონომისტი

სალიზინგო საქმიანობა არის სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სახე. ამასთან, თუ სამეწარმეო საქმიანობის სხვა სახეებში საქართველოში უკვე დიდი ხანია არსებობს საკმაოდ მაღალი კონკურენცია, ლიზინგის ბაზარი არის ერთადერთი, სადაც მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას.

ლიზინგი არის რაიმე ქონების, ძირითადად ტექნიკის, იჯარით გაცემა. ამასთან, იჯარისაგან განსხვავებით, იგი დამატებითი ელემენტებითაა დატვირთული. ერთ-ერთი ასეთი არის ქონების ლიზინგით გამცემის ფიგურა. როგორც წესი, იგი არის სალიზინგო კომპანია, ანუ ლიზინგამცემი, რომელიც კლიენტის ანუ ლიზინგმიმღების დაკვეთით თავისი სახსრებით და თავის საკუთრებაში ყიდულობს კლიენტისთვის საჭირო საშუალებებს – მანქანებს, მოწყობილობას და ა.შ. და ფასიან სარგებლობაში გადასცემს ამ უკანასკნელს გარკვეული ვადით, მისი საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ან ვალ-დებულებით.

საზღვარგარეთ ლიზინგი მეტად განვითარებულია. ამჟამად მსოფლიოში სალიზინგო ოპერაციების ძირითადი მასა კონცენტრირებულია აშშ-ში, დასავლეთ ევროპაში და იაპონიაში. 1989 წელს აშშ-ში განხორციელდა 115 მლრდ. დოლარის სალიზინგო ოპერაცია, იაპონიაში 1990 წელს მან შეადგინა 64 მლრდ. დოლარი. ლიზინგური დაბანდებების წილი მთელ ინვესტიციებში შეადგენდა საფრანგეთში 20%-ს, აშშ-ში 32%-ს, გერმანიაში – 18%-ს, ავსტრიაში – 11%-ს (1, გვ. 10).

განვითარდა იგი აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც. მაგალითად, 1998 წელს მანქანა-მოწყობილობის ლიზინგურმა ბრუნვამ შეადგინა ჩეხეთში 305, ესტონეთში – 53, უნგრეთში – 101, პოლონეთში – 453 მლნ. ევრო (2, გვ. 75). ასეთ დროს საქართველოში ლიზინგის წილი კაპიტალურ ინვესტიციებში მხოლოდ 0,5-0,7%-ია.

საზღვარგარეთ ლიზინგის განვითარებას რამდენადმე ხელი შეუწყო მისთვის სტატუსის მიცემა. ეს მოხდა ლიზინგის შესახებ კანონის მიღებით.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში კანონიც არის მიღებული „სალიზინგო საქმიანობის შესახებ“ და საკრედიტო რესურსიც, როგორც ლიზინგის ალტერნატივა, საკმაოდ ძვირია, რის გამოც მასზე ხელი არ მიუწვდებათ არა მხოლოდ მცირე და საშუალო სიდიდის ფირმებს, არამედ, ხშირ შემთხვევაში მსხვილ ფირმებსაც კი, ლიზინგი სათანადოდ მაინც არ არის განვითარებული. მართალია, საქართველოში 138 სალიზინგო ფირმა არის დარეგისტრირებული, მაგრამ ფაქტიურად მისი 10%-იც კი არ მუშაობს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ის გამოკვლევით საქართველოში 2004 წლის დასაწყისში ინტენსიურად მუშაობდა მხოლოდ ორი სალიზინგო კომპანია (3, გვ. 18).

სპეციალიზაციის მიხედვით საქართველოში 46 ფირმა ავტომობილების ლიზინგითაა დაკავებული, 6 – სასოფლო ტექნიკით, 50 – საყოფაცხოვრებო ტექნიკით, 5 – საოფისე ტექნიკით, 11 – ტრანსპორტით, 6 – სამშენებლო ტექნიკით.

ლიზინგური ფირმები სამართლებრივი ფორმების მიხედვით ასე ნაწილდება: სააქციო საზოგადოებები – 11%, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები – 23%, ინდივიდუალური ფირმები – 37%, შეხლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები – 27,6%, კომანდიტურ საზოგადოებებს და კოოპერატივებს – 0,7% თითოეულს.

საქართველოში არსებული ლიზინგური ფირმების უდიდესი ნაწილი (თითქმის 50%) ქ. თბილისშია დარეგისტრირებული და მათი საშუალო ადგილიც ქ. თბილისშია. ეს იმით აიხსნება, რომ სხვა ქალაქებთან შედარებით ქ. თბილისის ბიზნესაქტიურობით გამოირჩევა. ფირმების 19% (26 ფირმა) კახეთშია



ღარეგისტრირებული, 10% (14 ფირმა) – იმერეთში, 6,5% (9 ფირმა) – ქვემო ქართლში, 6% (8 ფირმა) – შიდა ქართლში, 5% (6 ფირმა) – სამეგრელო-ზემო სვანეთში და ა.შ. სალიზინგო ფირმების ასეთ არათანაბარ განაწილებას საქართველოს ტერიტორიაზე ლიზინგურ მომსახურებაზე არათანაბარი მოთხოვნა იწვევს და ამაში არაფერია უცხო და საგანგაშო.

ერთი კი, რაც აუცილებლად ყურადსაღებია, ის არის, რომ გურიაში და სამცხე-ჯავახეთში, სადაც მხოლოდ თითო ლიზინგური ფირმაა გახსნილი, მეტი მუშაობაა საჭირო ადგილობრივ ბიზნესმენებთან, რათა ისინი გაერკვნენ ლიზინგის უპირატესობაში, მის ეკონომიკურ სარგებლობაში. არ იქნება ურიგო, თუ ამ სამუშაოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები შეასრულებენ, რადგან თუ ამ

რეგიონებში ლიზინგის ბაზარი გაფართოვდება, ეს დადებითად წაადგება მათი ეკონომიკის განვითარებას. უფრო მეტი მუშაობაა ჩასატარებელი რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო ქართლში, სადაც არცერთი ლიზინგური ფირმა არ არსებობს. მართალია, ეს რეგიონი ნაკლებ განვითარებულია და მისი წილი საქართველოს სამრეწველო პროდუქციაში მხოლოდ 0,3%-ია, მაგრამ ამ რეგიონის რესურსული პოტენციალი იძლევა მისი განვითარების შესაძლებლობას, რაც თანამედროვე იმპორტული ტექნიკა-ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე არ მოხერხდება. ეს კი ყველაზე მოხერხებულად და ამასთან ეფექტურად ლიზინგით მიიღწევა.

ასეთ დროს საქართველოში ლიზინგის ბაზრის მოცულობა მეტად მოკრძალებულია (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოში ლიზინგის ბაზრის საქონელბრუნვის სტრუქტურა სალიზინგო ქონების სახეების მიხედვით¹

სალიზინგოს ქონების სახეები	2000 წ.		2006 წ.		გადახრა 2000-2006 წლებში	
	მოცულობა (ათ.ლარი)	ხვედრითი წილი (%)	მოცულობა (ათ.ლარი)	ხვედრითი წილი (%)	მოცულობა (ათ.ლარი)	ხვედრითი წილი (%)
1. სამრეწველო აღჭურვილობა	241.7	6.8	360.7	3.8	+117.0	-3.0
2. მსუბუქი ავტომანქანები	2343.6	65.7	4265.1	45.4	+1921.6	-20.3
3. სატვირთო ავტომანქანები	303.2	8.5	2895.1	30.8	+2592.1	+22.3
4. წყლის ტრანსპორტის მოწყობილობა	483.5	13.5	-	-	-483.5	-13.5
5. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მანქანები	25.1	0.7	12.8	0.1	-12.3	-0.6
6. სამშენებლო მანქანები	-	-	1420.5	15.1	+1420.5	+15.1
7. ორგტექნიკა და კომპიუტერები	167.1	4.7	161.4	1.7	-5.7	-3.0
8. სხვა დანარჩენი	2.9	0.1	284.4	3.0	+281.5	+2.9
9. სულ ბრუნვა	3567.1	100.0	9400.0	100	+5832.9	-

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, ქონების ლიზინგით გაცემის ბრუნვა საქართველოში 2000 წელს შეადგენდა მხოლოდ 3,6 მლნ. ლარს, 2006 წელს კი 9,4 მლნ. ლარს, მართალია იგი თითქმის 3-ჯერ გაზრდილია, მაგრამ ის არის მხოლოდ 9,4

მლნ. ლარი და არა 53 მლნ ევრო, როგორც ესტონეთში, 453 მლნ. ევრო, როგორც პოლონეთში, 2844 მლნ. ევრო, გერმანიაში, 6421 მლნ. ევრო იტალიაში, 8695 მლნ. ევრო დიდ ბრიტანეთში და ა.შ. და ეს ხდება ისეთ ქვეყნებში, სადაც

¹ ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციის საფუძველზე.

სახალი ეკონომისტი

მეწარმეებს ამ ქონების შექმნა ბანკის კრედიტითაც კი ჩვენთან შედარებით 10-ჯერ უკეთესი პირობებით შეუძლიათ (იქ ბანკის კრედიტის წლიური სარგებელი 4-8%-ის ფარგლებში მერყეობს, საქართველოში კი იგი ამჟამად 36-45%-ის ფარგლებში წელიწადში).

იგივე ცხრილი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ლიზინგურ ბრუნვაში 2006 წელს პირველ-მეორე ადგილებს მსუბუქი ავტომობილები და სატვირთო და სამგზავრო ავტომანქანები იკავებენ. პირველს უკავია 45,5%, მეორეს 30,8%. მესამე ადგილზეა სამშენებლო მანქანა - მოწყობილობა 15,1%-იანი წილით. შემცირებულია სამრეწველო აღჭურვილობის, ორგტექნიკის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ლიზინგის წილი.

ამ მდგომარეობაში ჩვენ განსაკუთრებით საგანგაშოდ მიგვაჩნია სასოფ-ლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების ლიზინგის, ისედაც მცირე წილის, კიდევ უფრო შემცირება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია ქვეყანაში, რომლის მიწების 60-70% არ მუშავდება, სწორედ ტექნიკის არქონის გამო, ლი-ზინ-გის ბაზარზე ეს ტექნიკა მხოლოდ 12,8 ათასი ლარით იყოს წარმოდგენილი. გასაკებია ისიც, რომ თუ შემკვეთები არ ყავთ, ლიზინგური კომპანიები ვერ გაზრდიან ამ ბრუნვას, შემკვეთები კი იმიტომ არ ყავთ, რომ გლეხებს არა აქვთ სასოფლო ტექნიკის, თუნდაც ლიზინგის წესით ყიდვის საშუალება. მით უფრო, რომ საქართველოს სალიზინგო კომპანიები წინასწარ ავანსის სახით მათგან ითხოვენ ტექნიკის ღირებულების 10-15%-ს.

ამ მიზეზით საქართველოში მოცდენილია ათასობით ჰექტარი მიწა. გლეხები მოდიან ქ. თბილისში და ყიდვა-გაყიდვით ირჩენენ თავს. არადა, ჩვენ ისტორიულად მიწათმოქმედი ხალხი ვართ, უნიკალური სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეყანა ვართ და შეგვიძლია ძირძველი ქართული ჯიშების და ამასთან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოყვანა და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ამ საქმეში ისევ სახელმწიფო უნდა თქვას თავისი სიტყვა. მან მართვის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით სოფლის თემებში უნდა გახსნას სა-სოფ-ლო ტექნიკის ლიზინგური ფირმები (საბჭოთა "მტს"-ის მსგავსი) და საჭირო დროს და საჭირო ადგილზე მოემსახუროს

გლეხებს, თავიდან უფასოდ, შემდეგ კი შეღავათიან ფასად. ამით იგი კონკურენციას გაუწევს კერძო ლიზინგურ კომპანიებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ფიქრობენ. მხოლოდ მათი სალიზინგო ხელშეკრულების პირობებიდანაც, მაგალითად, კომპანია "თიბისი-ლიზინგი" კლიენტიდან წინასწარ ითხოვს 30%-იან თანამონაწილეობას, იჯარის საფასურად ახდევინებს 7-12%-ს, კლიენტიდან მოითხოვს რენტაბელურ ბიზნესს, იმპორტულ ტექნიკაზე არ აფორმებს 25 000 აშშ დოლარზე ნაკლები ღირებულების ხელშეკრულებას და ა.შ. ჩვენი აზრით, ეს მოთხოვნები კაბალურია. ასეთ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ მხოლოდ განვითარებული ქვეყნების მეწარმეები ჩვენნაირი ქვეყნის მეწარმეები, რომელთაც ესლა ისწავლეს (ან სწავლობენ) საბაზრო ეკონომიკის ანი და ბანი, და, რომელთა უმრავლესობას "სულს იქით" არაფერი გააჩნიათ მეწარმული უნარის გარდა, განა შეიძლება ასეთი მოთხოვნები წავუყვნოთ?

გარდა იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, მისმა ადგილობრივმა მმართველობის ორგანოებმა, თვითონ უნდა გახსნან ლიზინგური ფირმები, რომლებიც სწორედ მომსახურებაში ფასობრივი შეღავათებით კონკურენციას გაუწევენ კერძო სალიზინგო კომპანიებს, მან აგრეთვე საკანონმდებლო დონეზე უნდა დაარეგულიროს ამ სფეროში მათი თვითნებური საქმიანობა, ისე როგორც ეს უცხოეთშია. კერძოდ, ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, უნდა გააუქმოს ლიზინგში კლიენტების თანამონაწილეობის დონე, დაიწყოს ბიუჯეტიდან სალიზინგო პროექტების დაფინანსება, უნდა დაწესდეს სალიზინგო გადასახდელის (იჯარის ქირა ზედა და ქვედაც) ზღვარი, რომელიც დაიცავს კლიენტს არარეალური სალიზინგო გადასახდელის გადახდისაგან და ა.შ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთოდ ბაზარს, მათ შორის ლიზინგის ბაზარს ფორმირების საწყის ეტაპზე, რომელზეც ამჟამად საქართველო იმყოფება, აქტიური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, სახელმწიფოს ჩარევა სჭირდება, სხვაგვარად იგი ვერ განვითარდება. მართლაც, ის ფაქტი, რომ საქართველოში 138 ლიზინგური ფირმაა დარეგისტრირებული და მათგან მხოლოდ 10% მუშაობს (უფრო ინტენსიურად კი ორი - "თიბისი ლიზინგი" და საქართველოს სალიზინგო კომპანია) ჩვენი მოსაზრების სისწორეს ასაბუთებს.



ლიზინგის ბაზრის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო სალიზინგო პროგრამის შემუშავებითაც, როგორც ეს თითქმის ყველა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაშია, რომელსაც ექნება მიზნობრივი დაფინანსება, შესრულების ვადები და გაპროექტებული შემსრულებლები. იგი უნდა ჩაერთოს ბიზნესის განვითარების პროგრამაში. დასაბუთებულია, რომ საქართველოში, არც ერთია შემუშავებული და არც მორე.

ჩვენაირ ქვეყანაში, ბიზნესი, მთ უფრო მცირე და საშუალო ბიზნესი, ვერ განვითარდება ლიზინგის განვითარების გარეშე, ბიზნესის განვითარების გარეშე კი ვერ განვითარდება თვითონ ქვეყანა. ეს არის პირველ რიგში გასაცნობიერებელი და გასათვალისწინებელი. საკუთრივ საქართველოს ქვეყნის ბიუჯეტს ამის ფინანსური შესაძლებლობა შეიძლება არა აქვს, მაგრამ ქვეყანაში შემოდის იმდენი გრანტი და კრედიტი, რამდენიც ერთად არ შესულა სინგაპურში, ჰონკონგში და კორეიაში, რომელთაც ეს თანხები სწორედ ამ მიზნისთვის გამოიყენეს და ამ გზით ააყვავეს თავისი ქვეყნები. ამ ქვეყნების საწარმოთა

80%-ი იმ წლებში მხოლოდ ლიზინგით აღებულ ტექნიკას იყენებდა. ამ ქვეყნების გამოცდილება გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენთვის.

ქვეყანაში ლიზინგზე მოთხოვნის განაპირობებს მისი ტექნიკური დონე. ამ მაჩვენებლით საქართველო 30 წლით ჩამორჩება საერთო ევროპულ დონეს. ამასთან, რაც გვაქვს, ისიც საშუალოდ 70-72%-ით გაცვეთილია. ასეთ პირობებში, როგორ შეიძლება ქვეყანას არ აღვუვებდეს საკუთარი წარმოების ტექნიკური მდგომარეობა და არ ფიქრობდეს მის განახლებაზე, ისეთი იაფი გზით, როგორც ლიზინგია.

სწორედ ამორტიზებული ტექნიკის სავარაუდო მოცულობიდან (2025,8 მლნ ლარის) გამომდინარე, ჩვენ დავადგინეთ, რომ საქართველოში ლიზინგური ბაზრის მოცულობა უნდა იყოს არა 9,4 მლნ ლარი, არამედ 2025,8 მლნ. (ანუ თითქმის 2 მლრდ) ლარი. მათ შორის სხვაობა (2025,8 - 9,4 = 2016,4 მლნ ლარი) არის ის რეზერვი, რომელიც თუ სათანადო პირობები შეიქმნება ქვეყანაში, შეუძლია აითვისოს საქართველოს ლიზინგის ბაზარმა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ლიზინგი ყაზახეთში: მდგომარეობა, პრობლემები, ჟურნალი 'ლიზინგი', №2, 2004.
2. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), თბ., მარტი, 2004.
3. Комаров В. Инвестиции и лизинг в СНГ, М., «Финансы и статистика», 2001,

PROSPECT OF LEASING MARKET DEVELOPMENT IN GEORGIA

KHATUNA BERISHVILI
Academic Doctor of Economics

The present paper - "Prospects of Leasing market development in Georgia" - discusses the current situation in development of leasing in Georgia, determines the volume of leasing market, level of demand-supply, unsatisfied demand and the reserve for its covering.

It was determined through the analysis that by development of leasing market Georgia lags behind not only developed countries, but also the countries with transitional economy, which are in the same condition. The reasons causing this situation are also named - imperfect legislative base, low level of state regulation, self-willed activities of the private leasing companies, etc.

The present paper has calculated expected demand of the leasing market in the future and has listed the arrangements, by making of which the leasing companies will be able to cover it.



თსუ ეკონომიკური პოლიტიკის მაგისტრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის
წამყვანი სპეციალისტი

ახალი ეკონომისტი

თანამედროვე ეპოქა ხასიათდება მაკროეკონომიკური „ანომალიების“ მოდიფიცირებულად წარმოჩენით, რომელთა გადაწყვეტა ძალუძს ეკონომიკური პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკურ მოვლენებზე და მის ჩარჩო-პირობებზე. სანამ, ეს უკანასკნელი რაიმე ქმედებას დაიწყებდნენ ეკონომიკურ სისტემასა ან მის რომელიმე სეგმენტში (კვლილების შეტანის მიზნით, მანამ უნდა განხორციელდეს ალტერნატიულ მიზან-საშუალებათა ანალიზი, რათა ცალკეული მიზნები ერთმანეთთან თანაკეთაში მოხვდნენ დროში. ამის შემდგომ კი სხვაობის გაზომვა მიზანსა და მის რეალურ აღსრულებას შორის მოხდება შედგენილი ეკონომიკურ-პოლიტიკური პროგრამის რეალიზების შემდეგ. რა თქმა უნდა მიზნისაკენ მიმავალი გზა არ იქნება სწორხაზოვანი, მაგრამ ტაქტიკური გადახვევების მაგისტრალურ ხაზზე დაბრუნება დროულად უნდა მოხდეს. მიზნიდან გადახრის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს არასწორი განვითარების მიზეზები (გადახრების ანალიზი). სწორედ, ამ ეტაპების მორგება ქვეყნის ეკონომიკურ კონიუნქტურასთან ასრულებს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის კომპასის როლს.

დღესდღეობით საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუნქტურა სახარბიელო ნამდვილად არაა, თან მსოფლიოში გაბატონებული საფინანსო კრიზისი სიძნელეებს ქმნის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სფეროში, რომელიც სწორად გამოყენების შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ეკონომიკის ზრდა-განვითარებაში.

თუ, ჩვენ გვინდა ნამდვილად მივაღწიოთ ეკონომიკურ ზრდას, მაშინ ის ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რომლებიც დღეს უზრუნველყოფს

განვითარებული ქვეყნების სამეურნეო განვითარებას უპირველეს ყოვლისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთავრობისადმი სა-ზოგადოების ნდობას (ასეთი ფონის შექმნას ქვეყანაში). პოლიტიკური სტაბილურობა ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა. ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა ქვეყანაში და მისგან გამოწვეული ხვალისდელი დღისადმი რწმენის უქონლობა ასუსტებს სტიმულებსა და მოტივაციას გრძელვადიანი პერსპექტივისათვის გათვალისწინებული კაპიტალის ინვესტირებისთვის წარმოებაში. შემდგომ კი, ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს გააზრებულად და არა სპონტანურად. ეს კი მოითხოვს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის არსებობას (რომელიც დღემდე არ არსებობს). მასში უნდა გამოიკვეთოს ის პრიორიტეტები, პრინციპები, რომლის რეალიზება გარდაუვალად დაგვაყენებს ეკონომიკური განვითარების წინაშე. სახელმწიფო ინვესტიციები, სახელმწიფო დაკვეთები, კერძო და სახელმწიფო სექტორის პროდუქციის სახელმწიფო მოხმარება, საბანკო სესხებზე დაბალი სარგებლის განაკვეთის დაწესება, სასესხო კაპიტალის ბაზრის რეგულირება, მოქალაქეთა შემოსავლების მინიმალური დონის გარანტირება, ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო პროგნოზირება და პროგრამირება - აი, ის ბერკეტები, რომელთა მეშვეობით გონიერი ხელისუფლება ზემოქმედებს მეურნეობაზე გამოჰყავს ეკონომიკა კრიზისიდან.

საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა უნდა აიგოს არა მხოლოდ ფინანსურ კრიტერიუმებზე, არამედ მათ განხილვაზე დაყრდნობით, წარმოებისა და დასაქმების ზრდის მაჩვენებლებთან კავშირში. მოთხოვნის გადიდებას და საინვესტიციო საქმიანობის მკვეთრ ამღვლელებს, შედეგად მოჰყვება

მყარი ეკონომიკური ზრდის ტემპები და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ინვესტიციის ზრდა ძირითად კაპიტალში (რაც, უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს), ადამიანისულ კაპიტალში (მეცნიერება, განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა) ეკონომიკური ზრდის საკმარისი პირობებია. საწინააღმდეგოს მტკიცება ნიშნავს, სასწაულის გწამდეს. სწორედ ეს ცვლადები ავლენენ მაღალ კორელაციურ დამოკიდებულებას მშპ-თან. ამის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ საწარმოო ფუნქცია საქართველოს

მაგალითზე (მოდელის პარამეტრების გამოკვლევისა და სისტემის ამოხსნის მიზნით გამოყენებულ იქნა ეკონომეტრიკული პროგრამა EViews 5.1).

ფუნქციას აქვს შემდეგი ფუნქციაში ჩამატებულია M ცვლადი, სადაც Y- ნომინალური მშპ; L-დასაქმებულთა რაოდენობა; K-ინვესტიციები ძირითად კაპიტალში; M-ადამიანისული კაპიტალი (დანახარჯები ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, სოც.უზრუნველყოფაზე და სპორტზე), α, β, λ - პარამეტრებია.

ჯერ, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მოხსნილია შეზღუდვა მუდმივ ეფექტიანობაზე, ე.ი. როცა $\alpha + \beta + \lambda \neq 1$

დამოუკიდებელი ცვლადი: Y				
უმცირეს კვადრატთა მეთოდი				
დაკვირვებათა რაოდენობა: 12				
ცვლადები	კოეფიციენტი	სტანდ.ცდომილება	t-სტატისტიკა	ალბათობა
C	3.626155	0.682998	5.309170	0.0007
LOG(K)	0.321511	0.140560	2.287366	0.0515
LOG(L)	0.354181	0.787050	0.450011	0.6646
LOG(M)	0.419825	0.117048	3.586791	0.0071
R-კვადრატი	0.984043	საშუალო დამ. var		8.9299
შესწორებული R-კვადრატი	0.978060	სტანდ.გად.დამ var		0.4581
რეგრესიის სტანდ. ცდომილება	0.067857	აკაიკე ინფორმაციული		-2.2816
ნაშთების კვადრატთა ჯამი	0.036837	შვარცის კრიტერიუმი		-2.1199
ლოგარითმული დასაჯერობა	17.68977	F-სტატისტიკა		164.45
დარბინ-უოტსონის სტატისტიკა	1.670918	ალბათ.(F-სტატისტიკა)		0.0000

$LOG(Y/L) = 3.69657424 + 0.31425966*LOG(K/L) + 0.4261143115*LOG(M/L)$

ორივე რეგრესიაში საწყისი ცვლადები დიდი ალბათობით ხსნის საბო-ლოო ცვლადს – მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ).

მუდმივ ეფექტიანობაზე შეზღუდვის მოხსნის შემთხვევაში მოდელიდან კარგად ჩანს, რომ $\alpha + \beta + \lambda > 1$, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში წარმოების მასშტაბების ზრდა იწვევს ეფექტიანობის ზრდას, ანუ ეკონომიკა იმყოფება გრძელვადიანი საშუალო მთლიანი დანახარჯის მრუდის კლებად ნაწილზე. თუ 1.0 %-ით გავზრდით ინვესტიციებს ძირითად კაპიტალსა და ადამიანისულ კაპიტალში, შესაბამისად მშპ-ზე მათი გავლენა იქნება 0,32 და 0,42 პროცენტი. მოდელი შეზღუდვის შემთხვევაშიც აჩვენებს თითქმის იგივე, მაღალ

კორელაციურ დამოკიდებულებას აღნიშნულ ცვლადებს შორის.

ამჟამად, ის რომ საქართველოში შრომისნაყოფიერება დაბალია მოდელის ორივე შემთხვევა ადასტურებს.

ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც თან სდევს საქართველოს ეკონომიკას, არის ინფლაციის მაღალი დონე. მაგალითად, 2008 წლის პირველ კვარტალში 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამომხმარებლო ფასებმა 11,3 %, ხოლო მეორე კვარტალში კი – 11,6 % შეადგინა; რეალურმა ფულის მასამ პირველ კვარტალში M2/CPI-თან 44.1% და M3/CPI-თან 34.9% შეადგინა. დაკვირვებისათვის, ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ანალოგიური კვარტალური მონაცემების სტატისტიკა 2006 წლიდან...

ახალი პერიოდისტი

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან

	CPI (სამომხმარებლო ფასების ინდექსი)	RGDP რეალური მშპ (ფულის მასა)	M2 (ფულის მასა)	M3 (ფულის მასა)	M2/CPI (რეალური ფულის მასა)	M3/CPI (რეალური ფულის მასა)
2006:I	5.0	9.2	32.7	34.4	26.4	28.0
2006:II	9.1	7.1	36.9	37.9	25.5	26.3
2006:III	13.1	10.0	31.7	35.6	16.5	19.9
2006:IV	9.6	11.1	24.0	34.1	13.1	22.3
2007:I	10.4	11.4	24.6	35.3	12.8	22.6
2007:II	7.6	13.4	30.9	37.4	21.7	27.7
2007:III	7.8	13.2	47.6	50.7	37.0	39.9
2007:IV	11.3	11.7	60.7	53.5	44.4	37.9
2008:I	11.3	9.3	60.4	50.2	44.1	34.9



ცხრილიდან ჩანს, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსის მანევრებელმა ორნიშნა ნიშნულს მიაღწია 2007 წლის ბოლო კვარტალში. 2006 წლის შესაბამის კვარტალთან მიმართებით. რა თქმა უნდა, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი მაღალია და შეიძლება ამან მოახდინოს კიდევ ინფლაციის წაქეზება, მაგრამ მას ზღუდე ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უნდა შეუქმნას.

ზედაპირულად არ შეიძლება გაკეთდეს.

ამ თვალსაზრისით, ინფლაციის გამომწვევი მიზეზები შეევისწავლეთ მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების კუთხიდან.

რათა ჩატარდეს გამოკვლევა მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მოდელის გამოყენებით სამომხმარებლო ფასების ინდექსზე, საჭიროა რეგრესული განტოლება ორსაფეხურიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდით. ინსტრუმენტებად, ერთობლივი მოთხოვნის შემთხვევაში გამოყენებული იქნება სავალუტო კურსი (USD_GEL) და სარგებლის განაკვეთი (RL), ხოლო ერთობლივი მიწოდებისას – ფულის მასა (M3) და საპროცენტო განაკვეთი. რეგრესიებს აქვთ შემდეგი სახე:

ზემოთ მოყვანილ ცხრილზე ერთი შეხედვით დაკვირვება, ბაღებს შემდეგ კითხვებს: 9.3%-იან რეალურ ზრდას სჭირდებოდა კი 44.1%-იანი რეალური ფულის მასის (M2/CPI) ზრდა? ფულის რეალური მიწოდება (M²) ხომ არ აჭარბებდა ფულზე რეალურ მოთხოვნას (M^d) და ნამეტი ინფლაციაში ხომ არ გადავიდა? – პასუხი

ერთობლივი მოთხოვნა

საბოლოო ცვლადი: LOG(CPI_SA)				
ორსაფეხურიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდით				
დაკვირვება: 1996q1 2007q4				
დაკვირვებათა რაოდენობა: 48				
გამოყენებული ინსტრუმენტი: LOG(USD_GEL) RL				
საწყისი ცვლადები	კოეფიციენტი	სტანდ. ცდომილება	t-სტატისტიკა	ნულოვანი ალბათობა
C	7.8870	2.4543	3.2136	0.0024
LOG(RGDP_SA)	-1.6888	0.4450	-3.7951	0.0004
LOG(M3)	0.7035	0.1131	6.2212	0.0000
R-კვადრატი	0.9298	საშუალო დამ. var		0.4159
შესწორებული R-კვადრატი	0.9267	სტანდ. გად. დამ var		0.2315
რეგრესიის სტანდ. ცდომილება	0.0627	F-სტატისტიკა		239.03
ნაშთების კვადრატთა ჯამი	0.1769	ალბათ.(F-სტატისტიკა)		0.0000
დარბინ-უოტსონის სტატისტიკა	1.2456			

$$\text{LOG(CPI_SA)} = 7.887001827 - 1.688796433 * \text{LOG(RGDP_SA)} + 0.703507105 * \text{LOG(M3)}$$

ახალი ეკონომისტი



საბოლოო ცვლადი: LOG(CPI_SA)				
ორსაფეხურიანი უმცირეს კვარატთა მეთოდ				
დაკვირვება: 1996q1 2007q4				
დაკვირვებათა რაოდენობა: 48				
გამოყენებული ინსტრუმენტი: LOG(M3) RL				
საწყისი ცვლადები	კოეფიციენტი	სტანდ.ცდომილება	t-სტატისტიკა	ნულოვანი ალბათობა
C	-6.3855	0.1618	-39.4721	0.0000
LOG(RGDP_SA)	0.9203	0.0234	39.3895	0.0000
LOG(USD_GEL)	-0.3309	0.0313	-10.5792	0.0000
R-კვარატი	0.9813	საშუალო დამ. var		0.4159
შესწორებული R-კვარატი	0.9805	სტანდ.გად.დამ var		0.2315
რეგრესიის სტანდ. ცდომილება	0.0323	F-სტატისტიკა		1180.9
ნაშთების კვარატთა ჯამი	0.0471	ალბათ.(F-სტატისტიკა)		0.0000
დარბინ-უოტსონის სტატისტიკა	1.5018			

$$\text{LOG(CPI_SA)} = -6.385516515 + 0.9203403813 * \text{LOG(RGDP_SA)} - 0.330917578 * \text{LOG(USD_GEL)}$$

ორივე რეგრესია - ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების კუთხით შესწავლილი - არის ნორმალური, ანუ შესაძლებელია მათზე დაყრდნობით გააკეთდეს მნიშვნელოვანი დასკვნები.

რაც შეეხება მიღებულ შედეგებს, ერთობლივი მოთხოვნის შემთხვევაში კორელაციური კავშირი საბოლოო ცვლადსა და საწყის ცვლადებს შორის, შემდგენიარად გამოიყურება: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (RGDP) 1,0%-ით ზრდა/კლება განაპირობებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) 1,7%-ით კლებას/ზრდას, ხოლო ფულის მასის (M3) 1,0%-ით ზრდა/კლება - CPI-ის 0,7%-

ით ზრდას/კლებას. ერთობლივი მიწოდებისას კი - რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (RGDP) 1,0%-ით ზრდა/კლება იწვევს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) 0,9%-ით ზრდა/კლებას, ხოლო საცვლელი კურსის დოლარი/ლარი (USD_GEL) 1,0%-ით ზრდა/კლება კი - CPI-ის 0,3%-ით კლებას/ზრდას.


მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების კუთხით შესწავლილი რეგრესიების გაერთიანება საშუალებას იძლევა მთლიანობაში გამოვლინდეს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე მოცემული საწყისი ფაქტორების ზემოქმედება. ზემოთ მიღებული ორივე რეგრესიის გაერთიანებით მიიღება:

$$\text{LOG(CPI_SA)} = 0.750742656 - 0.384228026 * \text{LOG(RGDP_SA)} + 0.351753553 * \text{LOG(M3)} - 0.165458789 * \text{LOG(USD_GEL)}$$

საბოლოოდ, ამ ბოლო რეგრესიით მიღებული შედეგი აჩვენებს, რომ 12,4 პროცენტოანი ეკონომიკური ზრდა, ამასთან, როცა ადგილი ჰქონდა ვალუტის კურსის დაახლოებით 7%-იან (საშუალო წლიური 2007-2006 წწ.) გამყარებას, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის მოითხოვდა დაახლოებით 35%-მდე ფულის მასის ზრდას (ზედა ჭერი). ამიტომ, ფულის ის რაოდენობა, რაც წლიური ზრდის 35%-იან დონეს გადააჭარბა, უცილობლად ნამეტი გადავიდა ინფლაციაში.

უმრავლესი თანამედროვე წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის ისტორიას, რომ გადავხედოთ, ვერსად ვიპოვით მათი ეკონომიკური აღმავლობის დასაწყისში ისეთ სიტუაციას, ერთდრულად ჰქონდეთ ბიუჯეტი და მიმდინარე ანგარიში დაბალანსებული, დაბალი ინფლაცია, მყარი ვალუტის კურსი და ა.შ. (შეხამების რეალური კომბინაციები). და, თუ ნებისმიერი ხელისუფალნი, სათავეში მოსვლისთანავე ასეთი ეკონომიკური კონიუნქტურის შექმნას მოისურვებს (მოკლევადიან პერიოდში, თუმცა ისიც აშკარაა,

ახალი ეკონომიკა



რომ ყველაფრის კარმონიაში მოყვანა გრძელვადიან პერსპექტივაშიც შეუძლებელია), თვითონვე გაეხვევიან ლაბირინთში სამოქმედო გეგმის მიუღებლობისაგან. მოკლევადიან პერიოდში სასურველი ეკონომიკური ფონის არარსებობა (ზემოთ ჩამოთვლილი მჩვენებლების დაუბალანსებლობა) არ იქნება საგანგაშო, თუ მათი გამოძწვევი მიზეზების, როგორცაა ფულის ჭარბი მიწოდება, მაღალი ფინანსური შემოდინებები (რომელიც, სპეციფიკურ ქვეყნებში „კოლანდიურ ავამდყოფობას“ მოასწავებს) და სხვა - დასაქონლიანება მოხდება ეფექტიანად (კონკურენტუნარიანი სამრეწველო პროდუქციის ზრდა). ასეთი ქმედებით, შეიძლება ეს მიზეზები გახდეს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი არასაკმარისი საფუძველი.

განვითარებულ ქვეყნებში 70-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო ეკონომიკური ზრდის ინოვაციურ ტიპზე გადასვლა, ხოლო „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში“ - 80-იან წლებსა და 90-იანი წლების დასაწყისში. გამოდინარე აქედან, უკვე დროა შეიცვალოს საქართველოშიც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პარადიგმები და მოხდეს გადასვლა ეკონომიკური ზრდის ზემოთ დასახელებულ ტიპზე.

ინოვაციური ეკონომიკური ზრდა ეყრდნობა სამეწარმეო ინიციატივის განვითარებას სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ საქმიანობაში. ამჟამად, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკიდან, შეიძლება ითქვას, ამოვარდნილია სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესების მართვა. არსებული ვითარება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. შესაბამისად, ინოვაციურმა პროცესებმა უნდა განსახდროს ქვეყნის მომავალი. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს მიერ ამ სფეროში მიზნობრივი პროგრამების შედგენა, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესების მართვა, და ა.შ. საქართველომ ორიენტაცია უნდა აიღოს ინოვაციების ქსელის შექმნაზე, რომელიც წარმოქმნის ინოვაციური იდეებისა (ტალანტისა და ნიჭიერების) და კაპიტალის ღია ბაზრებს.

აი, აქეთკენ უნდა იყოს ორიენტირებული საქართველო და მაშინ, ნამდვილად აღარ შერჩებათ ისეთი გაცნობიერებული (თეორიულად) - გაუცნობიერებელი (პრაქტიკულად) მოსაზრებები საქართველოს მეურნეობის აღორძინებისადმი პროტექციონისტული

პოლიტიკის მომხრეებთ (პროტექციონისტული პოლიტიკის რეალიზების შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ, როდესაც WTO-ში გავსწავინდით და მოგვეცა ოთხწლიანი პერიოდი მეურნეობის აღორძინებისათვის, ახლა კი გვიანაა!).

უკვე აღარ არის ექსპერიმენტების დრო, საქართველომ უნდა აირჩიოს ეკონომიკური განვითარების სწორი გზა. უნდა შეიქმნას „ღირებული“ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, ისეთი, რომლის რეალიზაციამ რეა-ლურად უნდა შექმნას მოსახლეობის კეთილდღეობის თანდათანობით ამადლე-ბა, წარმოების ეფექტიანობის ზრდა, კონკურენტუნარიანობისა და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება.

სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა უნდა მოაწესრიგოს საბაზრო, სოციალური და ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურა, რაც ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოსა და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის გარანტია. ინფრასტრუქტურის ნორმალიზაცია შემდგომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) არა ნაკლებობას, არამედ პირიქით „შეკავების საშიშროებას“ შექმნის.

დაბოლოს, დასასრულს, საქართველომ გრძელვადიანი რეალური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი დეტერმინანტის - გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, უნდა გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ხელეწიფება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- სტაბილური საფინანსო სიტუაციის შექმნა. ეს ურთულესი მაკროეკონომიკური პრობლემაა, რაც გულისხმობს დეფიციტის მინიმუმამდე შემცირებას, მოქნილ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ურთიერთობების გაუმჯობესებას მეწარმე სუბიექტებს შორის და გაცვლითი კურსის შეფარდებით სტაბილიზაციას;
- ეკონომიკის ლიბერალიზაციის და რესტრუქტურისაციის განხორციელება, რასაც უნდა მოჰყვეს ბაზრის, მათ შორის შრომის ბაზრის გამჭირვალებობა. გამჭირვალე უნდა იყოს აგრეთვე მაკროეკონომიკური ღონისძიებები, სტატისტიკა, საბანკო სისტემა და სამეწარმეო კანონმდებლობა;
- მოგების თავისუფალი რეპატრიაციის შესაძლებლობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება

ახალი ეკონომისტი



მყარი საინვესტიციო კანონმდებლობის შექმნას. მან უნდა უზრუნველყოს ერთიანი სამოქმედო პირობები უცხოური და ადგილობრივი ინვესტორებისათვის. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ბიუროკრატიული პროცედურები ინვესტიციების განსახორციელებლად.

სრულყოფას საჭიროებს უცხოური კრედიტების მიღებისა და განაწილების წესი. უნდა განისაზღვროს ორგანოები და უწყებნები რომლებიც ზუსტად გამოკვეთილი ფუნქციონირების პასუხისმგებელი იქნებიან მოცემულ სფეროზე საინვესტიციო პროექტების შემუშავებიდან მის განხორციელებამდე.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არ აქვს; თბ, 2005;
2. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში; თბ, 2004;
3. ჩიკვაიძე თამაზ, „ეკონომიკური სტრატეგიების ლოგისტიკა და პროგრა-მირება: ალტერნატიული პოლიტიკა გლობალიზაციის გამოწვევების საპა-სუხოდ“. შრომების კრებული, IV ტომი, 2002წ;
4. Canova, Fabio. „, Methods for Applied Macroeconomic Research 2007;
5. Elhanan Helpman. The Mystery of Economic Growth (Cambridge, MA: The Belknap Press of Harvard University Press, 2004;
6. Romer, David „,Advanced Macroeconomics“, third edition. 2006;
7. Peter Stella, „Central bank financial strength, policy constraints and inflation“, IMF, Washington, February 2008;

ECONOMIC CONJUNCTURE AND DEVELOPMENT PROSPECTS IN GEORGIA

LASHA KAVTARADZE

In this article are outlined reasons of undesirable political-economic conjuncture in Georgia. It draws an attention to the sufficient condition of the economic growth - investments - on the increase in physical and human capital, in which they have a high correlation influence on GDP. In the article are analyzed some defiant reasons of the inflation according to the short-term period aggregate demand-supply equilibrium theory. Finally, it is underlined to create a "worth" strategy plan of the economic development and existing problems in this field, which ones must be solved by State.

ახალი ეკონომისტი



ახალი ეკონომისტი

წარმოდგინეთ, რომ თქვენს წინაშე ეკონომიკა, რომელშიც არის ეკონომიკური ქაოსი და განვითარების დაბალი ტემპი. თქვენს მიზანს კი წარმოადგენს მოცემული ეკონომიკის სუპერ ეკონომიკად გადაქცევა და სწრაფი ტემპებით განვითარება.

სანამ უშუალოდ ავხსნიდეთ სუსტი ეკონომიკის სუპერ ეკონომიკად გადაქცევის სისტემას, გავერკვიოთ ეკონომიკური პოლიტიკის არსში.

მაგალითად: ვთქვათ, გვაქვს ავტომობილი, რომელიც სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგება. ესენია: ძრავა, საბურავები და სხვა. თუ ცალკე ავიღებთ საბურავს, ან ძრავას მივხვდებით რომ მათ აქვთ გარკვეული ფუნქცია, თუმცა მათი არსი ავტომობილის არსზე ნაკლებია. ე.ი. ცალკე აღებული ძრავა, საბურავები, მექანიკური მართვის კოლოფი და ა.შ. ავტომობილი არ არის. ავტომობილი სისტემაა და არა ცალკეული მექანიზმები.

შევვცადოთ, ეს მარტივი მაგალითი გამოვიყენოთ ეკონომიკური პოლიტიკის არსის ასახსნელად. ეკონომიკური პოლიტიკა შედგება მართვის სხვადასხვა ტიპებისგან, ისევე როგორც ავტომობილი სხვადასხვა მექანიზმებისაგან, ანუ წარმოადგენს ეკონომიკის მართვის ტიპების გარკვეული კანონზომიერებით გაერთიანებულ სისტემას.

აქედან ერთი მარტივი დასკვნა: სიპერ ეკონომიკა არ არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე, ანუ ეკონომიკის მართვის რგოლების(ტიპების) სისტემის გარეშე. ისევე როგორც სუპერ ავტომობილი არ არსებობს სხვადასხვა მექანიზმების სისტემის გარეშე. ცალკე

საბურავი, ცალკე საჭე, მარტვის კოლოფი და თუნდაც კრალსლერის ძრავა სუპერ ავტომობილი არ არის!

ჩვენმა ამოცანამ მოითხოვა ეკონომიკის მართვის არსებული ტიპების სისტემაში მოქცევა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რამეთუ ჩვენს მიერ დასახული მიზნის განხორციელებას შესაძლოა დასჭირდეს არსებული მართვის მექანიზმების ტრანსფორმაცია, ან სულაც ახლის შექმნა.


რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკონომიკა? რატომაუნდა, ეკონომიკის მართვა სხვადასხვა მექანიზმებით დღესაც ხორციელდება, მაგრამ არ არსებობს სისტემური მართვა და განვითარება. შესაბამისად საჭიროა მისი შექმნა, რაც რთული ამოცანაა, მაგრამ არა ამოუხსნელი.

მივყვეთ თანმიმდევრულად: როგორ შევქმნათ სსენებული სისტემა (რომელიც შემდგომში იძლევა სისტემური მართვის, ანუ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას)? პირველი მიზანი რაც გამოიკვეთა არის იდეა, რომელიც გვიჩვენებს მოცემული სისტემის შექმნას, ანუ იდეა, რომელიც გვეტყვის როგორ მოვაქციოთ მართვის სხვადასხვა ტიპები ერთ სისტემაში. სად ვიპოვოთ იდეა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოგვადგება ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე რეალისტური მიმართულება – ობიექტური იდეალიზმი. მისი განვითარება დაასრულა და სისტემის სახე მისცა გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა. ჰეგელი ამბობს: იდეა არსებობს ობიექტურად, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად, ანუ იდეა არ იქმნება, ის უკვე შექმნილია, ადამიანებს (სუბიექტებს) შეუძლიათ მათი მხოლოდ წვედომა (ანუ მიღება, ან არ მიღება).

სესაბამისად, ჰეგელს დავეყრდნობით (და ის ყველა დროის ერთ-ერთ უბრწყინვალეს გონებადაა აღიარებული), მაშინ იდეა, რომელიც

ცვენი ქვეყნის ეკონომიკის მართვის ტიპებს გააერთიანებს რაგაც კანონზომიერებით და სისტემის სახეს მისცემს უკვე არსებობს. არსებობს დროსა და სივრცეში. ე.ი. ცვენ მას ვერ შევქმნით, ის მხოლოდ უნდა მივიღოთ (ანუ შევიცნოთ). სტრატეგურას მოცემულობას ასეთი ფორმა აქვს:



მოცემული სქემა გვეუბნება, რომ სუბიექტი (ადამიანი) და ობიექტი (იდეა) არსებობენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. სუბიექტს, ან სუბიექტთა ჯგუფს აქვს იდეის წვდომის, ანუ შეცნობის უნარი. ჰეგელი იდეის წვდომის საშუალებად ასახელებს დიალექტიკას. დიალექტიკა – ეს არის საუბარი ორ ან მეტ ადამიანს შორის, ან საუბარი საკუთარ თავთან. მარტივი ლოგოკით ვხვდებით, რომ მოცემული სისტემის შექმნის უნარი ერთ ადამიანს არ აქვს (რამეთუ ჯერ იგი არ შექმნილა), ანუ საჭიროა ადამიანთა რაღაც რაოდენობა, რომელიც მოცემული მიზნის გარშემო გაერთიანდება. რამდენია ადამიანი ესაჭიროება სისტემის შექმნას?

ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ კრიტიკული რიცხვის თეორია უნდა განვიხილოთ. ვთქვათ, აქვარიუმში მოვათავსეთ ორი საპირისპირო სქესის თევზი. ისინი გაიზრდებიან, იარსებებენ, მაგრამ მათი ბიოლოგიური დრო ისე გაივლის, გამრავლება არც კი გაახსენდებათ. საკმარისია ამ აქვარიუმში ერთი ნებისმიერი სქესის თევზი დავამატოთ, რომ ხდება საპყრება: თევზები აქტიურდებიან და იწყება ერთმანეთს შორის ბრძოლა (გამრავლების ბიოლოგიური პროცესი). ანუ თევზებისთვის კრიტიკული რიცხვი არის

ორი, რაც იმას ნიშნავს რომ აქვარიუმში მინიმუმ ორი თევზი უნდა იყოს რათა ერთის დამატებით მივიღოთ პროგრესი. კრიტიკული რიცხვი კანონზომიერება ახასიათებთ ხეებსაც (მაგალიტის ტყეში დარგავთ ნაძვების კრიტიკულ რაოდენობაზე ნაკლებს, ისინი გაიზრდებიან და ბოლოს გახმებიან. თუ მათი რაოდენობა კრიტიკულ რიცხვს ერთით მაინც გადააჭარბებს - ხეები ტყედ გადაიქცევა.

კრიტიკული რიცხვის თეორია ადამიანებთან მიმართებაშიც მოქმედებს. ანუ ბუნებაში არის ადამიანთა გარკვეული რაოდენობა (გარკვეული წესით შერჩეული) რომელსაც შეუძლია ნებისმიერი იდეის წვდომა. შესაბამისად, თუ ჩვენ შევკრებთ ადამიანთა რაოდენობას, რომელიც თუნდაც ერთი ადამიანით გადააჭარბებს კრიტიკულ რიცხვს, მათ ექნებათ უნარი ამოხსნან ჩვენი ამოცანა (ეკონომიკის მართვის ტიპების ერთ სისტემაში მოქცევა). მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება ჩვენ ეკონომიკური პოლიტიკა და ტოტალური განვითარების, სუპერ ეკონომიკის შექმნის შესაძლებლობა.

დაუშვათ, რომ ჩვენს მიერ დასახელებული ადამიანთა რაოდენობა უკვე გვყავს. როგორ ხდება იდეის მიღება? ამ ადამიანთა მიერ დასახულ ამოცანაზე მუშაობა?

ამ კითხვას სანამ ვუპასუხებდეთ, მანამ განვიხილოთ ერთი ჩვეულებრივი მატრიცა, ანუ რაგაც წესით დალაგებული მათემატიკურ სიდიდეთა ცხრილი :

$$A = \begin{pmatrix} A_1, A_2, A_3, \dots, A_n \\ B_1, B_2, B_3, \dots, B_n \\ C_1, C_2, C_3, \dots, C_n \\ \dots \\ X_1, X_2, X_3, \dots, X_n \end{pmatrix}$$

ამ ცხრილში მათემატიკური სიდიდეები რაღაც წესითაა დალაგებული, ანუ ეს უკვე ამოხსნილი მატრიცაა, რომელსაც თავისი ალგორითმი უკვე გააჩნია.

მოდით ეხლა მოცემული მატრიცა ერთ მარტივ ეკონომიკურ მაგალითს შეუსაბამოთ: ვთქვათ, ჩვენ გვინდა საქართველოში ნავთობის მოპოვება. რა უნდა გავაკეთოთ პირველად?

ახალი მკვლევარები

რატქმაუნდა უნდა მოვიძიოთ არქეოლოგები, რომლებიც გვეტყვიან, თუ სად შეიძლება გათხრების წარმოება და სად არა, რათა არ დავაზიანოთ ისტორიული ძეგლები. ვთქვათ, მოვიწვიეთ

A1, A2, A3, ..., An არქეოლოგები.

უნდა მოვიწვიოთ სეისმოლოგები, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ნავთობის დაახლოებით ან ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ. ვთქვათ, მოვიწვიეთ B1, B2, B3, ..., Bn სეისმოლოგები.

მესამე ნაბიჯი არის ტექნიკა, რომელიც ნავთობის მოპოვებისთვის არის საჭირო. ვთქვათ, უნდა ვიყიდოთ C1, C2, C3, ..., Cn ტექნიკა (თუ კარგად დავაკვირდებით ამით დგება მატრიცა, კერძოდ C1, C2, C3, ..., Cn არის ჩვენი ზემოთხსენებული მატრიცის მესამე სტრიქონი).

და ბოლოს გვჭირდება სპონსორები. ვთქვათ მოვიძიოთ X1, X2, X3, ..., Xn სპონსორები.

ამით უკვე მივიღებთ ამოხსნილ მატრიცას (რატქმაუნდა მაგალითი უხეშადაა წარმოდგენილი და მასში ყველაფერი

გათვალისწინებული არაა), რამეთუ ვიცით რის შემდეგ რა უნდა გავაკეთოთ.

დაახლოებით ასეთი მატრიცა გვჭირდება ჩვენ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენ გვჭირდება მატრიცა, რომელიც გვეტყვის რის შემდეგ რა გავაკეთოთ, რათა შევქმნათ სუპერ ეკონომიკა. როდესაც ეს მატრიცა გვექნება ამოხსნილი სახით, უკვე გვექნება ეკონომიკური პოლიტიკაც და ტოტალური განვითარების შესაძლებლობაც.

ჩვენ დღეს გვაქვს დაახლოებით ასეთი სურათი : წარმოდგინეთ მატრიცა, რომლის ელემენტებიც A, B, C, ..., X არის მართვის კონკრეტული ტიპები. ეს ელემენტები ჩვენ გვაქვს, თუმცა არეული სახით. ისინი დალაგებული არ არიან. ადამიანთა კრიტიკული რაოდენობის მიზანიც მათი დალაგებაა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი პირობა სუპერ ეკონომიკის შესაქმნელად. შესაძლოა საჭირო გახდეს მთელი რიგი ელემენტების მოდერნიზაცია და შექმნა.

საქართველოს დღეს აქვს სუპერ ეკონომიკის შექმნის რესურსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. G. W. Hegel, A.W. Miller, The Philosophical Propaedeutic , Blackwell Pub, 1986
2. Чичканов В. “Какую модель мы выбираем?” “Экономика и жизнь”, №7, 1992 г.
3. Мочерный С. “К какой системе двигаться?” 1993г.
4. Корнаи Я. “Путь к свободной экономике”, М., “Экономика”, 1993 г.
5. Сумин О.Ю. Коварный Гегель. Метафизические исследования, СПб. 1998г.

ECONOMICAL POLITICS: TOTAL DEVELOPMENT SISTEM

MATE GARDAVA

We have to choices : We can choose a week economy, or create super economy. Living in week economy is not big job, economis like that has got many nations, but create super economy is not easy, it is nessary to unite georgian economy under one sistem. In this work we can see the way how to create super economy.

It is time for georgia to use all it's resources and it's main resource intellect. Georgia has this very important resource, but can not use it ... We must to unite some people under one idea, and we can achive one's object.

One men can not say us how create super georgian economy, it is imposible... we need group of people, which will get idea and we will know what to do for creating super economy.

ახალი ეკონომისტი



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
ESM ბიზნესის სკოლა



№ 01/01-40
10 აპრილი 2009 წ.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტი“-ს
მთავარ რედაქტორს
ბატონ ლოიდ ქარჩავას

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ვიყო ჟურნალ „ახალი ეკონომისტი“-ს სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან გიდასტურებთ, რომ ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ აღიარებული იქნება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ESM ბიზნესის სკოლის პროფესორ-მასწავლებლებისა და ყველა დონის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა), როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფუძველს გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

პატივისცემით,

სიმონ ქადაგიძე

რექტორი

ახალი ეკონომისტი



განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

ს.ს.ი.პ. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტი

MINISTRY
OF EDUCATION AND SCIENCE

P.L.L.E. TBILISI STATE UNIVERSITY OF
ECONOMIC RELATIONS

№ 01-37/484 03 10 2008წ.

თქვენს № _____
Yours

ჟურნალ "ახალი ეკონომისტის" მთავარ
რედაქტორს, პროფესორს

ლოიდ ქარჩავას


ახალი ეკონომისტი

ბატონო ლოიდ,

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალი და პირადად მე, გამოვთქვამთ მზადყოფნას აქტიური და
ნაყოფიერი პარტნიორული ურთიერთობები დავაყაროთ თქვენს ჟურნალთან.
ეს შეეხება, როგორც სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებასა და
რეკენზირებას, ასევე ჟურნალის სარედაქციო საბჭოში თანამშრომლობას.

პატივისცემით,
რექტორი, პროფესორი

ა. ჩუთლაშვილი



საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
Ministry of Education and Science of Georgia



სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL Ilia Chavchavadze State University

0162, თბილისი
ჭავჭავაძის ხეივანი, 3/5
ტელ: (995 32)
231 026, 294 197
ფაქსი: (995 32)
231 026, 220 009
ელ-ფოსტა:
uni@iliauni.edu.ge

№ 01-0320
6.02.09

ჟურნალ "ახალი ეკონომისტის" მთავარ რედაქტორს,
ბატონ ლოიდ ქარჩავას


3/5 Kakutaa
Cholokashvili Ave,
0162, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32)
231 026, 294 197
Fax: (995 32)
231 026, 220 009
e-mail:
uni@iliauni.edu.ge

ბატონო ლოიდ,

მადლობას მოგახსენებთ შემოთავაზებისათვის, გავხდეთ ჟურნალ "ახალი ეკონომისტის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საუნივერსიტეტო საქმიანობიდან და თქვენი ჟურნალის პროფილიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია, თქვენს ჟურნალში ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოადგენდეს ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი, ბატონი დიმიტრი ჯაფარიძე.

პატივისცემით,

გიგი თევზაძე
რექტორი



ილია ჭავჭავაძის სახელი ეკონომისტი

კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, სტუ.
კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6;
ტელ.: (995 32) 94 16 91; 31 32 25;
ფაქსი: (995 32) 31 32 26;
ელ. ფოსტა: info@cu.edu.ge



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

CAUCASUS UNIVERSITY
77, Kostava St. GTU, Build. 6,
Tbilisi, 0175 Georgia
Tel.: (+995 32) 94 16 91; 31 32 25
Fax: (+995 32) 31 32 26
E-mail: info@cu.edu.ge

№ 303

„ 13 “ 04 2009

ჟურნალ “ახალი ეკონომისტი”-ს
მთავარ რედაქტორს
ბატონ ლოიდ ქარჩავას

ახალი ეკონომისტი

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ვიყო ჟურნალ - “ახალი ეკონომისტი”-ს, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან, გიდასტურებთ, რომ ჟურნალი “ახალი ეკონომისტი” აღიარებული იქნება კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორ-მაწავლებლებისა და ყველა დონის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა), როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფიქველს გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

პატივისცემით,

შალვა მაჭავარიანი, პროფ.,

უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი



IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS
AND BUSINESS

№ 307/23

" 15 " თებერვალი 2009 წ.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტი“-ს
მთავარ რედაქტორს
ბატონ ლოიდ ქარჩავას

ბატონო ლოიდ,

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ვიყო ჟურნალ - „ახალი ეკონომისტი“-ს
სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან, გიდასტურებთ, რომ ჟურნალი
„ახალი ეკონომისტი“ აღიარებული იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-
მასწავლებლებისა და ყველა დონის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი,
მაგისტრატურა, დოქტურანტურა), როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფუძველს
გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული
შემადგენლობა.

პატივისცემით,

ჯამლეტ ჯანჯღავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მ.შ., ასოცირ. პროფესორი

ახალი ეკონომისტი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ-სოციალური
ფაკულტეტი

GEORGIAN TECHNICAL
UNIVERSITY
Humanitarian-Social
Faculty

ს. 234

20 მარტი 2009 წ.

ჟურნალ "ახალი ეკონომისტი"-ს
მთავარ რედაქტორს ბ-ნ ლიოდ ქარჩავას

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ვიყო ჟურნალ - „ახალი ეკონომისტი“-ს, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან, გიდასტურებთ, რომ ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ აღიარებული იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და სოციალური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ყველა დონის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა), როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფუძველს გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

ახალი ეკონომისტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის
დეკანი, პროფ. რუსუდან ქუთათელაძე

რუსუდან ქუთათელაძე



საქართველო, თბილისი, 380075, კოსტავას 77
ტელ.: 36 52 13; 36 52 73
ფაქსი: 36 52 13
ვებ გვერდი: www.gtu.ge

77 Kostava St. 380075 , Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 36 52 13; 36 52 73
Fax: (995 32) 36 52 13
web site: www.gtu.ge



ჟურნალ "ახალი ეკონომისტი"-ს
მთავარ რედაქტორს ბ-ნ ლოდ ქარჩავას


ბატონო ლოდო!

გაცნობები, რომ თანახმა ვარ ვიყო ჟურნალ - „ახალი ეკონომისტი“-ს, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან, გიდასტურებთ, რომ ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ აღიარებული იქნება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ყველა დონის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა), როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფუძველს გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

პატივისცემით,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანის მ/შ დ. ჯანსიერი

დავით ჯანსიერი



ახალი ეკონომისტი

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

აგრძელებს სტატიების მიღებას შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNucx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა - 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მოცულობა მინიმუმ 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა (თუ ავტორი თვლის საჭიროდ), საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონი, ელ.ფოსტა) მოცემული უნდა იყოს ცალკე ფაილში, სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში, (ვისაც ადრე გამოქვეყნებული აქვს სტატია და შესაბამისად მოტანილი აქვს, განმეორებით გამოგზავნა აუცილებელი არ არის);

3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე მაქსიმუმ ნახევარი გვერდი A4 ფორმატის, აკრეფილი AcadNucx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12; სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურა.

4. სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს ჟურნალის – ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის რეცენზირების გავლის შემდეგ, თუ დადებითი რეცენზია იქნება.

5. სტატიის მოწოდებიდან ავტორს პასუხი ეცნობება არა უგვიანეს ერთი თვისა.

ჩვენი კორდინატებია:

ელექტრონული ფოსტა: info@economisti.ge ან info@loi.ge
ტელ: 99-05-76; 855 277 554

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

შპს „ჯეოტეროსი“

მიწათმოქმედების
საინჟინერო-სამშენობლო
კომპლექსური

სერვისები

სამშენობლო

დაზღვევა-სამშენობლო

თბილისი, ჭავჭავაძის გამზარი № 111

069/20

საინჟინერო-სამშენობლო
კომპლექსური
სერვისები